ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №36 (2736) პარასკევი, 13 თებერვალი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.


## რეზონანსი

### მის აღმატებულებას, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო,

ძვირფასო მეგობარო,

ეს-ესაა დიდად შემაშფოთა ცნობამ თქვენს წინააღმდეგ მოწყობილი თავდასხმის შესახებ.

ძალადობის ამ აქტის გამო მსურს გამოვხატო ჩემი მღელვარება და გულისწყრომა.

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ ირწმუნოთ ჩემი ერთგულება და თქვენდამი ულრმესი პატივისცემა.

მეგობრულად თქვენი

**ჟაკ შირაკი.**

პარიზი, 1998 წლის 10 თებერვალი.

### მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

შეშფოთებული ვარ თქვენზე ახალი თავდასხმის გამო. მეება მომგვარა, ამჯერადაც ბედის წყალობით თქვენი გადარჩენის ამბავმა. თქვენთან ერთად იმედს გამოვთქვამ, რომ ძალის გამოყენება ბოლოს და ბოლოს პოლიტიკური დაპირისპირების დაუშვებელ ხერხად იქნება აღიარებული და დაგმობილი, გისურვებთ მრავალ წელს ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ და გთხოვთ ჩემი თანაგრძნობა გადასცეთ იმ ახალგაზრდების ოჯახებს, რომელთაც თქვენი სიცოცხლის დაცვას საკუთარი სიცოცხლე შესწირეს.

საუკეთესო სურვილებით,

**რომან ჰერცოგი,**

გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი.

ბერლინი, 1998 წლის 11 თებერვალი.

### მის აღმატებულებას, ბატონ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს, საქართველოს პრეზიდენტს

**დიდად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!**

შემაძრწუნა და აღმაშფოთა ცნობამ თქვენზე გუშინდელი თავდასხმის შესახებ. ეს ფაქტი იმის სამწუხარო დასტურია, რომ პოლიტიკური ტერორიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა და მის გადასაწყვეტად გადაუდებელ ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელება გვმართებს.

ნება მიბოძეთ, აგრეთვე, გულწრფელად მივუსამძიმრო თქვენი პირადი დაცვის იმ თანამშრომელთა ოჯახებს, რომლებიც საქართველოს სტაბილურობისა და აყვავებისათვის დაიღუპნენ.

ულრმესი პატივისცემით,

**ლეონიდ კუჩმა,**

უკრაინის პრეზიდენტი.

კიევი, 1998 წლის 10 თებერვალი.

### საქართველოს პატივცემულ პრეზიდენტს მის აღმატებულებას, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ,

მინდა გამოვხატო ჩემი სიხარული იმის გამო, რომ თქვენი სიცოცხლის ხელყოფის ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. ირანის ისლამური რესპუბლიკა, როგორც ქვეყანა, რომელიც თავად არის ტერორიზმის უდიდესი მსხვერპლი და არაერთხელ ოფიციალურად განუცხადებია ეს, ყოველთვის წინააღმდეგი იყო ტერორისტული აქტებისა, რა მიზანი და რა მოტივიც უნდა ედოს საფუძვლად, და გმობს მას, როგორც ჰუმანური პრინციპების წინააღმდეგ მიმართულს.

შევთხოვ უზენაესს თქვენი აღმატებულების ჯანმრთელობასა და წარმატებებს და მეგობარი საქართველოს ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას.

**სეიედ მოჰამად ხათამი,**

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი.

### საქართველოს მტრები ამაოდ დაშვრნენ

ლიტვის პრეზიდენტმა **ალგირდას ბრაზაუსკასმა** თანაგრძობა გამოუცხადა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც, როგორც ა. ბრაზაუსკასმა თქვა, საბედნიეროდ, არ დაშავებულა თბილისში მის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის დროს. „მე დიდი ხანია ვიცნობ ედუარდ შევარდნაძეს, აღტაცებული ვარ მისი ვაჟკაცობითა და სახელმწიფოებრივი გონებით. და საქართველოს ხელმძღვანელის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ბოლო განცხადებებიც მოწმობენ ამას", – თქვა ლიტვის პრეზიდენტმა. ა. ბრაზაუსკასმა აღნიშნა, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს სურდათ თავიდან მოეშორებინათ მთელ მსოფლიოში აღიარებული ქვეყნის ლიდერი."

### მის აღმატებულებას, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პრეზიდენტს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

რუსეთში გულისწყრომით გმობენ თქვენს წინააღმდეგ ჩადენილ ცინიკურ ბოროტმოქმედებას.

დარწმუნებული ვარ, რომ ვერავითარი ტერორისტული აქტებით ვერ შეძლებენ უკუღმა შეატრიალონ დემოკრატიულ გარდაქმნათა პროცესი საქართველოში.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი დაღუპულთა მშობლებსა და ახლობლებს და თანაგრძნობა – დაზარალებულთ.

**ვიქტორ ჩერნომირდინი.**

# ჩვენი სიძლიერე, საქართველოს მომავალი მის ერთიანობაშია

## საქართველოს პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძის** სიტყვა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1998 წლის 10 თებერვალს



მინდა მოგესალმოთ ყველას, ვინც ამ დარბაზში ბრძანდებით, და უწინარეს ყოვლისა, გთხოვთ, პატივი მივაგოთ დაღუპულთა ხსოვნას.

ჩემი დღევანდელი გამოსვლა შესაძლოა, არ იყოს სისტემაში მოყვანილი, ერთგვარად სახელდახელოა, და, ალბათ, ეს გასაგებიც არის. იმას, რაც დაგეგმილი არ იყო, ვერც პრეზიდენტი გაითვალისწინებდა. ჩვენი შეხვედრის ძირითადი მიზანი მაინც ის გახლავთ, რომ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს და არა მარტო საქართველოს მოქალაქეებს, ვუთხრათ: ხელისუფლება არსებობს, პრეზიდენტი მწყობრშია, და მუშაობა, საქმიანობა, ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კიდევ უფრო მტკიცედ, უფრო სწრაფი ტემპით წარიმართება.

წუხელ ძალიან მოკლედ, რამდენიმე წუთით მივმართე საქართველოს მოქალაქეებს, – მქონდა ამის ბედნიერება. დღეს ცოტა უფრო დეტალურად ვისაუბრებ. მაგრამ, ვიდრე საქმეზე გადავიდოდე, მინდა ყველა თქვენგანს, საქართველოს ყველა მოქალაქეს გულწრფელი მადლობა ვუთხრა მხარდაჭერისათვის, თანადგომისა და მოქალაქეობრივი ვალის ესოდენ მაღალი გათვითცნობიერებისათვის.

არ შემიძლია, განსაკუთრებული მადლიერების სიტყვებით არ მივმართო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებს, რომლებიც განუწყვეტლივ რეკავენ, გზავნიან დეპეშებს, რომლებშიც გამოთქმულია არა მარტო პირადი მხარდაჭერა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, არამედ, აგრეთვე, დიდი სიმპათიები ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისადმი. ჩვენი დიდი მონაპოვარია, რომ ლაპარაკობენ არა ერთ კაცზე, არამედ ქვეყანაზე, ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, რომლებიც იმსახურებენ მსოფლიო საზოგადოებრიობის მხარდაჭერას.

იხ. მე-2 გვ.

## პრეზიდენტის სამუშაო დღე

### განიხილეს მიმდინარე საკითხები

– დიდი მადლობა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ამერიკელ ხალხს, რომელთაც გულთან ახლოს მიიტანეს საქართველოში მომხდარი ფაქტი და გამოგვეხმაურნენ, – განაცხადა 12 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან ლოურენს ქერისთან შეხვედრაზე.

შეხვედრას ესწრებოდა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი ჩვენს ქვეყანაში პოლა ფინი, რომელიც მისიის დასრულებასთან დაკავშირებით გამოსამშვიდობებლად ეწვია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

სტუმრებმა ამერიკის ხელისუფლების სახელით კიდევ ერთხელ გამოხატეს აღშფოთება ტერაქტის გამო, რომელიც, საბედნიეროდ, უშედეგოდ დამთავრდა.

განიხილეს აფხაზეთში მიმდინარე პროცესები. ლოურენს ქერიმ, რომელიც თავად იმყოფებოდა სოხუმში, აღნიშნა, რომ შეინიშნება სერიოზული პოზიტიური ძვრები როგორც სეპარატისტული ხელისუფლების, ასევე მოსახლეობის განწყობილებამიც, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს კონფლიქტის მოწესრიგებას.

იმსჯელეს ფოთის ნავსადგურის პრივატიზაციის საკითხებზე და ჩვენს ქვეყანაში ამერიკელ ბიზნესმენთა საქმიანობის ასპექტებზე.

### მსოფლიო ბანკი კვლავაც კმაყოფილია რეფორმათა ტემპით

12 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მსოფლიო ბანკის დელეგაცია, ბანკის წამყვანი ეკონომისტის მიშელ რიბუს ხელმძღვანელობით.

შეხვედრაზე განიხილეს მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტის მეორე ტრანშისათვის საქართველოს ხელისუფლების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საკითხები.

ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, მიშელ რიბუმ ყურადღება მიაპყრო ზოგიერთ სფეროში არსებულ პრობლემათა დროული მოწესრიგების აუცილებლობას.

მსოფლიო ბანკი ამჟამადაც კმაყოფილია საქართველოში მიმდინარე რეფორმის ტემპით და მეორე ტრანშის გამოყოფას აპრილის თვისათვის გეგმავს.

საქართველოს პრეზიდენტმა კვლავ გამოხატა მადლიერება მსოფლიოს ამ ავტორიტეტული საფინანსო ორგანიზაციის უდიდესი დახმარების, ასევე იმ მნიშვნელოვანი სტრატეგიის განსაზღვრის გამო, რომელიც მსოფლიო ბანკმა 1998-2000 წლების პერიოდში ჩვენი ქვეყნის მიმართ შეიმუშავა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

## ინფორმაცია

### ბოროტმოქმედს ეროვნება არა აქვს

11 თებერვალს შედგა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სატელეფონო საუბარი ჩეჩნეთის პრეზიდენტ ასლან მასხადოვთან და ვიცე-პრეზიდენტ ვახა არსანოვთან.

ასლან მასხადოვმა და ვახა არსანოვმა კიდევ ერთხელ გამოხატეს თავიანთი აღშფოთება პრეზიდენტ შევარდნაძეზე თავდასხმის გამო, გამოთქვეს სრული მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყონ გამოძიებას.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ და ასლან მასხადოვმა ხაზი გაუსვეს, რომ იმის მიუხედავად, თუ რა წარმომავლობის ხალხი მონაწილეობდა ტერაქტში, საქართველოსა და ჩეჩნეთის ურთიერთობები არ შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

### „იტოჩუს" ექსპერტები საქართველოში

12 თებერვალს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი შეხვდა კორპორაცია „იტოჩუს" ექსპერტთა ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობს „იტოჩუს" ბაქოს წარმომადგენლობის გენერალური მენეჯერი აკირა ნაკაგავა. ეს არის მარშან, დეკემბერში იაპონიაში ნიკო ლეკიშვილის ვიზიტის შედეგები.

ექსპერტთა ვიზიტის მიზანია „ლაჯანურჰესისა" და „ხრამჰესის" რეაბილიტაციისათვის 45 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით უკვე გამოყოფილი კრედიტის ათვისებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, აგრეთვე, ენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენების სფეროში არსებული პროექტების გაცნობა.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა რუსთავის ცემენტის და აზოტის ქარხნების, სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მოდერნიზაციის პროექტებით.

### გრაფიკი ოდნავ შეიცვლება

12 თებერვალს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი შეხვდა აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის პრეზიდენტს დევიდ პრიჩარდს.

როგორც დევიდ პრიჩარდმა აღნიშნა, ნავთობსადენის სადაზვერვო სამუშაოებმა საქართველოს მონაკვეთზე დაადასტურა, რომ აქ ნავარაუდევზე უკეთესი მდგომარეობაა.

კონსორციუმის მიერ შემუშავებული გრაფიკით, პირველადი ნავთობის გადატვირთვა სუფსის ტერმინალიდან ტანკერებში მიმდინარე წლის დამლევს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ შესაძლოა, ამ გრაფიკმა მცირეოდენი ცვლილება განიცადოს.

### ჭორია!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, გავრცელებული ხმები, თითქოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა დაწერა განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, არ შეეფერება სინამდვილეს.

შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი კახა თარგამაძე იმყოფება თავის სამუშაო ადგილზე და პირადად ხელმძღვანელობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს 9 თებერვლის ტერორისტული აქტის გახსნის, ბოროტმოქმედთა დადგენისა და დაკავების მიზნით.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

## უკანასკნელ საათს

### რადუევს არ დაეჯერება

**წუხელ HTB-თი გამოსულმა „გენერალ დუდაევის არმიის სარდალმა" სალმან რადუევმა იკისრა პასუხისმგებლობა 9 თებერვლის ტერაქტის გამო.**

**სალმან რადუევის „მტკიცებას" სერიოზულად არ აღიქვამენ, რადგან ამგვარი „სენსაციური განცხადებები" მას ადრეც გაუკეთებია, მაგრამ არც ერთი არ დადასტურებულა.**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის აზრით, „რადუევის განცხადება მოულოდნელი არ იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ მას ასეთი განცხადება უნდა გაეკეთებინა", თქვა მინისტრმა, რომლის შეფასებით, ეს ინსპირირებული განცხადებაა და მისი დამკვეთი და ავტორი იგივე ძალაა, რომელმაც დაუკვეთა და განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს პრეზიდენტზე.

– ეს ცნობა არის იმ ფართომასშტაბიანი პროვოკაციის ნაწილი, რომელიც საქართველოსა და მისი პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელდა. ეს ძველი მეთოდია, როდესაც კვალის არევის მიზნით ტერორისტული აქტი ისეთ ფიგურებს ბრალდებათ, როგორიც სალმან რადუევია, სინამდვილეში ჩემი ღრმა რწმენით, დივერსიული აქტის ჭეშმარიტი ავტორები ჩეჩნეთიდან საკმაოდ შორს იმყოფებიან და პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობენ, – განუცხადა „მოამბე-ექსპრესის" კორესპონდენტს ბატონმა ზურაბ ჟვანიამ, რომელიც ოფიციალური ვიზიტით კიევში იმყოფება.



ამერიკელი ექსპერტები შემთხვევის ადგილზე.



გიორგი საგარელის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი

**დ. კოკაურის და კ. შევარდენიძის II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

1998 წლის 9 თებერვალს ქ. თბილისში განხორციელებული ტერორისტული აქტის დროს გამოჩენილი პირადი მამაცობის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვისათვის საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის მებრძოლი ოფიცერი, უმცროსი ლეიტენანტი **დავით კოკაური** და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პრეზიდენტის დაცვის სამმართველოს დაცვის უფროსი ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი **კახაბერ შევარდენიძე** დაჯილდოვდნენ II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

**ე. შევარდნაძე.**

## ვიზიტი

### უკრაინა - საქართველოს ურთიერთობის განვითარებისათვის

#### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია — კიევში

**საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, დემოკრატიული განვითარება, ქვეყნის სტაბილურობა შეუქცევადი პროცესია და მნიშვნელოვნად განისაზღვრება მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობით, რომელსაც ქვეყნის ხელმძღვანელობა ბოლო პერიოდში ინტენსიურად ანვითარებს. ამ ურთიერთობებში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკრაინას უკავია.**

**გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით საპარლამენტო დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით კიევში ჩავიდა.**

ბორისპოლის აეროპორტში ჟურნალისტებთან ხანმოკლე შეხვედრისას, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ მიუხედავად თბილისში განხორციელებული ტერორისტული აქტისა, მისი გადაწყვეტილებით, ვიზიტი მაინც შედგა. მისივე აზრით, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რომ საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი უკრაინაში სწორედ ახლა იმართება. პარლამენტის თავმჯდომარემ გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი, რის შემდგომ გაიმართა შეხვედრა უმაღლესი რადას თავმჯდომარესთან ალექსანდრე მოროზთან, რომელმაც ღრმა მწუხარება და შეშფოთება გამოთქვა თბილისში განხორციელებული ტერაქტის გამო. საუბარი შეეხო ორი ქვეყნის თანამშრომლობას ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში. ბატონმა ალექსანდრე მოროზმა სტუმარს მოუთხრო უკრაინაში მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმებისა და ახალი არჩევნებისათვის მზადების შესახებ. უკრაინულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში და აქტიურად ჩაერთოს ევროაზიური დერეფნის იდეის განხორციელებაში. მხარეებმა ისაუბრეს საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობაზე. უმაღლესი რადას თავმჯდომარისა და მისი კოლეგების თქმით, უკრაინა ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში საქართველო ევროსაბჭოში გაწევრიანდეს. ზურაბ ჟვანიამ მასპინძელს სთხოვა, რომ უკრაინის პარლამენტმა დააჩქაროს საქართველოსთან ხელმოწერილი შეთანხმებების რატიფიკაცია, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციას..

## გამოძიება

### ტერორისტები ამ ბინაში იმალებოდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო-ოპერატიულმა ჯგუფმა მიაკვლია ბინას, სადაც იმალებოდნენ (იკრიბებოდნენ) ტერორისტები. ბინა იმ უბანში მდებარეობს, სადაც თავდასხმა მოხდა. იგი ეროვნებით ქართველს ეკუთვნის.

### მანქანები გაიტანეს

გუშინ, ნაშუადღევს, მას შემდეგ, რაც საგამოძიებო-ოპერატიულმა ჯგუფმა დაასრულა მოკვლევა, გორგასლის ქუჩიდან (300 არაგველის ობელისკთან) გაიტანეს 9 თებერვალს პრეზიდენტზე თავდასხმის დროს დამწვარ-დაზიანებული მანქანები. ისინი წაიღეს გარაჟში, სადაც დაილუქება, რათა გამოძიებას ნებისმიერ დროს ხელთ ჰქონდეს.

### კრიმინალისტები ამერიკიდან

გუშინ თბილისში ჩამოვიდა აშშ კრიმინალისტთა ჯგუფი. ამერიკელმა სპეციალისტებმა დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, დამწვარი მანქანები, გადაიღეს ფოტოსურათები და ჩაატარეს გამოკვლევა. ისინი თავიანთ დასკვნას წარუდგენენ საგამოძიებო-ოპერატიულ ჯგუფს.

### რამდენია თავდამსხმელი?

გამოძიება ვარაუდობს (იმ ცეცხლის ინტენსიურობის მიხედვით, რაც თვითმხილველებმა დაადასტურეს), რომ ტერორისტულ თავდასხმაში 10 კაცზე ნაკლები არ მონაწილეობდა. მათ, ალბათ, ჰყავდათ „დამზღვევები", მძღოლები (ტერორისტები, სავარაუდოდ, მოძრაობდნენ 2 მსუბუქი მანქანით და 1 მიკროავტობუსით). ამდენად, საგულვებელია, რომ სულ ამ საქმეში 20 კაცამდე იყო ჩაბმული!

### გამოძიება ეჭვობს

გამოძიებას, ჯერჯერობით, დაზუსტებულად არ მიაჩნია, რომ ბაბუშკინის ქუჩაზე მიკვლეული იარაღით სავსე მანქანა, მაინცდამაინც ტერორისტ თავდამსხმელებს ეკუთვნოდათ.

### ვინ „დაბრუნდება?"

300 არაგველის ობელისკზე მიკვლეული „სისხლით წარწერილი" – „ჩვენ დავბრუნდებით", არა მგონია, ტერორისტთა ნაკვალევი იყოს, – განაცხადა გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ სოსო ყიფიანმა, – როდის უნდა დაეწერათ იგი? ოპერაციის დაწყებამდე არ დაწერდნენ, – ალბათ, წარმატებაში დარწმუნებული იყვნენ, ნაკლებ დამაჯერებელია, რომ ოპერაციის დროს, მით უფრო, შემდეგ გაეკეთებინათ ეს. გვაქვს ცნობა, რომ ეს წარწერა უკვე ორი თვეა იქ არის. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, „დაბრუნების" ვერსიას ვამოწმებთ.

### გეში აღებულია

როგორც კარგად ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა, საგამოძიებო-ოპერატიულმა ჯგუფმა საქართველოს კრიმინალისტიკის ისტორიაში პირველად განახორციელა საგამოძიებო ღონისძიება, რომელიც გეშის აღებასთან არის დაკავშირებული.

საკუთარი ინფორმაცია.


## გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

„საქართველოს რესპუბლიკა" ყოველდღიურად გამოდის და ერთი თვით ღირს 11,25 ლარი — დედაქალაქში, 13,65 ლარი — ქალაქგარეთ; სამი თვით — 33,75 ლარი დედაქალაქში, 40,95 ლარი ქალაქგარეთ; ექვსი თვით — 67,5 ლარი დედაქალაქში, 81,90 ლარი ქალაქგარეთ (შპს „საქპრესის" და ს/ს „მაცნეს" მომსახურების ღირებულების ჩათვლით).

ვინც უშუალოდ გაზეთის გამომცემელ შპს „პრესასთან" პირდაპირი ხელშეკრულებით მოისურვებს „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერას, მას ბევრად იაფი დაუჯდება — ერთი თვით 9 ლარი დედაქალაქში, 10,5 ლარი ქალაქგარეთ; სამი თვით 27 ლარი დედაქალაქში, 31,5 ლარი ქალაქგარეთ; ექვსი თვით 54 ლარი დედაქალაქში, 63 ლარი ქალაქგარეთ. დაგვიკავშირდით: კოსტავას ქ. №14, ტელ: 93-26-99.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა"!

# ჩვენი სიძლიერე, საქართველოს მომავალი მის ერთიანობაშია

ასევე, არ შემიძლია მადლიერების სიტყვებით არ მივმართო როგორც ჩვენს, ისე უცხოურ პრესას, ტელევიზიას. მოგეხსენებათ, გუშინ და დღეს, მთელი მსოფლიოს სატელევიზიო პროგრამები, ისევე როგორც პრესის ფურცლები, გარკვეულწილად დათმობილი აქვს საქართველოში მომხდარ ფაქტს. ეს არის, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარი ცდა, დაინახონ შუქიც და ჩრდილიც. მადლობას მოვახსენებ საქართველოს ტელევიზიას, ჩვენს პრესას, ყველას, ვინც შეეცადა, რამდენადაც ეს შეიძლებოდა, ობიექტურად, სამართლიანად აესახა წუხანდელი ღამის მოვლენები.

როგორც გითხარით, ჩემს გამოსვლას არ ექნება პოლიტიკური მოხსენების ხასიათი. ასეთი მოხსენება მე წარვუდგინე ქვეყანასა და პარლამენტს. მასში ჩამოყალიბებულია დღევანდელობის ჩემეული ხედვა, გარდამავალი ეტაპის, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის სირთულეები, სიძნელეები, პრობლემები და ისიც, თუ რა გავაკეთოთ.

შეიძლება, ჩემი დღევანდელი გამოსვლა ცოტა უფრო პირადული ხასიათისაც იყოს.

თუ წუხანდელ მოვლენას ჩვენს მიერ განვლილი 90-იანი წლებისაგან მოწყვეტით განვიხილავთ, მაშინ, შესაძლოა, სხვადასხვანაირ დასკვნებამდე მივიდეთ. ამასთან, ჩვენ არ გვაქვს უფლება, არ გავიხსენოთ არათუ საქართველოს გუშინდელი დღე, არამედ მისი წარსულიც, — მისი აღზევება, თუ დაცემა-დაქუცმაცება და ყოველივე, რაც ჩვენი ხალხის თავზე დატრიალებულა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის 3-ათასწლოვან ისტორიაში.

როცა ვმსჯელობთ ამ ფაქტზე, არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა საძირკველზე დაიწყეთ დღევანდელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. უფრო სწორად — საძირკველი არ იყო. ვერავის დავაბრალებთ ამას. ჩვენ თვითონ დავანგრიეთ და დავარბიეთ ის, რაც შეიძლებოდა საფუძვლად გამოგვდგარიყო.

პირდაპირ გეტყვით, რაც არაერთხელ მითქვამს. მე შემეძლო, როცა დავბრუნდი ჩემს სამშობლოში, გამომეცხადებინა: — „მზად ვარ ავიღო მთელი ხელისუფლება, ქვეყანა ვმართო, როგორც დიქტატორმა", და მიმეღო ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა, დამემყარებინა ავტოკრატიული რეჟიმი. ეს არ გავაკეთე. მაშინ, ბევრი ჩემი მეგობარი, კოლეგა, ზოგიერთი თანამოაზრე, გულმხურვალე მოდიოდა და მეუბნებოდა, — „ეს ერთადერთი გზაა, სხვა მხრივ, საქართველოს საშველი არ არის". ხშირად პინოჩეტს მისახელებდნენ, — „გახსოვს, რა გააკეთა პინოჩეტმა? არეული, დანგრეული ქვეყნისაგან აყვავებული სახელმწიფო შექმნა".

ნურავის დაავიწყდება — პინოჩეტს აყვავებული სახელმწიფოსკენ მიმავალი გზა რომ აერჩია, ალიენდე უნდა მოეკლა და ის ხალხი გაენადგურებინა, ვისაც დემოკრატიისაკენ მიჰყავდა ქვეყანა.

ამიტომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული წინააღმდეგობებისა, მე მოვახდინე არჩევანი, დემოკრატიის, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების სასარგებლოდ, და — არა მარტო საქართველოში.

ეს არჩევანი მოვახდინე უკვე 80-იან წლებში, ცოტა უფრო ადრეც. მე იმ ტრიბუნებთან ვიდექი, სადაც უნდა მდგარიყო ჭეშმარიტი დემოკრატი. ეს მოსკოველებს კარგად ახსოვთ და იმათ, ვინც ალმაცერად უყურებს საქართველოს, ეჭვი არ უნდა ეპარებოდეთ, რომ საქართველოს წარმომადგენელი იყო რუსეთში ჭეშმარიტად დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი. მე ვიყავი ერთ-ერთი ინიციატორი დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის შექმნისა, რომელმაც ჩემთან ერთად ორი დღით ადრე იწინასწარმეტყველა 19 აგვისტოს პუტჩი. ასე რომ, ეს ძველი არჩევანია და ემყარება იმის რწმენას, რომ მხოლოდ დემოკრატიას, მხოლოდ დემოკრატიულ გზას შეუძლია მოუტანოს ქვეყანას ჭეშმარიტი, ღირებული დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მხოლოდ ეს გზა ჩაგვაყენებს ჩვენ იმ ქვეყნების რიგში, რომლებიც ქმნიან მსოფლიოს ცივილიზაციას. ჩვენ ეს გზა ავირჩიეთ.

ახლა — ასეთი კითხვის შესახებ: მაინც, რას ერჩიან შევარდნაძეს? რა დაამავა ასეთი?

ლაპარაკი არ არის მარტო ამ ბოლო ორ ტერორისტულ აქტზე. მრავალი, ამ დარბაზში მყოფი, ჩემთან ერთად იყო სოხუმში და, ალბათ, გაიხსენებენ „გრადის" სეტყვას, დღე და ღამ რომ გვატყდებოდა თავს იმ პატარა სახლში, სადაც ღამეს ვათევდი, ვინ ისროდა — თქვენ კარგად იცით, ვინ უმიზნებდა, ესეც მოგეხსენებათ. როცა განთიადიდან სოხუმში მივფრინავდი შვეულმფრენით, 100-პროცენტიანი გარანტია იყო იმისა, რომ ვერტმფრენი წყალში ჩავარდნილიყო და ჩაძირულიყო. ვინ გააკეთა ეს, თქვენ კარგად მიხვდებით.

მეგახსენებთ რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის გამოსვლას რუსეთის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც მაშინ, როგორც, ალბათ, თვითონ მიაჩნდა, სენსაციური განცხადება გააკეთა: „სამი დღის შემდეგ სოხუმი დაეცემა". რა თქმა უნდა, ძალზე კარგად ვიცოდი, ვინ, რა ძალები მოადგა სოხუმს. ეს იყო რეგულარული ჯარები, არა მარტო დაქირავებული და — არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები.

ასეთივე სეტყვაა დაგვატყდა თავს სოხუმიდან გამოსვლის ბოლო წუთებში. ახლა ამბობენ, თითქოს ჩვენს გამოსაყვანად რაღაც თვითმფრინავები და გემები გამოგზავნეს. მე, ჩემს თანამებრძოლებთან ერთად, ვიდექი სანაპიროზე, აეროპორტის რაიონში, ... და, რომ არა ის, შემთხვევით შემორჩენილი ეკიპაჟი, რომელსაც საწვავი მხოლოდ ბათუმამდე ეყო, ალბათ, საკითხი იქვე გადაწყდებოდა.

რატომ ხდება ეს? მე აღარ ვლაპარაკობ 29 აგვისტოზე, წუხანდელ მოვლენაზე. მაინც, რა დაამავა ამ კაცმა ასეთი, რატომ უნდათ, იძიონ შური. მინდა, ჩემმა ხალხმა ეს იცოდეს და, თუ დამნაშავე ვარ, მითხრას: — „დამნაშავე ხარ და უნდა გადადგე, წახვიდე". მოგეხსენებათ, გადადგომის გამოცდილება მაქვს...

მე დავამატე ის, რომ ავირჩიე გზა, რომელსაც ტოტალიტარული სახელმწიფოს ნგრევა ჰქვია. ეს გზა ათასებისათვის, მილიონებისათვის მიუღებელი იყო. მაგრამ, არ ვნანობ, რომ ეს გზა ავირჩიე.

მე ავირჩიე საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზა. ავირჩიე ეს გზა ჩემს მეგობრებთან, თანამოაზრეებთან ერთად, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის გზა, კომპრომისების, დათმობის ხარჯზეც, მაგრამ მაინც, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზა. მე ავირჩიე ეს გზა, რათა საქართველო გახდეს ნამდვილად დამოუკიდებელი და, მჯერა, მომავალში აყვავებული ქვეყანა, რომელსაც ანგარიშს გაუწევენ არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოში.

ვიღაცის ინტერესები შეილახა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ, „ნავთობსადენები რომ არ წამოგვეწყო, მაშინ შეტაკება არ მოხდებოდა. რომ არ წამოგვეყენებინა „აბრეშუმის გზის" იდეა, მშვიდად და კარგად ვიქნებოდით. ევრაზიის დერეფანი, „ტრასეკა" რომ არ ყოფილიყო და ა.შ.

ეს ერთი კაცის მონაგონი არ არის. ეს არის ჩვენი სტრატეგიული ინტერესები. ეს საქართველოს კეთილდღეობის წყაროა. ჩვენ არც ნერვებმა უნდა გვიღალატოს და არც მუხლები უნდა აგვიკანკალდეს მაშინ, როცა შეგვებრძოლებიან. შეგვებრძოლებიან, რადგან ვიღაცის ინტერესი ილახება და ვიღაცას პირდაპირ ვეუბნებით: — „ვიცხოვროთ მეგობრულად, მეზობლურად, მაგრამ არის კანონზომიერება, რომელსაც ვეღარ გადავუხვევთ, რომლის იგნორირება ვეღარ მოხდება. დღეს სხვა მსოფლიოა".

კიდევ: რატომ ებრძვიან შევარდნაძეს? არის ბერლინის კედელი, არის ავღანეთი, არის ევროპის გათავისუფლება... მეუხერხულება ლაპარაკი, მაგრამ, ალბათ, ისევ მე უნდა ვთქვა... ამერიკის შეერთებული შტატების სენატში გაკეთებულ განცხადებაში ითქვა, — „ამ კაცმა შეცვალა მსოფლიო", მაგრამ ამ შეცვლილ მსოფლიოში ყველას ინტერესები ხომ არ არის დაცული? მთელი კლანების, მთელი კლასების, მთელი ფენების ინტერესი შეილახა არა ერთ, არამედ რამდენიმე ქვეყანაში, ჩვენზე ასჯერ და ათასჯერ დიდ ქვეყნებში.

ამიტომაც, ვიღაცას ძალიან სჭირდება დასაჯოს საქართველოს პრეზიდენტი. მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობისაგან გაქცევა არ შეიძლება. მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოვედი, მხოლოდ ერთხელ მივეცი საკუთარ თავს უფლება, გამეკეთებინა განცხადება გადადგომის შესახებ. ეს იყო მხოლოდ პიროვნული შეურაცხყოფის შემდეგ. ამის გარდა, ერთი დღე, ერთი საათი, ერთი წუთი ჩემი ხალხისთვის არ მიღალატია და არც ვუღალატებ, სანამ სული მიდგას, სანამ შრომა, სანამ ბრძოლა, სანამ აზროვნება შემიძლია.

არის თუ არა ჩვენი მდგომარეობა უიმედო? დღეს უკვე სხვა საქართველოა. ერთი-ორი წლის შემდეგ კიდევ სხვანი ვიქნებით — მართლაც საკუთარი თავის პატრონი. არავის ნებაზე არ ვიქნებით დამოკიდებული. მჯერა, რომ ჩვენ წინ მივდივართ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

კმაყოფილი ვართ? რა თქმა უნდა, არ ვართ კმაყოფილი. გაჭირვებულია ხალხი? რა თქმა უნდა. მაგრამ, ბატონმა ზურაბმა ბრძანა პარლამენტში, რომ ის გაჭირვებული ხალხიც კი, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს, და 8 თუ 9 ლარის იმედზეა, დღეს ისიც არ დათმობს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. 2-3 წლის შემდეგ კი სხვა ქვეყანა, ცხოვრების სხვა პირობები იქნება. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

მინდა ყველას მოვუწოდო: დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნისათვის ყველაზე საშიში მოვლენაა რადიკალიზმი, იქნება იგი მარჯვნიდან, თუ მარცხნიდან, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. საქართველოში არ უნდა აღმოცენდეს და ვერ უნდა მოიკიდოს ფეხი ისეთმა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრებს, რომელიც მხოლოდ თანამდებობისა და პირადი კეთილდღეობისათვის საკუთარი ხალხის დამოუკიდებლობის ხარჯზე ვაჭრობს ვიღაცასთან.

ვფიქრობ, ამ საკითხში ყველა ერთიანი უნდა ვიყოთ, ისინიც, ვინც ხელისუფლების სათავეშია, და ისინიც, ვინც ოპოზიციაშია. ეს არის რადიკალიზმის საფრთხე, ანუ ბოლშევიზმის საფრთხე. მე ათეულობით წლების განმავლობაში ჩემს გონებაში, ჩემს გულსა და სულში, საკუთარ თავთან ბრძოლაში დავრწმუნდი, რომ ბოლშევიზმი არის „შავი ჭირი" კაცობრიობის ისტორიაში და თუ ვინმე ფიქრობს ისევ ამ „შავი ჭირისკენ" შეაბრუნოს ქვეყანა, ის საკუთარი ხალხის მტერია, რა გვარისაც უნდა იყოს და როგორი დამსახურებაც უნდა ჰქონდეს.

ისმის მოთხოვნა — „წავაცალოთ ყველას თავები!" „გავუსწოროთ ყველას ანგარიში!" იქნებ, ვცდები, მაგრამ დღესაც მინდა მთელი გაბედულებით ვთქვა: მართალი ვიყავი, როცა 1992 წელს, სამოქალაქო ომის დროს, მეწყალების მანიფესტი გამოვაქვეყნე რესპუბლიკის მოედანზე. შესაძლოა, იმ ომის მონაწილეებს ბევრად არ წაადგათ, ჭკუა ვერ ისწავლეს, მაგრამ მათ ზურგს უკან ათეულ ათასები და ასეულ ათასები იდგნენ. სწორედ მათზე იმუშავა მანიფესტმა. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯები შერიგებისაკენ.

ახლაც შერიგების პლატფორმა წარმოვადგინე. ხშირად მეკითხებიან, — „სად არის ეს შერიგება?" შერიგება პროცესია. ის არც ერთ დღეში მოხდება, არც ერთ თვეში და, შესაძლოა, წლებიც დასჭირდეს. მაგრამ ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, მე სუფთა სინდისით გავუწოდე ყველას ხელი: „გადავდოთ პიროვნული გვერდზე, პოლიტიკური ბრძოლა — პოლიტიკურ ბრძოლად, პლურალიზმი — პლურალიზმად, მაგრამ როცა ქვეყნის ინტერესების საკითხი წყდება, ჩვენ, ყველა ერთად უნდა ვიყოთ, როგორც ერთი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა".

ამ მხრივ, ჩვენ გავიარეთ გარკვეული გზა, გარკვეული სკოლა, მეამაყება, რომ შარშან 2500 ადამიანი შევიწყალე. მეუბნებიან, რომ არც ერთ მათგანს, ჯერჯერობით, რაიმე დანაშაული არ ჩაუდენია. ბედნიერი ვარ, რომ 2500 ადამიანის ოჯახში სიხარული შევიტანე. ესეც შერიგების ელემენტია.

ბედნიერი ვარ იმით, რომ 52 სიკვდილმისჯილი ადამიანი შევიწყალე, მათ შორის, ჩემი პირადი მტრები, ვინც მესროდა, ვინც მებრძოდა, ისინიც, ვინც ზურგში დანა ჩაგვარტყა. ბედნიერი ვარ იმით, რომ პარლამენტმა ერთსულოვნად დამიჭირა მხარი და საქართველომ გააუქმა სიკვდილით დასჯა.

კიდევ და კიდევ მივმართავ ჩემს თანამემამულეებს: ჩვენ ავირჩიეთ კურსი, რომელსაც არ გადავუხვევთ. ეს არის დემოკრატიის, ეს არის შერიგების, ეს არის ეროვნული, სახელმწიფოებრივი თანხმობის კურსი და ყველა ჩვენგანის აზროვნებასა და გონებაში უნდა ჩაიჭედოს — საქართველო ერთიანი იქნება, თუ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვები, ვინც ამ მიწაზე ცხოვრობს, იქნებიან ერთიანი შემადგენელი ნაწილი ერთიანი საქართველოსი. მაშინ ჩვენ გაცილებით იოლად დავიბრუნებთ აფხაზეთს. მთელი საქართველოს გასაგებად ვამბობ: ჩვენ შევრიგდებით, მიუხედავად დაღვრილი სისხლისა და უბედურებისა. ამ ორ ხალხს სხვა გზა არ აქვს — ერთად უნდა იცხოვროს. შევრიგდებით ქართველები და ოსები. ცოტა ჩვენც უნდა დავთმოთ, ცოტა — მათ და ეს ტკივილები მოვიშუშოთ.

ჩვენ უდავოდ ბედნიერი ვართ იმით, რომ უამრავი მეგობარი შევიძინეთ მსოფლიოში. ჩვენ ანგარიშს გვიწევენ, გვეთათბირებიან, მხარში გვიდგანან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში. მხარში გვიდგანან ჭეშმარიტი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებაში. ნუ გავაუფასურებთ და ნურც დავივიწყებთ ამას, მხარდაჭერისათვის ერთხელ კიდევ მადლობა შევუთვალოთ ჩვენს მეგობრებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

დღეს ცოტა ნაადრევია წუხანდელის საბოლოო განსჯა. რთული მოვლენა იყო. ვერ გეტყვით, ვინ არიან უშუალო მონაწილეები — ეს გამოძიების საქმეა, მაგრამ მე გუშინაც ვთქვი და დღესაც ვიმეორებ: თავისი მასშტაბით, შესრულების დონით, ხარისხით, პროფესიონალიზმით ასეთი აქტი მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმის ძალების დონეზე შეიძლება განხორციელდეს. მაგრამ ეს ძალები ძალზე დიდია, ჩვენ კი ცოტანი და, ჯერჯერობით, უძლური ვართ იმისათვის, რომ მათ შევეჭიდოთ. ყოველივე ეს ისეთ სფეროებშია დაგეგმილი, რომ მიუახლოვდე, კიდევ დრო არის საჭირო.

მეგობრებო, ძალიან არ მინდა, რომ ამ ფონზე, საყოველთაო ეჭვიანობის, დასმენების, ჩასაფრებების განწყობილებამ დაისადგუროს. თქვენ იცით, ასეთი პერიოდი ძალზე ძვირად დაუჯდა საქართველოს — ასიათასობით ადამიანი დახვრიტეს, გაქლიტეს. ჩასაფრება და „დანოსი" საშინელი მოვლენაა. საქართველოში მსგავსი რამ არ უნდა განმეორდეს.

თუ საზოგადოებაში ნდობის საფუძველი დაიკარგება, სახელმწიფო ვერ აშენდება. როგორც უნდა გამაკრიტიკონ, გნებავთ, პარლამენტში, გნებავთ, საზოგადოებაში, სოფლებში, რაიონებში და ა.შ. მე, როგორც იტყვიან, ბოლო ამოსუნთქვამდე ვენდობი ჩემს ხალხს, ვენდობი ადამიანებს, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობენ. ნუ მეტყვით, რომ გულუბრყვილო ვარ, — „გიორგაძეს რომ ენდე, ხომ ხედავ, ვინ აღმოჩნდა". ცხოვრება ურთულესი მოვლენაა და ნურავინ დაიტრაბახებს, რომ მას შეუძლია მოღალატეობისა და ერთგულების დიაგნოზის დასმა. თვით ცხოვრება გაარკვევს ამას. ჩვენ ვქმნით ისეთ სახელმწიფოს, რომელმაც ყოველივე ეს უნდა გამორიცხოს. ამიტომ, არ მინდა, რომ მთელი ჩვენი აღშფოთებისა და შეშფოთების ტალღამ გადაუაროს სამართალდამცავ ორგანოებს. არავის ვიცავ. ჩემზე უკეთ, შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, სად რა ნაკლია. მაგრამ მე ისიც ვიცი, რისი გაკეთება შეუძლიათ და რისი — არა. არც იმის გარანტია მაქვს, რომ მეცვლის შემთხვევაში ახალი ხელმძღვანელი უკეთესი იქნება. ამიტომაც, ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გაკეთებას. ამას გეუბნებათ კაცი, რომელმაც გადაიტანა წუხანდელი უბედურება, 29 აგვისტო... მჯეროდა და ბოლომდე მჯერა, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობაში მხოლოდ ნდობა გაიმარჯვებს და სახელმწიფო მხოლოდ ნდობის საფუძველზე შეიძლება აშენდეს. დე, იყოს ურთიერთკრიტიკა, კამათი, მხოლოდ ნუ იქნება ხელაღებითი შეფასებები. ამან, შეიძლება ძალზე მძიმე შედეგები მოგვიტანოს.

რამდენიმე კაცმა ისიც მითხრა: — „შენ რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონცეფციის ახალი ვარიანტი წარმოადგინე, შედეგიც მიიღე". დღეს საქვეყნოდ ვაცხადებ: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კურსიდან არ გადავუხვევთ და ამ სენისაგან საქართველოს განვკურნავთ. ამას ყველა ერთად გავაკეთებთ, მაგრამ ისევ და ისევ ეს არ უნდა იყოს ჩასაფრებისა და „დანოსების" კამპანია. ეს უნდა იყოს პროფესიონალების, ქვეყნის ერთგული და პატიოსანი ადამიანების ბრძოლა ქვეყნის სიწმინდისა და ინტერესებისათვის. საქართველო და მისი პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, პარლამენტთან და სხვებთან ერთად, იბრძოლებენ იმისათვის, რომ კორუფცია არ გადაიქცეს მართლაც ავთვისებიან სიმსივნედ, რომლის განკურნება მერე შეუძლებელი იქნება. არ მინდა მომავალ თაობებს დავუტოვო ის, რასაც შემდეგ ისინი ვერ დაძლევენ. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

მინდა ხმა მივაწვდინო ჩვენს უცხოელ პარტნიორებს — პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს, ბიზნესმენებს, ბანკირებს... წუხელ, პირველმა ბატონმა ჰეიდარ ალიევმა დამირეკა, იყო სხვა ზარებიც. ამ დილით სულეიმან დემირელმა დარეკა, დარეკეს შეერთებული შტატებიდან, სხვა ქვეყნებიდან. მე მათ განვუცხადე, რომ საქართველო, მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, მთელი სიმტკიცით მიდის სტაბილურობის გზით, და თქვენ უნდა გქონდეთ იმედი, რომ შედარებით პატარა საქართველო თქვენი საიმედო პარტნიორი იქნება. გჯეროდეთ, რომ ჩარხს, რომელიც წალმა დატრიალდა, უკუღმა ვერავინ დაატრიალებს.

როგორც ძველ დროში ამბობდნენ, — არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენ ძალზე კარგად ვიცით, რა გვინდა, რა მიზანი გვაქვს. ძალიან კარგად ვიცით გზები, რომლებითაც უნდა ვიაროთ. ძალიან კარგად ვხედავთ იმ ეკლებსაც, რომლებიც ამ გზაზეა. ამიტომაც, როგორი მასშტაბისაც უნდა ყოფილიყო წუხანდელი აფეთქება, ჩვენს სიტყვას შეგიძლიათ ენდოთ.

კვლავაც მინდა განვაცხადო ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრებისა და მეგობრების საყურადღებოდ: ჩვენი ქვეყანა მთელი თავისი წარსულით, უდიდესი გამოცდილებით, უდიდესი სიმდიდრით — თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თავისი უდიდესი კულტურით, მეცნიერული პოტენციალით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მხარში ამოგიდგეთ, როგორც ღირსეული, დემოკრატიული ქვეყანა, მჯერა, რომ ეს ასე იქნება.

სამართალდამცავი ორგანოები ყოველგვარი შენიშვნის გარეშე რომ არ დარჩნენ, ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვთქვა. ვიცი, თქვენ ძალიან ნერვიულობთ, განიცდით. სხვათა შორის, ბევრი თქვენგანი მაფრთხილებდა, რომ რაღაც არის მოსალოდნელი და ზომები უნდა მივიღოთ. კატეგორიულად მოვითხოვ: თუ არსებობს პროფესიონალიზმი, პატრიოტიზმი, არსებობს თავდადება და სიყვარული საკუთარი ქვეყნისა — ტერაქტი უნდა გაიხსნას. ეს არის საქართველოს პრესტიჟის, მისი ავტორიტეტის საქმე. მე შემიძლია მხოლოდ მხარი დაგიჭიროთ და მოგეხმაროთ. ამიტომ მივმართავ ყველას: სანამ ეს ურთულესი მუშაობა მიმდინარეობს, ისედაც განერვიულებულ ადამიანებს კალაპოტიდან ნუ ამოაგდებთ.

და ბოლოს, ვუბრუნდები იმ აზრს, რომელიც უკვე გამოვთქვი: ჩვენი სიძლიერე, საქართველოს მომავალი მის ერთიანობაშია. დაიწყო გამთლიანების, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ჩვენთან არიან და, თუ ჩვენი მინაგანი არასტაბილურობით, ერთმანეთის მიმართ უნდობლობით ამ ისტორიულ პროცესს შევაჩერებთ, ღმერთმა იცის, კიდევ როდის მოესწრებიან მას მომავალი თაობები. გავუფრთხილდეთ ამ ისტორიულ პროცესს. ყველამ ერთად ვიშრომოთ, ვიზრუნოთ ჩვენი საყვარელი, ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს ერთიანობისათვის, მთლიანობისა და კეთილდღეობისათვის.

## საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1998 წლის 10 თებერვალს

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

---

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი

ო. ნიკოლეიშვილის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **ოლეგ ნიკოლეიშვილი** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის უფროსად.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი

კ. გუჯაბიძის გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **კარლო გუჯაბიძე** გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი

ო. ნიკოლეიშვილის გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს **ოლეგ ნიკოლეიშვილი** გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის უფროსად დანიშვნის გამო.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი

კ. გუჯაბიძის ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს **კარლო გუჯაბიძე** ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად დანიშვნის გამო.

ე. შევარდნაძე.

---

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

## შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროში

11 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდა „საქართველოს მეგობრების ჯგუფის" წევრ სახელმწიფოთა ელჩებს.

საუბარი შეეხო აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძალების სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობას. საგარეო საქმეთა მინისტრმა უკმაყოფილება გამოთქვა კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარეობის გამო. ამასთანავე, ხაზგასმით აღნიშნა სამშვიდობო ოპერაციის წარუმატებლობა, ამ ეტაპზე გალის რაიონში ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო დაბრუნების თვალსაზრისით. არ სრულდება თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების გადაწყვეტილებანი, მათ შორის, კიშინიოვის სამიტის 1997 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება სამშვიდობო ძალების მანდატის თაობაზე.

„საქართველოს მეგობრების ჯგუფის" წევრ სახელმწიფოთა ელჩები დაეთანხმნენ მინისტრს, რომ კონფლიქტის ზონაში მართლაც რთული სიტუაციაა, რაც მოითხოვს სამშვიდობო ძალისხმევის გააქტიურებას. მათი აზრით, შექმნილი სიძნელეების მიუხედავად, კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების შენარჩუნება აუცილებელია.

კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძალების ყოფნა შესაძლებლობას იძლევა გაგრძელდეს სამშვიდობო პროცესი, რომლის სრული ინტერნაციონალიზაცია გაეროს ეგიდით გამართული ჟენევის მოლაპარაკების შედეგად მოხდა. პოლიტიკური დიალოგი თანდათანობით ძალას იკრებს.

„საქართველოს მეგობრების ჯგუფის" სახელმწიფოთა ელჩებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება, რომელსაც კონფლიქტის მხარეებს უწევს, განპირობებულია თვით მხარეთა მისწრაფებით განაგრძონ სამშვიდობო პროცესი და მიაღწიონ ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებას აფხაზეთში და კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური — საქინფორმი.

### „გადაღლილი" კორობკო ჯერაც მოსკოვში ისვენებს

ოთხმხრივი შეხვედრა, რომელიც გუშინ ჭუბურხინჯში უნდა შემდგარიყო კვლავ ჩაიშალა. ამჯერად შეხვედრის ჩაშლის მიზეზი რუსეთის სამშვიდობო ძალების ახალი სარდლის, გენერალ კორობკოს „მოკლევადიანი" შვებულება გახდა. კონფლიქტის ზონაში სარდლის მოვალეობის შესრულების დაწყებიდან კორობკომ მხოლოდ ერთხელ მოახერხა ოთხმხრივი შეხვედრის გამართვა და 2-კვირიანი მუშაობის შემდეგ უკვე 6 თებერვალს შვებულება აიღო.

გენერალ კორობკოს ჩასვლას აფხაზეთში კვირის ბოლოს ელოდებიან.

---

### კომენდანტის საათი არავის შემოუღია

პრეზიდენტზე თავდასხმით გამოწვეულ შეშფოთებას მოსახლეობაში ის ხმაც მოჰყვა, რომ დედაქალაქში საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი შემოდისო.

ამის თაობაზე გვიპასუხებს თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტი პოლკოვნიკი მიხეილ ქებაძე:

— ეს ამკარა ჭორია, რადგან ასეთი განკარგულება საქართველოს პრეზიდენტისგან თბილისის სამხედრო კომენდატურას არ მიუღია.

### აშშ-ს საელჩოს დელეგაცია სოხუმში

სოხუმში იმყოფებოდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითი რწმუნებული ლოურენს კერი. სოხუმში მოქმედი აფხაზური ტელევიზია აღნიშნავს, რომ დელეგაცია მიიღო ვლადისლავ არძინბამ. აფხაზთა ლიდერისა და ამერიკელი დიპლომატების საუბარი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

შემდეგ ამერიკის დელეგაცია შეხვდა სეპარატისტთა მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას. შეხვედრის დროს განიხილეს რეგიონში შექმნილი სიტუაცია.

ამერიკელი დიპლომატები დაინტერესდნენ, როგორ ეკიდება აფხაზთა ხელმძღვანელობა იმას, რომ საქართველო სასაზღვრო კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე, რადგან ამერიკის მთავრობა აპირებს საქართველოს დახმარება გაუწიოს ამ მიმართულებით.

მაგრამ სერგეი შამბამ განაცხადა, რომ არ შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების ამგვარი განზრახვა „აფხაზური ხელმძღვანელობის უკმაყოფილებას არ იწვევდეს".

მისი თქმით, აფხაზეთის წყლებში საქართველოს სამხედრო ხომალდების ყოველი გამოჩენა მიჩნეული იქნება „მის ტერიტორიაზე შეჭრად", თანაც, სერგეი შამბას აზრით, სანაპირო კონტროლმა შეიძლება აფხაზეთის სრული ბლოკადა გამოიწვიოს, ამჯერად უკვე ზღვაზე.

ამავე დროს, სერგეი შამბამ განაცხადა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში შეინიშნება კონფრონტაციის დაძლევის ტენდენციები.

### ლეონიდ ივანოვი რუსი სამხედროების ტერაქტთან კავშირს გამორიცხავს

„რუსეთის სამხედრო ბაზების არც ერთ სამხედრო მოსამსახურეს, მით უმეტეს მათ სამოქალაქო პერსონალს, არანაირი კავშირი არა აქვს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან", — განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო სამხედრო სამართლის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლეონიდ ივანოვმა. რუსეთის სამხედროების ტერაქტში სავარაუდო მონაწილეობის დაბრალების მცდელობა, ივანოვის თქმით, ღრმა მწუხარებას იწვევს, ვინაიდან ყველაფერმა ამან შესაძლოა გამოიწვიოს ურთიერთობათა გართულება ორი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროებს შორის.

ლეონიდ ივანოვმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ამ მცდელობებმა, შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედონ მოსკოვსა და თბილისს შორის სამხედრო თანამშრომლობის სფეროში ამ ბოლო დროს გაუმჯობესებულ ურთიერთობებზე.

### ირანელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

ისლამური რევოლუციის გამარჯვების ცხრამეტი წლისთავის გამო, ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში აჰმად ამინიანმა 11 თებერვალს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, პარლამენტის სპიკერის მოადგილე ელდარ შენგელაია, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ", ჩვენმა კორესპონდენტებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოსათხოვარი



# კახა შევარდნიძე

# დათო კოკაური



1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის ალკვეთისას დაღუპულმა მებრძოლებმა კახა შევარდნიძემ და დათო კოკაურმა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოსვლამდე განსხვავებული, მაგრამ რაღაცით მსგავსი გზა განვლეს. ორივე 26 წლის ასაკში ჩაირიცხა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში. კახა — 1994 წლის 10 ოქტომბერს, დათო — 1996 წლის 7 ივნისს. ამ დროისათვის მათ უკვე მოასწრეს უმაღლესი განათლების მიღება, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა და, რაც მთავარია, იმ წრფელი, ვაჟკაცური თვისებების შეძენა,ურომლისოდაც ქვეყნის პრეზიდენტის თანამებრძოლი ვერ გახდები.

კახამ სამსახურის დაწყებიდან პირველივე წელს დაამტკიცა, რომ ტყუილად არ ენდნენ. მან 1995 წლის 29 აგვისტოს განხორციელებული ტერორისტული აქტის დროს ალმოდებული მანქანიდან გამოიხსნა და დიდი რისკის ფასად საავადმყოფოში მიიყვანა სახელმწიფოს მეთაური. ამის შემდეგაც იგი თავმდაბლად განაგრძობდა რთულ, ვაჟკაცურ სამსახურს, თითქოსდა ჩუმად ემზადებოდა იმ თავგანწირვისათვის, რომელსაც მისთვის გმირის სამარადისო სასუფეველი უნდა დაემკვიდრებინა.

დავით კოკაურისა და კახა შევარდნიძის თავგანწირვა, მათი რაინდული სულისკვეთება ამაოდ არ ჩაივლის, ისინი საპატიო, გამორჩეულ ადგილს დაიკავებენ დამოუკიდებელი, ერთიანი საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის დაცემულთა შორის.

ძნელია რაიმეთი ანუგეშო გარდაცვლილთა ჭირისუფლები, რომელთაც შვილი, ძმა, მეუღლე, მამა მოუკლეს. ამ საყოველთაო მწუხარების ჟამს მათი დამამშვიდებელი სიტყვები არსად მოიძებნება.

დათო კოკაურმა და კახა შევარდნიძემ საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნეს საქართველოს პრეზიდენტი და ამით გადაარჩინეს საქართველო.

სამწუხაროა, რომ 90 წლის შემდეგაც ისევ გაისმის წიწამურში გასროლილი ბერდანის ექო, მაგრამ იმავდროულად ბედნიერებაა, რომ არსებობენ ვაჟკაცები, გმირები, რომლებიც საკუთარი მკერდით ელობებიან საქართველოსათვის გამიზნულ ტყვიებს.

**ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, რ. ადამია, ჯ. ბაბილაშვილი, ჯ. გახოკიძე, კ. თარგამაძე, ა. იოსელიანი, პ. მამრაძე, ვ. ნადიბაიძე, ნ. სავჯაია, ვ. ქუთათელაძე, ი. ანდრიაძე, ზ. ბიზილეიშვილი, ი. გოჩორიძე, ვ. ხაბურძანია.**

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტის დაცვის უფროსი ოფიცრის, უფროსი ლეიტენანტის

კახაბერ გედევანის ძე შევარდნიძის

და სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის მებრძოლის, ზემდეგ

დავით ვაჟას ძე კოკაურის

გმირულად დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულთა ოჯახებს.

უდიდესი გულისტკივილით აღვიქვით კახა შევარდნიძისა და დათო კოკაურის დაღუპვა. ძნელია მათი ახლობლების ნუგეშისცემა. ყველამ უმძიმესი დანაკლისი განვიცადეთ, დავკარგეთ ორი ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი. დათომ და კახამ გმირულად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე, მათ საკუთარი მკერდით დაიცვეს არა მარტო პრეზიდენტი, არამედ საქართველოს მომავალი. ბედნიერია ხალხი, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს. ქედს ვიხრით ამ ვაჟკაცების ნათელი ხსოვნის წინაშე.

სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლები.

## საერთაშორისო თანამეგობრობა

### უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

უკრაინა შეაშფოთა და შეძრა ცნობამ 1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის შესახებ, ამავე დროს, შვებით ამოისუნთქა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს ძალადობისა და ტერორიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, როგორც ნებისმიერი პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია განაცხადოს, რომ საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმა უკრაინაში მიაჩნიათ მორიგ თავხედურ ცდად, გამოიწვიონ ვითარების დესტაბილიზაცია არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიაშიც.

უკრაინა მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, კავკასიის რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფის კურსს.

უკრაინაში იმედოვნებენ, რომ თბილისში მომხდარი ტერორისტული აქტი ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს სიტუაციის განვითარებაზე საქართველოში და რომ მეგობარ ქართველ ხალხს და სახელმწიფოს ხელმძღვანელობას, უწინარესად, ედუარდ შევარდნაძეს, შესწევთ ძალა, ვაჟკაცობა და სიბრძნე, ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

### სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დიდ შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძეზე 9 თებერვალს მომხდარი თავდასხმის გამო.

ეს ტერორისტული აქტი დესტაბილიზაციისა და აფეთქებასაშიში სიტუაციის შექმნის საფრთხეს ქმნიდა არა მარტო მოძმე საქართველოში, არამედ მთელ რეგიონშიც.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მკაცრად გმობს ამგვარ მოქმედებას და მტკიცედ უჭერს მხარს მეგობარი საქართველოს ხელმძღვანელობასა და პროგრესულ ძალებს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ და ეკონომიკურ გარდაქმნათა თანამიმდევრული განხორციელების საქმეში.

ერევანი, 1998 წლის 10 თებერვალი.

### აღტაცებული ვართ საქართველოს პრეზიდენტის სიმტკიცითა და ვაჟკაცობით

— ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თბილისის საელჩო შეაძრწუნა ცინიკურმა შეიარაღებულმა თავდასხმამ საქართველოს პრეზიდენტზე ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე და მტკიცედ გმობს ამ ტერორისტულ აქტს, — განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯან იუნციუანმა. — ჩვენ აღტაცებული ვართ ბატონი პრეზიდენტის სიმტკიცითა და ვაჟკაცობით და იმედი გვაქვს, რომ იგი განაგრძობს დაწყებულ საქმეს და ბოლომდე მიიყვანს თავის ისტორიულ მისიას.

### ევროპის საბჭო წევრ სახელმწიფოებს ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს

10 თებერვალს სტრასბურგში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევროპის საბჭოს მინისტრთა საბჭოს მოქმედმა თავმჯდომარემ კლაუს კინკელმა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ლენი ფიშერმა და ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დანიელ ტარშისმა მკაცრად დაგმეს საქართველოს პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტი, — იუწყება ევროპის საბჭოს პრესრელიზი.

„ამ აქტის მიზანი იყო რეგიონის დესტაბილიზაცია იმ პირებზე თავდასხმის გზით, რომლებიც იღწვიან დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპთა განმტკიცებისათვის. ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვუჭერთ მხარს საქართველოს პრეზიდენტს მის ქვეყანაში მიმდინარე რეფორმირების პროცესში. დარწმუნებული ვარ, რომ დემოკრატიული მეთოდების გამოყენებით იგი შეინარჩუნებს სტაბილურობას თავის ქვეყანაში", — განაცხადა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ორგანიზაციის წევრი 40 სახელმწიფოს მთავრობებს მოუწოდა 1997 წლის სტრასბურგის ოქტომბრის სამიტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობისაკენ.

კლაუს კინკელი, ლენი ფიშერი და დანიელ ტარშისი თავდასხმის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს თანაგრძნობას უცხადებენ.

პრესრელიზი იტყობინება, რომ ამჟამად იხილება საქართველოს განაცხადი ევროპის საბჭოში გაწევრიანების შესახებ. „საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმები მიმდინარეობს. ეს ქვეყანა პირველია ამიერკავკასიაში, რომელმაც სიკვდილით დასჯა გააუქმა", — განაცხადა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა.

საქინფორმი.

### ეუთო გმობს ტერორისტულ აქტს

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მოქმედმა თავმჯდომარემ, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრონისლავ გერემეკმა დაგმო 9 თებერვალს, ღამით საქართველოს პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმა, — ნათქვამია ეუთოს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

— საქართველოს ლიდერის ლიკვიდაციისა და მასზე ასეთი სახტიკი თავდასხმის განხორციელება თავზარდამცემი და ყოვლად შეუწყნარებელია, — განაცხადა 10 თებერვალს ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ და სამძიმარი გამოუცხადა თავდასხმის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს.

პრესრელიზის ცნობით, ბრონისლავ გერემეკმა შვება გამოთქვა პრეზიდენტის უვნებლად გადარჩენის გამო და მოუწოდა საქართველოს მოსახლეობას, შეინარჩუნოს სიმშვიდე და სტაბილურობა. ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, ბატონ შევარდნაძის მნიშვნელოვანი როლი დემოკრატიული და სტაბილური საქართველოს მშენებლობაში.

საქართველოში ეუთოს მისია, რომელსაც აქვს შტაბ-ბინა თბილისში და ოფისი ცხინვალში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს და ყურადღებით ადევნებს თვალს სიტუაციის შემდგომ განვითარებას, — აღნიშნულია ორგანიზაციის პრესრელიზში.

საქინფორმი.

### გაეროში ეუთოს წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები შეშფოთებული არიან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, ელჩმა პეტრე ჩხეიძემ საქინფორმს აცნობა, რომ 11 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყნის, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, პროფესორ ბრონისლავ გერემეკის შეხვედრა გაეროში ეუთოს წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებთან.

მინისტრმა ილაპარაკა ეუთოსა და გაეროს თანამშრომლობის პერსპექტივებზე. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საქართველოს პრეზიდენტზე მომხდარი თავდასხმის ფაქტს.

იმავე დღეს გაეროსთან საქართველოს წარმომადგენლობის მიმართვის საფუძველზე, გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება მომხდარი ტერორისტული აქტის შესახებ.

ბოლო ორი დღის განმავლობაში, თავიანთი მთავრობების სახელით, საქართველოს წარმომადგენლობას დაუკავშირდა და საქართველოსადმი სოლიდარობა, მისი პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი ღრმა პატივისცემა და საუკეთესო სურვილები დაადასტურეს გაეროში აკრედიტებულ მისიათა და მეთევალყურე ორგანიზაციების მეთაურებმა, გაეროს სამდივნოს სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებმა. მათ შეშფოთებას იწვევს ხელის აღმართვა ადამიანზე, ვისი სახელიც მსოფლიოს ერების ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისს უკავშირდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში პრაქტიკულად არ წყდება ტელეფონის ზარი, — იტყობინება ბატონი პეტრე ჩხეიძე, — გარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებისა, გვიკავშირდებიან რიგითი მოქალაქეები, გვთხოვენ მათი სახელით გადავცეთ გულთბილი მისალმება საქართველოს პრეზიდენტს, ჩვენს ხალხს.

საქინფორმი.

## დეტალები

# დაწვრილებით ტერორისტული აქტის შესახებ

**ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის სრული, დაზუსტებული სურათი წარმოადგინა „ბლექ სი პრესის" კორესპონდენტთან საუბარში ამ მოვლენის სამმა უშუალო მონაწილემ — პრეზიდენტის პირადმა მძღოლმა გივი ელიზბარაშვილმა, პრეზიდენტის დაცვის უფროსმა ზაზა მაზმიშვილმა და თანხლების სამსახურის კაპიტანმა გარი სიმონიანმა, რომელმაც საკუთარი ავტომანქანით გაიყვანა პრეზიდენტი სროლის ადგილიდან.**

ზაზა მაზმიშვილი: როგორც წესი, კორტეჟის გავლის წინ 10-15 წუთით ადრე ტრასაზე გაიარეს სახელმწიფო დაცვისა და სახელმწიფო ავტოინსპექციის მანქანებმა. მანქანებში მსხდომი ადამიანები ათვალიერებდნენ არემარეს. მათ ვერაფერი საეჭვო ვერ შენიშნეს. ტერორისტები თავიანთ ადგილებზე გამოჩნდნენ პრეზიდენტის მანქანის გავლამდე 1-2 წუთით ადრე. ჩანს, ვიღაც ადევნებდა თვალს კოლონის მოძრაობას ქალაქში და საჭირო მომენტში გასცა ბრძანება. კორტეჟში იყო პრეზიდენტის პირადი დაცვის 6 წევრი და სპეციალური დანიშნულების რაზმის 5 მებრძოლი. მე შეიარაღებული ვიყავი ჩეხური წარმოების „ჩზ-75" პისტოლეტით და კიდევ ერთი მჭიდი მქონდა თადარიგში.

გარი სიმონიანი: ვიდექი პოსტზე. ეს იყო პირველი დღე ახალ თანამდებობაზე ჩემი მუშაობისა — კორტეჟის სამსახურიდან პრეზიდენტის თანმხლებ ჯგუფში გადმოვედი. დავინახე მოახლოებული კორტეჟი — და, უცებ, გაისმა ყუმბარსატყორცნის სროლის ხმა, პრეზიდენტის მანქანას მოედო ცეცხლი.

გივი ელიზბარაშვილი: კორტეჟი საათში 100 კილომეტრზე მეტი სიჩქარით მოდიოდა. სროლა ატყდა მაშინ, როცა 300-არაგველის ძეგლთან მცირე მოსახვევის გამო, მანქანებმა უკლეს სიჩქარეს, ყუმბარმტყორცნის პირველი ჭურვი ჩვენს მანქანას მოხვდა, რომელშიც ისხდნენ პრეზიდენტი და დაცვის უფროსი ვახტანგ ქუთათელაძე.

ზაზა მაზმიშვილი: მე ვიჯექი თანმხლებ მანქანაში, „ჯიპში", მძღოლის გვერდით. ჩემთან ერთად იყვნენ პრეზიდენტის დაცვის წევრები, სულ ექვსნი ვიყავით. ქუჩა ჩაბნელებული იყო. მას შემდეგ რაც სროლის ხმა გაისმა, ერთ-ერთი მანქანა მარჯვნისაკენ გადაიხარა.

გივი ელიზბარაშვილი: პირდაპირი მოხვედრის შემდეგ, ჩვენი მანქანის ძრავა ჩაქრა, ირგვლივ წყვდიადი იყო. მანქანა არ დამიმუხრუჭებია, რადგან ზეპირად ვიცი ეს ტრასა. მთელი ყურადღება დავუთმე იმას, რომ მანქანა არ ამობრუნებულიყო და განეგრძო მოძრაობა ინერციით. იგი დაახლოებით 4 ტონას იწონის. ეს მოვახერხე. ვახტანგ ქუთათელაძემ იკითხა, კიდევ რისი გაკეთება შეიძლებაო, რაზეც ვუპასუხე — არაფრის.

ზაზა მაზმიშვილი: ჩვენს თანმხლებ მანქანას ყუმბარმტყორცნის ჭურვი მოხვდა და მე ვუბრძანე ყველას დაეტოვებინა მანქანა. ერთი ჩვენგანი — ვლადიმერ კახეთელიძე — ამ დროისათვის უკვე დაჭრილი იყო. გადმოსვლაში დავეხმარე და მანქანაში დავრჩი მარტო. გავწექი დასაჯდომზე და შევეცადე შემეფასებინა ვითარება. რამდენიმე წამის შემდეგ შევძელი მანქანიდან გადმოვსულიყავი და უკანა ბორბალს ამოვფარებოდი.

გივი ელიზბარაშვილი: პრეზიდენტის მანქანა გარკვეულ ხანს ინერციით მოძრაობდა და, ბოლოს, გაჩერდა. მანქანიდან გადმოსვლის საშუალებას არ გვაძლევდა ავტომატის გაუთავებელი ჯერი. პირადი დაცვა და სპეციალური დანიშნულების მეომრები რომ არ ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში, რომლებმაც ცეცხლი თავიანთ თავზე მიიღეს, არვინ უწყის, რით დამთავრდებოდა ყველაფერი.

ზაზა მაზმიშვილი: კორტეჟის მეიდივე მანქანა ააფეთქეს ყუმბარმტყორცნით. ჩვენ ავტომატის ცეცხლს გვიშენდნენ, შემდეგ ხელყუმბარები დაგვაყარეს.

გივი ელიზბარაშვილი: ყუმბარმტყორცნის მეორე ჭურვის მოხვედრის შემდეგ, პრეზიდენტის მანქანაში გაჩნდა კვამლი, იწვებოდა ძრავა.

ზაზა მაზმიშვილი: ბიჭებმა დამიძახეს — ბენზინი იღვრება და, შესაძლოა, ყველაფერი აფეთქდესო. მე დამფარეს საპასუხო ცეცხლით და მოვახერხე მივხოხებულიყავი ტროტუარამდე, ხეს ამოვეფარე, შემდეგ გამითავდა ტყვიები. რაციებითა და მობილური ტელეფონებით გამოვიძახეთ დამხმარე ძალა. უცრად, გაისმა ტელეფონის ზარი. ეს ჩემი მეუღლე რეკავდა, რადგან მან შინ გაიგო სროლის ხმა. მე ხომ „ისნის" მეტროსთან ვცხოვრობ. შეშფოთებულმა მკითხა, რა ხდებაო. ვუთხარი: განსაკუთრებული არაფერი, მალე მოვალ შინ.

გარი სიმონიანი: დავინახე, თუ როგორ ილებოდა პრეზიდენტის მანქანის წინა მარჯვენა კარი. შემდეგ მანქანიდან გამოჩნდა სახელმწიფო დაცვის უფროსი ვახტანგ ქუთათელაძე. მე მას დავუძახე, რომ იქვე ვიყავი. მან მიბრძანა მომეყვანა მანქანა. როცა შემთხვევის ადგილზე მივედი, ვახტანგი გადმოვიდა ცეცხლმოდებული „მერსედესიდან", იგი თავისი სხეულით ფარავდა პრეზიდენტს. მთელი ამ დროის განმავლობაში ირგვლივ ტყვიების ზუზუნი ისმოდა. ასე გადმოსხდნენ ისინი ჩემს მანქანაში. ქუთათელაძე წინ დაჯდა, პრეზიდენტი — უკან.

ზაზა მაზმიშვილი: ლადო კახეთელიძე უკვე მანქანაშივე დაიჭრა... მე მას მანქანიდან გადმოსვლაში დავეხმარე. არჩილ საბედაშვილი დაჭრილს თავისი სხეულით ფარავდა. კახა შევარდნიძემ თავის თავზე მიიღო ავტომატის დამიზნებითი ჯერი. მას ავტომატის ტყვიებმა მკერდი დაუცხრილეს. როცა ცეცხლი ჩაცხრა, ერთ-ერთი ჩვენიანი პარალელურ ტრასაზე გადავიდა, მანქანის გაჩერება უნდოდა, რათა დაჭრილები ჩაესვა. თეთრი ფერის „ჟიგული-06" მარკის მანქანამ არ გააჩერა. შემდეგ გამოიარა თეთრმა რაფმა, მძღოლმა ჩაისვა დაჭრილები და საავადმყოფოში მიიყვანა. იგი რომ არ ყოფილიყო, იქნებ, დაჭრილთაგან კიდევ ვინმე დაღუპულიყო. იმ არეულობაში, არც კი მიკითხავს მძღოლის სახელი.

გივი ელიზბარაშვილი: ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯავშნიანი ავტომობილი დაცული იყო მხოლოდ ავტომატური იარაღისგან, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი, რომ იგი გაუძლებდა ყუმბარმტყორცნის ჭურვის პირდაპირ მოხვედრას. შემდეგ, ჩვენთან მანქანით მოვიდა თანხლების სამსახურის თანამშრომელი გარი სიმონიანი. ვახტანგ ქუთათელაძემ გააღო კარი, საკუთარი სხეულით გადაეფარა პრეზიდენტს, ისინი ჩასხდნენ მანქანაში და რეზიდენციისაკენ გასწიეს.

გარი სიმონიანი: ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ შიში ვერც კი ვიგრძენი. როცა პრეზიდენტი ჩემს მანქანაში გადმოჯდა, ავტომატის სროლა ატეხეს, მაგრამ ტყვია არ მოგვხვედრია, რადგან ხილვადობა იყო ცუდი, ქუჩა ჩაბნელებული იყო და, თანაც, ყველაფერი დაეფარა ცეცხლმოდებული მანქანების კვამლს. და, ალბათ, თავდამსხმელთათვისაც მოულოდნელი იყო, რომ მანქანაში, რომელსაც სამჯერ მოარტყეს ყუმბარმტყორცნის ჭურვი, ვინმე ცოცხალი გადარჩებოდა.

ზაზა მაზმიშვილი: ვფიქრობ, თავდამსხმელები არ ელოდნენ მედგარ წინააღმდეგობას. ისინი, ალბათ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყუმბარმტყორცნის გასროლის შემდეგ ცოცხალი არავინ დარჩებოდა... ან, იქნებ, იმის იმედი ჰქონდათ, რომ დავიბნეოდით. ისინი პროფესიონალები იყვნენ. ყველაფერი მოწმობს იმას, რომ ოპერაციისათვის ძალზე დიდხანს ემზადებოდნენ და მისი ყველა დეტალი შეისწავლეს, დაახლოებით 100 კილომეტრი სიჩქარით მიმავალი მანქანისათვის ყუმბარმტყორცნის ჭურვის მოხვედრის ტრაექტორიაც კი გამოთვლილი ჰქონდათ.

გივი ელიზბარაშვილი: გერმანიის მთავრობის ნაჩუქარი ეს „მერსედესი" რომ არა, არავინ იცის რით დამთავრდებოდა ყველაფერი.

გარი სიმონიანი: რეზიდენციამდე 3 წუთში მივედით. პირველი, რაც თქვა პრეზიდენტმა, როცა ჩემს მანქანაში გადმოჯდა, იყო ის, რომ იკითხა — როგორ არიან ბიჭები... იგი სულაც არ იყო დაბნეული, ვაჟკაცურად იქცეოდა.

ზაზა მაზმიშვილი: როცა ტყვიები გაგვითავდა და შევწყვიტეთ სროლა, ტერორისტებმაც შეწყვიტეს ცეცხლი, ჩანს გადაწყვიტეს, რომ ყველა დავიღუპეთ, თავდასხმის დაწყებიდან 5-6 წუთში დამატებითი ძალები მოვიდნენ. ჩემმა ქვეგანაყოფმა, ჩემმა თანამშრომლებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად გააკეთეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ. ჩვენ უნდა უზრუნველგვეყოთ პრეზიდენტის უსაფრთხოება და გაგვეხიზნოთ იგი შესაძლო თავდასხმის ადგილიდან. რაც გავაკეთეთ კიდეც.

„ბლექ სი პრესი".

### ერთი გაეწერა, მეორე მალე მოშჯობინდება

9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე შეიარაღებული თავდასხმის დროს, მეტაკებისას დაიჭრა დაცვის ოთხი თანამშრომელი, რომელთაც თბილისის № 1 საავადმყოფოში უმკურნალეს. ჩვენი კორესპონდენტი დაუკავშირდა პირველი საავადმყოფოს მთავარ ექიმს **ზურაბ ბარათაშვილს** და მათი ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა.

— ორი მათგანი მსუბუქად იყო დაჭრილი და ჩვენთან პირველადი დახმარება გავუწიეთ. ბაჩო საბედაშვილი და ვლადიმერ კახეთელიძე კი საავადმყოფოში მოვათავსეთ. ვოვა კახეთელიძეს გულმკერდში შემავალი ჭრილობის გამო მარცხენა ფილტვი ჰქონდა დაზიანებული. მას ოპერაცია გაუკეთა გულმკერდის ქირურგიის განყოფილების გამგემ კოტე გობეჩიამ. დღესხვალ ფეხზე დადგება და, ალბათ, მალე გამომჯობინდება.

ბაჩო საბედაშვილიც გულმკერდში იყო დაჭრილი — ნალმის ნამსხვრევები თეძოსა და წელის მიდამოებში ჰქონდა. მას ოპერაცია არ დასჭირვებია. 12 თებერვალს საავადმყოფოდან გაეწერა.

საკუთარი ინფორმაცია.

## ხმა ერისა

### ვიმედოვნებთ, უმოკლეს დროში დაადგენენ

როდესაც ტერორისტული აქტი საჯარისო თავდასხმის ხასიათს იძენს, ასეთი ფაქტი დანაშაულის ობიექტის დიდ მნიშვნელობასა და დასახული მიზნის გლობალურობაზე, მის სიმძიმეზე მეტყველებს.

საქართველოს იურისტთა საზოგადოებრიობა ღრმა გულისწყრომას გამოხატავს სახელმწიფო მეთაურზე ვანდალური აქციის განხორციელების გამო. ამასთან, რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის საგამოძიებო ორგანოები უმოკლეს დროში დაადგენენ ტერორისტული აქტის შემსრულებლებს და ამ საზარელი აქციის შემსრულებელთა ზურგს უკან მდგომთ.

საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს მფარველობს ღვთის ძალა, რაც განაპირობებს საქართველოს ბედ-იღბალს.

საქართველოს იურისტები უსურვებენ ქვეყნის მესაჭეს მისთვის ჩვეულ სულიერ მხნეობას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ და აღუთქვამენ ყოველ ჟამს მის გვერდით დგომას.

საქართველოს იურისტთა კავშირი.

### მხოლოდ ღმერთის იმედად არ უნდა ვიყოთ

ქართველი არქიტექტორები შეძრა და აღაშფოთა პრეზიდენტზე თავდასხმამ. ეს თავხედური, ცინიკური გამოწვევაა მთელი ერის, მთელი მოსახლეობისა. ეს გამოწვევა უნდა მივიღოთ და პრინციპულად ვიმოქმედოთ.

საქართველოს კიდევ ერთხელ გადააფარა თავისი მძლეთამძლე ხელი მაღალმა ღმერთმა, ამჯერადაც ააცილა მას გულისკენ ნასროლი ტყვია. მაგრამ იმდენად დიდია რისკი ჩვენი შვილების და შვილიშვილების, საერთოდ ერის ყოფნა-არყოფნისა, მხოლოდ ღმერთის იმედად არ შეიძლება ვიყოთ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ძალოვან სტრუქტურებს.

1995 წლის ტერორისტულმა აქტმა არაერთ ნაძირალას და პათოლოგიურ მკვლელს მიუჩინა საკადრისი ადგილი. ქაოსი არ შედგა, პირიქით, ქვეყანა დემოკრატიისა და სამართლიანობის ახალ, უფრო მაღალ მიჯნაზე გავიდა. გვჯერა, ამჯერადაც ასე მოხდება.

გვიგულეთ თქვენს გვერდით, ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

### თუ საჭიროა, ჩვენ თვითონ დავიცავთ

10 თებერვალს ელმავალმშენებელი ქარხნის მუშები ეზოში შეიკრიბნენ, ელოდნენ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომლებმაც მოსვლა არ დააყოვნეს, — გადარჩა პრეზიდენტი, ქვეყანაც გადარჩა! — დაამშვიდა ბატონმა აკაკი ჩხაიძემ.

რკინიგზის დეპარტამენტში გამართულ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, პროფკავშირების, ქალთა საბჭოს, ახალგაზრდობის, ვეტერანთა წარმომადგენლები და მომხდარისადმი პროტესტთან ერთად საკუთარი მხარდაჭერა გამოხატეს ქვეყნისა და პრეზიდენტისადმი. იმ ღამეს მთელი საქართველო ფეხზე იდგა, მათ შორის რკინიგზელებიც. მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს ქვეყნის პრეზიდენტისა და მისი პოლიტიკისადმი ერთგულება, თუ ამის საჭიროება იქნება, ისინი მზად არიან უანგაროდ დაიცვან პრეზიდენტის უსაფრთხოება, უთხრან, რომ რკინიგზის ყველა სამსახური, წარმოება და ორგანიზაცია მობილიზებულია.

### თითქოსდა გვაკლდა ჭრილობა

ისევ გვესროლე, თითქოსდა
არ გვქონდა, გვაკლდა ჭრილობა,
ნუთუ დავკარგეთ, არ გვინდა
ძმობა და მიმიშვილობა?
დღეს ის დრო ღმერთმა გვაღირსა,
პირდაპირ იტყვი სიმართლეს,
ყუმბარით რად იმუქრები,
საფრთხეს რად უქმნი სინათლეს?
ბოროტი რომ ხარ, კი ვიცი,
არ მჯერა, რომ არ გესმოდეს —
შენ პიროვნებას არ ჰკლავდი,
შენ საქართველოს ესროლე.

**ნოდარ ხუნდაძე,**
ლტოლვილი გაგრიდან.
1998 წლის 10 თებერვალი.

### გვწამს, რომ საქართველო გაიმარჯვებს

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემია ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტისათვის მოწყობილი ტერაქტის გამო. ეს საგანგაშო მოვლენაა, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო სტაბილურობისაგან.

საქართველოს პრეზიდენტის ეს უკვე მერამდენე გადარჩენა პირადი განსაცდელისაგან, გვიმტკიცებს რწმენას, რომ საქართველოს ღმერთი არ გასწირავს.

ჩვენ ვუერთდებით ქვეყნის პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გამოთქმულ აღშფოთებასა და გულისტკივილს მომხდარის გამო. აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი გარემოების შესახებაც. გვინდა ვთხოვოთ ყველას, ვინც თავს ვალდებულად ჩათვლის მომხდარის გამო საჯაროდ გამოთქვას თავისი შეხედულება, თავი შეიკავოს ამ ფაქტთან ამა თუ იმ ქვეყნის დაკავშირებისაგან — იქნება ეს რუსეთი, ჩეჩნეთი თუ სხვა რომელიმე. ეროვნული და სახელმწიფოებრივი ურთიერთობები ფაქიზი თემაა და საჯარო საუბრებში მარტივი ვარაუდებისა და ჭორების გამოთქმა ისედაც დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ვფიქრობთ, რომ გაუმართლებელია.

ჩვენ ვთხოვთ ყველას, მაგალითი თვითონ ქვეყნის პრეზიდენტისაგან აიღონ.

ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემია გმობს ყოველგვარ ტერაქტს, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის და ქვეყნის პრეზიდენტის წინააღმდეგ.

ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის სახელით:

**ვახტანგ გოგუაძე, კონსტანტინე კემულარია, ვალერი კვარაცხელია, იგორ კვესელავა, გივი მარუაშვილი, ჯემალ ნინუა, გრიგოლ ჟვანია, კლიმენტი შელია.**

### უფალი კვლავ ჩვენთანაა!

გამოვხატავთ რა უკიდურეს აღშფოთებას საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მიმდინარე წლის 9 თებერვალს განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო, უფალს ულრმეს მადლობას ვწირავთ ბატონი ედუარდ შევარდნაძისა და ჩვენი სამშობლოს კიდევ ერთხელ სასწაულებრივი გადარჩენისათვის. ამასთან, ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ აღნიშნული ტერაქტის დროს გმირულად დაღუპულთა ოჯახებს.

ეჭვი არ არის, რომ 9 თებერვლის სამხედრო ოპერაცია არის საქართველოში, კავკასიასა და მთლიანად მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული, საბჭოთა იმპერიის აღდგენის მოსურნეთა მიერ დაგეგმილი და ჩვენს ქვეყანაში არსებული „მეხუთე კოლონისა" თუ მაფიოზურ-კრიმინალური ელემენტების „შეწევნით" რეალიზებული მუხანათური აქცია.

საქართველოს პრეზიდენტის უვნებლად გადარჩენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ღვთისმშობლის კავშირის მიერ არაერთგზის დეკლარირებული რწმენა, რომ უფალი არასდროს მიატოვებს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს. უფალი კვლავ ჩვენთანაა! მაგრამ, ამასთან, ეს სასწაული უნდა აღვიქვათ მოწოდებად, რათა ჩვენ თავად კიდევ უფრო მივუახლოვდეთ უფალს და სიტყვით თუ საქმით ისე ვიმოქმედოთ, როგორც ეს ჭეშმარიტად ღვთისმოსავ, თავისუფალი, ერთიანი და დიდი საქართველოსთვის მოღვაწე და მებრძოლ ერს შეეფერება.

ზაზა სიხარულიძე.

### ისტორია არ შებრუნდება

საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებების კავშირის 250-ათასიანი კოლექტივი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას და მიიჩნევს, რომ 9 თებერვლის ბარბაროსული აქტი მიმართულია არა მარტო თქვენს, არამედ მთელი საქართველოს, და მათ შორის თითოეული ჩვენგანის მიმართ.

მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ როგორც ჩვენთან, ასევე ქვეყნის გარეთ არიან რეაქციული ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევთ სიმშვიდე და ყველანაირად ცდილობენ დაამკვიდრონ არეულობა და ქაოსი საქართველოში.

დარწმუნებული ვართ, რომ ისტორია არ შებრუნდება. ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით ჩვენ ავაშენებთ და განვამტკიცებთ თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს.

### თანავუგრძნობთ

თბილისის მე-12 საშუალო სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები გმობენ საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტს და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახებს, პრეზიდენტის დაცვის იმ მებრძოლებისა, რომლებიც უანგაროდ შეეწირნენ პასუხისმგებლობის დიდ გრძნობა.

საქართველოს რესპუბლიკა
№36. პარასკევი. 13 თებერვალი. 1998 წელი.



რუსეთის პრეზიდენტმა, სამწუხაროდ, კვლავ შეირცხვინა თავი საზღვარგარეთის ვიზიტის დროს, წერს „ტაიმსი". უდავოა, ბორის ელცინისა და რომის პაპის შეხვედრას, აგრეთვე ყველა ხელმოწერილ შეთანხმებას თამამად შეიძლება ეწოდოს ისტორიული. მაგრამ, უცხოეთის პრესის აზრით, რუსეთის პრეზიდენტის ქცევა მოწმობს, რომ იგი ცუდად ერკვევა დროსა და სივრცეში და ხშირად ანგარიშმიუცემლად მოქმედებს. რომში გამართულ პრესკონფერენციაზე ისევე, როგორც შვედეთში, დეკემბრის ვიზიტის დროს, ელცინს რამდენჯერმე დასანანი იალლიში მოუვიდა, გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტმა, როდესაც უცნობი ჯარისკაცის საფლავს ყვავილებით ამკობდა, პატივი არ მიაგო იტალიის დროშას. მრჩევლები და პრესმდივანი ამაოდ ცდილობდნენ გამოესწორებინათ სიტუაცია. ელცინი გაბრუებული ჩანდა. თუმცა, ირწმუნებიან, რომ „გრანდ ოტელის" პერსონალმა ნომრის მინი-ბარიდან გაიტანა მთელი ალკოჰოლიანი სასმელები. სამაგიეროდ, იტალიელები მოხიბლული არიან პრეზიდენტის ქალიშვილით, ტატიანა დიაჩენკოთი, აღნიშნავს გაზეთი. იგი წუთითაც არ შორდებოდა მამას და როგორც შეეძლო, ეხმარებოდა რჩევა-დარიგებებით.

### ვიზიტი უვიზო უნდა იყოს

გაზეთი „ჯერმანი ლაივი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება სიტუაციის განვითარებას რუსეთ-პოლონეთის საზღვარზე. იგი შეახსენებს მკითხველს, რომ პოლონეთის მთავრობამ გასული წლის დამლევს ცალმხრივი წესით გააუქმა თავის ტერიტორიაზე უვიზო შესვლა რუსეთისა და ბელორუსიის მოქალაქეებს. გადაწყვეტილების მიღებიდან თვე-ნახევრის შემდეგ გადაწყვეტილების ამკარა აბსურდულობა იგრძნეს თვით პოლონეთის მოქალაქეებმაც. ამ ქვეყნის საზღვრისპირა ქალაქების მცხოვრებნი პიკეტებს უწყობენ საკუთარ საბაჟო საგუშაგოებს, რათა აიძულონ მთავრობა, გააუქმოს მიღებული გადაწყვეტილება. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონეთში რუსი და ბელორუსი ვაჭრების უვიზო ჩასვლის გაუქმებისთანავე პოლონელ კომერსანტთა მოგება ერთბაშად ორჯერ შემცირდა. ამას შედეგად მოჰყვა პოლონეთის საზღვრისპირა რეგიონების მწვავე ეკონომიური კრიზისი, რომელმაც ადგილობრივი ფირმების უმრავლესობა ლამის გააკოტროს. პოლონელ დემონსტრანტებს განზრახული აქვთ, ბოლომდე მიიყვანონ საქმე და განაგრძონ საბაჟო საგუშაგოების ბლოკადა, სანამ არ მიაღწევენ მეზობელი სახელმწიფოების წარმომადგენლებისათვის სავიზო რეჟიმის სრულ გაუქმებას.

### უნდა ევროპას ევრო?

გერმანიის წამყვანი უნივერსიტეტების 155 სწავლულმა ეკონომისტმა მოითხოვა, გადაიდოს ევროპის ტერიტორიაზე ერთიანი ვალუტის შემოღება, იუწყება დპა სააგენტო. ეკონომისტთა აზრით, ევროპის ქვეყნები დღესდღეობით უბრალოდ არ არიან მზად ევროს შემოღებისათვის, რომელიც 1999 წლის 1 იანვარს არის დანიშნული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება ევროს სწრაფი გაუფასურება, რაც თავის მხრივ, ლახვარს ჩასცემს ევროპის ქვეყნების ეკონომიკას. მეცნიერთა აზრით, გაცილებით უფრო გონივრული იქნებოდა, გაეხანგრძლივებინათ ევროს შემოღებისათვის მზადების პერიოდი კიდევ რამდენიმე წლით. ასეთ შემთხვევაში, ევროპას მიეცემოდა შანსი მიეღო არა მარტო ერთიანი საგადამხდელო საშუალება, არამედ, აგრეთვე, სერიოზული და სტაბილური ვალუტა.

### რატომ უჭერს მხარს დემოკრატიული რუსეთი არადემოკრატიულ რეჟიმებს?

ისრაელის გაზეთი „მაარივი" აანალიზებს სპარსეთის ყურეში მოსალოდნელი აქციის შესაძლო შედეგებს. გაზეთი გამოთქვამს აზრს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერაყის მიმართ სამხედრო ძალის გამოყენებას შედეგად მოჰყვება ცივი ომის განახლება დასავლეთსა და რუსეთს შორის. პრეზიდენტ ბორის ელცინის უკანასკნელი განცხადებები დასავლელ პოლიტიკოსებს აფიქრებინებს, რომ მოახლოვდა მესამე მსოფლიო ომი. გაზეთის აზრით, მთელ მსოფლიოს საგონებელში აგდებს ის გარემოება, რომ რუსეთის ხელისუფალნი თანდათან სულ დაუფარავად უჭერენ მხარს სადამ ჰუსეინის რეჟიმს. თუ ამერიკის შეერთებული შტატები ანგარიშს არ გაუწევს რუსეთის პოზიციას, ელცინი იძულებული გახდება დაიწყოს ამერიკის ადმინისტრაციის მწვავე კრიტიკა, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვება ორმხრივი თავდასხმების განახლება და ცივი ომის დაწყება, დასძენს გაზეთი.

### ბილ კლინტონი — ბრაზილიელი „მაჩოების" გმირი

მინას – ჟერაისის (ბრაზილია) შტატის „მაჩოების" – „ნამდვილი მამაკაცების" მოძრაობამ გადაწყვიტა, „წლიწადის მამაკაცის" პრემია მიანიჭოს ამერიკის ლიდერს. „წინა წლის მანძილზე არავის გაუკეთებია იმდენი რამ, რამდენიც ბილ კლინტონმა გააკეთა ჩვენი ტრადიციების მხარდასაჭერად, განაცხადა ლუის მარიო ლადეირამ, – ბრაზილიის ნებისმიერი პრეზიდენტის ირგვლივ ასეთი სკანდალი რომ ამტყდარიყო, მისი რეიტინგი განუზომლად გაიზრდებოდა. საგულისხმოა, რომ კლინტონი გახდა პირველი არაბრაზილიელი, რომელსაც ეს პრიზი მიენიჭა.



შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს რონალდ რეიგანს 87 წლისთავის დღეს, 6 თებერვალს, აჩუქეს სასიგნალო ეგზემპლარი ახალი წიგნისა „რ. რეიგანის მემკვიდრეობა — ნათელდამდგარი ქალაქი". კრებულში შევიდა რეიგანის პრეზიდენტობისდროინდელი გამოსვლები და მილოცვები მსოფლიოს სახელმწიფო მოღვაწეებისაგან.

### ფროიდი, თურმე, ფროიდიზმს არ იზიარებდა!

ზიგმუნდ ფროიდი თავად არ ყოფილა ფროიდისტი, წერს „ამერიკის ფსიქიატრიის ჟურნალი". პიტსბურგის წმინდა ფრანცისკის სამედიცინო ცენტრის თანამშრომელმა ექიმმა დევიდ ლინმა აღმოაჩინა, რომ ფროიდი არღვევდა ფსიქოანალიზის სამ ძირითად წესს, რომლებიც თვითონვე დაადგინა. ფსიქოანალიტიკოსებს ეკრძალებათ მისცენ რჩევა-დარიგებანი პაციენტებს და გააცნონ მათ თავიანთი პირადი ცხოვრების დეტალები. გარდა ამისა, ექიმისა და პაციენტის საუბრები მკაცრად კონფიდენციალური უნდა იყოს. ექიმი ლინი 8 წელიწადს სწავლობდა „ვენის პატრიარქის" არქივებს, მის მიმოწერას პაციენტებთან, გაშიფრა ფროიდის საუბრების ჩანაწერები. აღმოჩნდა, რომ ექიმი ფროიდი ხშირად მსჯელობდა ნაცნობებთან თავისი პაციენტების პრობლემებზე, უამბობდა თავისი მიდრეკილებების, გემოვნების შესახებ, უზიარებდა შეხედულებებს სექსსა და ქორწინებაზე. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ფროიდის მიერ შემუშავებული წესები დღესაც სამართლიანია და მათი გაუქმება არ ღირს. ამავე დროს, სპეციალისტებს, რომლებიც ხშირად არღვევენ „სამ მცნებას", შეუძლიათ შვებით ამოისუნთქონ, – არც თავად ფროიდი იყო უცოდველი.

### პინოჩეტის როლს მომავალი განსაზღვრავს

ესპანეთის მთავრობა დაიწყებს ოფიციალურ გამოძიებას გენერალ აუგუსტო პინოჩეტის მმართველობის პერიოდის მანძილზე თავის მოქალაქეთა წამებისა და მკვლელობის ფაქტების გამო, წერს ამერიკის გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი". ეპისკოპოს ჰელმუტ ფრენცის თქმით, იგი შემთხვევით მესწრო აუგუსტო პინოჩეტის საჯარო განცხადებას 1974 წელს. განცხადება მეეხებოდა ეგრეთ წოდებულ თავისუფლად მოაზროვნეთა ბედს, რომელთა შეხედულებები და მრწამსი წააგავდა მარქსისტულს და კომუნისტურს. „მათ მოელით წამება და სიკვდილი" – სწორედ ასე უთქვამს დიქტატორს. მარტო ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ჩილეში ხუნტის მმართველობის ჩვიდმეტი წლის მანძილზე დაიხოცა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა ესპანეთის სამი ათასზე მეტი მოქალაქე. მათ შორის იყვნენ, როგორც გამათავისუფლებელი მოძრაობის მხარეზე მდგარი მოხალისენი, ისე დიქტატორის მოწინააღმდეგეთა თანამგრძნობნი. უკვალოდ დაკარგულ და სიკვდილით დასჯილ ესპანელთა შორის არიან ჟურნალისტები, დიპლომატები და სხვადასხვა რანგის პოლიტიკური მოღვაწენი. ამჟამად, ზემოაღნიშნული ფაქტების გამოძიებას, შემოსული მონაცემების შეგროვებასა და შემოწმებას უძღვება ესპანეთის უზენაესი სასამართლო.



ძალიან გაუჭირდათ ავტომობილისტებს ბუენოს-აირესის ქუჩებში. არგენტინას ელ-ნინიომ კოკისპირული წვიმები დაატეხა თავს.

### ჩინეთი: ტყვია თუ შპრიცი?

ჩინეთი შეუდგა სიკვდილით დასჯის ალტერნატიული ხერხების გამოყენებას, იუწყება ამერიკული „კრისჩენ საიენს მონიტორი". შეერთებული შტატების მაგალითისამებრ, ამ ცოტა ხნის წინათ ჩინეთის ხელისუფლებმა ოთხი დამნაშავე სიკვდილით დასაჯეს მომწამვლელი ნივთიერების ინექციის გზით. ნარკოტიკებით მოვაჭრეთა სიკვდილით დასჯის დამსწრე ექიმებმა დაადასტურეს, რომ ინექციამ 30 წამში იმოქმედა. ამჟამად ჩინეთის ხელისუფალნი ბჭობენ, განაგრძონ სიკვდილით დასჯის ტრადიციული მეთოდის – დახვრეტის გამოყენება, თუ ინექციებზე გადავიდნენ, დასძენს მონიტორი.

### მაიმუნები პროტესტს აცხადებენ მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ

ეკონომიკური კრიზისი ტაილანდში გარეულ მაიმუნებსაც კი აიძულებს დაარღვიონ კანონი, იუწყება დპა სააგენტო. სახელმწიფომ შეწყვიტა მაიმუნების საკვებით მომარაგება და ახლა ისინი თავს ესხმიან სოფლებსა და პატარა ქალაქებს. მაიმუნები ართმევენ სარჩოს მარავს გლეხებს, რომლებსაც ისედაც უჭირთ. ამ ბოლო დრომდე, გარეული მაიმუნები ქვეყნის მთავრობის ხარჯზე იღებდნენ ულუფას – ბრინჯსა და კონსერვებს. მაგრამ, ეკონომიკურმა სიძნელეებმა ტაილანდის ხელისუფალნი აიძულა, დაევიწყებინათ ქველმოქმედება. ახლა კი შიმშილმა ადამიანის უმცროს ძმებს დანაშაულის გზაზე უბიძგა.

### ბრიტანეთის დედოფალმა სიკორსკი ამჯობინა

მისმა უდიდებულესობამ დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II გადაწყვიტა, გადაჯდეს ამერიკული წარმოების შვეულმფრენებზე, წერს ამერიკის გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი". როგორც ბუკინგემის სასახლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, დედოფლის გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ „უესექს" სამამულო შვეულმფრენების ექსპლუატაცია ძალიან ძვირი ჯდება — წელიწადში 7,5 მილიონი დოლარი. დედოფალმა ამჯობინა ამერიკული „სიკორსკი ეს-76" შვეულმფრენები. გაანგარიშების თანახმად, ეს სამეფო ოჯახს ყოველწლიურად სამ მილიონამდე დოლარს დაუზოგავს. „სიკორსკის" მოდელი დიდი ეკონომიურობითა და საიმედოობით გამოირჩევა. შვეულმფრენი, რომელშიც 12 კაცი ეტევა, საათში 180 მილ სიჩქარეს ავითარებს.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მელიანას" მასალების მიხედვით.

უძღვება
**არჩილ მანჯგალაძე.**

---

ნაგანო — 98

## საგანგებო შემთხვევა

ზამთრის ოლიმპიადის მორიგი დღე ალმაშფოთებელმა ინფორმაციამ დაჩრდილა: სნოუბორდში ვაჟთა გიგანტური სლალომის გამარჯვებული, კანადელი როს რებალიატი მარიხუანის მოწევაში ამხილეს და არ არის გამორიცხული, იაპონიის კანონმდებლობის შესაბამისად, იგი ციხეში აღმოჩნდეს. ოკეანისგაღმელებმა სოკ-ის ეს ვერსია გააპროტესტეს, მაგრამ თუ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" აღნიშნული ვერდიქტი ძალაში დარჩა, ბუნებრივია, დოპინგის გამოყენებაში შემჩნეულ სპორტსმენს ოქროს მედალი ჩამოერთმევა.

ამასობაში ასპარეზობა პროგრამის მიხედვით გრძელდება და უკვე პირველი გმირიც გამოელინდა – რუსმა მოთხილამურემ ლარისა ლაზუტინამ უკვე მეორე „ოქრო" მოიპოვა, სულ კი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ოთხი უმაღლესი ჯილდო მოუგროვდათ და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ამ მაჩვენებლით ლიდერობენ კიდეც. გერმანელთა და ამერიკელთა ნადავლი ჯერჯერობით თითოთი ნაკლებია, ნორვეგიელებისა – ორით.

დღეს ჩემპიონთა გალერეაში მემდეგ ლაურეატებს წარმოგიდგენთ:

**ქალები. თხილამურებით 10 კმ-ზე რბოლა.** ლარისა ლაზუტინა (რუსეთი).

**ციგურებით 3000 მ-ზე რბოლა.** სილკე კრაუზაარი (გერმანია). **5000 მ-ზე რბოლა.** გუნდა ნიმანი (გერმანია).

**სამთოსათხილამურო სპორტი. გიგანტური სლალომი.** პიკაბო სტრიტი (აშშ).

**ვაჟები. თხილამურებით 10 კმ-ზე რბოლა.** ბიორნ დალი (ნორვეგია).

**ბიათლონი. 20 კმ.** ჰალვარდ ჰანოველდი (ნორვეგია).

**ტრამპლინიდან ხტომა. 90 მ.** იანი სოინინენი (ფინეთი).

**სურათებზე:** ოლიმპიადის ეპიზოდები.



თამაშების ვერცხლის სენსაცია: ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე.



მოედნიდან გაჰყავთ ხელმოტეხილი ნორვეგიელი მოციგურავე გრუნდე ნოსი.



ოლიმპიური ჩემპიონი — იაპონელი მოციგურავე ხიროიასუ შიმიცუ.

ჭიდაობა

## ტახტის მემორიალზე გაემგზავრნენ

17-20 თებერვალს თეირანის (ირანი) სპორტის სასახლეში გაიმართება პოპულარული ირანელი ფალავნის ქვეშმძიმე წონაში მსოფლიოსა და მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ღოლამ რეზა ტახტის ტრადიციული მემორიალი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში.

„ა" კატეგორიის ამ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად 13 თებერვალს თბილისიდან თეირანში ავტობუსით გაემგზავრა საქართველოს საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც არიან ბერძნულ-რომაული სტილის შემდეგი მოჭიდავეები: ვაჟა ომანიძე (54 კგ. თბილისი), კობა გულიაშვილი (58 კგ. მარტყოფი), ალექსანდრე ბოლქვაძე (ოზურგეთი), აკაკი ჩაჩუა (63 კგ. სამტრედია), შმაგი გოქაძე (ქუთაისი), ტარიელ მელელაშვილი (69 კგ. მარტყოფი), გიორგი ჯინჭველაშვილი (ქუთაისი), ხვიჩა ბიჩინაშვილი (76 კგ. სართიჭალა), ემზარ მახარაძე (85 კგ. ბაღდათი), ზაზა სილაგაძე (97 კგ. თბილისი), ხვიჩა ქორიძე (130 კგ. თბილისი), მირიან გიორგაძე (თერჯოლა). ნაკრების უფროსი მწვრთნელია ბეგი დარჩია.

საქართველოს თავისუფალი სტილის ფალავანთა ეროვნულ ნაკრებს სათავეში უდგას უფროსი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე, რომელმაც ირანში წაიყვანა შემდეგი მოჭიდავეები: 54 კგ. – გოჩა კირკიტაძე (ქუთაისი), გიორგი გაგიშვილი (გორი), 63 კგ. – გოდერძი ხარებავა (სოხუმი), კახა დობორჯგინიძე (თბილისი), 69 კგ. – ემზარ ბედინეიშვილი (თბილისი), 76 კგ. – ალეკო კახნიაშვილი, რეზო მინდორაშვილი (ორივე თბილისი), 85 კგ. – გოჩა ჩიხრაძე (გორი), ნიკო ბეგაშვილი (თბილისი), 97 კგ. – დავით ოთიაშვილი (თბილისი), 130 კგ. – ძმები არჩილ და ალექსანდრე მოდებაძეები.

საქართველოს ორთავე ნაკრების უფროსი მწვრთნელები ირანის ტრადიციულ ტურნირს ევროპის 1998 წლის პირადგუნდური ჩემპიონატის მზადების ერთ-ერთ ეტაპად მიიჩნევენ.

**შოთა ბოკერია.**

ფარიკაობა

## ასპარეზობენ თბილისელი მუშკეტერები



სურათზე: ასპარეზობის ერთი მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ფარიკაობის სპეციალიზებულ დარბაზში დამთავრდა მოფარიკავეთა დედაქალაქის ჩემპიონატი.

შეჯიბრებაში (მთავარი მსაჯი გურამ ლორთქიფანიძე) 80-ზე მეტი ქალ-ვაჟი მონაწილეობდა. სამდღიანი ორთაბრძოლის შემდეგ კვარცხლბეკი ასე გამოიყურება:

**დაშნა: ქალები:** 1. ეთერ მახვილაძე, 2. ნათია საკაშვილი, 3. ნინო იმნაძე. **ვაჟები:** 1. სერგო ხატიაშვილი, 2. მალხაზ ლომიძე, 3. ნიკოლოზ სილაგაძე.

**რაპირა. ქალები:** 1. რუსუდან მაჩიტაძე, 2. ქრისტინა მერმანიშვილი, 3. ნათია მორჩილაძე. **ვაჟები:** 1. გიორგი ფირცხელაშვილი, 2. გიორგი სირბილაძე, 3. აკაკი მაჩაიძე და თორნიკე ფაჩულია.

**ხმალი:** 1. ავთანდილ სტურუა, 2. ზვიად ბექაური, 3. ნიკოლოზ საკაშვილი.

**ეკა ბესტავაშვილი.**

ჭადრაკი

## უმცროსები უფროსებს ჯაბნიან



თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 34 გოგონა და 46 ვაჟი მონაწილეობს. შეჯიბრება შესარჩევი ტურნირიც გახლავთ, რადგან ჩემპიონები წლევანდელი მსოფლიო პირველობის საგზურებს მიიღებენ, ხოლო ვიცეჩემპიონები ევროპელ თანატოლებთან ორთაბრძოლებში გამოცდიან ძალებს.

საგზურებისთვის პაექრობაში უმცროსი ასაკის მოჭადრაკეებიც არიან ჩაბმული და არცთუ იშვიათად უფროსებსაც ამარცხებენ. ასე მოხდა გუშინდელ მე-6 ტურშიც. 11 წლის ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემ ლილე ცალუღელაშვილს სძლია და ახლა 4,5 ქულით თანაქალაქელ ნათია აფხაიძესთან ერთად III-IV ადგილებს იყოფს. 5-5 ქულით კი ლიდერობენ 16 და 14 წლის მოჭადრაკეთა შორის შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონები — სოხუმელი რუსუდან გოლეთიანი და თელაველი ანა მათნაძე.

ვაჟთა შეჯიბრებაზე ასევე 5-5 ქულით დაწინაურდნენ ვახტანგ ჩიქოვანი, გიორგი ბახტაძე და მიხეილ მჭედლიშვილი, რომლებმაც გუშინ, შესაბამისად, დავით არუთინიანი, ვალერი გაფრინდაშვილი და დავით შენგელია დაამარცხეს.

დღეს მეშვიდე ტურია.



**სურათებზე:** შეჯიბრების მომენტები.

ვაჟა დანელიას ტექსტი და ფოტო.

ფეხბურთი

## მსოფლიოს სტადიონებზე

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები სამარცხვინოდ გამოეთიშა „კონკაკაფის ოქროს თასის" გათამაშებას.

ქვეჯგუფში ორი უსახური ფრეს შემდეგ სამხრეთამერიკელები მასპინძლებთან – აშშ-ს გუნდთან ნახევარფინალში დამარცხდნენ – 0:1.

* * *

მოულოდნელი შედეგით დასრულდა ლონდონის „უემბლის" სტადიონზე გამართული ამხანაგური საფეხბურთო მატჩი ინგლისი – ჩილე – 0:2.

სტუმრებს გამარჯვება მარსელო სალასის ორმა გოლმა მოუტანა.

* * *

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში ლიდერებმა სტუმრად ერთნაირი შედეგებით დაამთავრეს შეხვედრები:

„ბრეშია" – „იუვენტუსი" 1:1, „ფიორენტინა" – „ინტერი" 1:1.

„იუვენტუსი" – 45, „ინტერი" – 41 ქულა.

უძღვება
**ანზორ ბასილაია.**




# დედოფალი

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველთვიური დამატება | №2 (11) | 13 თებერვალი, 1998 წელი.


## ეპისტოლე

მრავალმა სხვა თვალით დაინახა სამყარო, სხვა თვალით შეხედა თავის და თავისი ახლობლების ცხოვრებას, გაეხსნა სულიერი ხედვა და დაიწყო ზრუნვა მარადიული ცხოვრებისათვის. ფრიად სამწუხარო ის არის, რომ ამ პროცესს თან დაერთო ჟამი სულიერ ფასეულობათა მსხვრევისა, რაც პირდაპირი, თუ არაპირდაპირი გზით, თვალნათლივ თუ შეფარულად ხორციელდება. დიდია საშიშროება იმისა, რომ მრავალი ცდუნდეს, რომ ბევრმა ვერ გაარჩიოს ავი და კარგი, რადგან დღეს ჭეშმარიტ რწმენას ურწმუნოება აღარ უპირისპირდება, არამედ ცრუ სარწმუნოება, რომელსაც ჭეშმარიტების დიდი პრეტენზია აქვს. ნამდვილ თავისუფლებას თვითნებობა და თავაშვებულობა სცვლის, რომელიც ასევე ურცხვად იჩემებს თავისუფლების სახელს.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლედან.**

## აღიარება

# ედუარდ შევარდნაძის სახელობის დარბაზი

**როგორც** ცნობილია, 1998 წლიდან საქართველო არჩეულია ფაოს ევროპის რეგიონის აღმოსავლეთ ევროპის ქვერეგიონის თავმჯდომარე ქვეყნად. სულ ახლახან რომში, ფაოს შენობის მეორე სართულზე მდებარე საკონფერენციო დარბაზს ედუარდ შევარდნაძის სახელი ეწოდა. მალე იგი აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკით და საქართველოდან ჩასული წარმომადგენლები იქ იმუშავებენ.

## თებერვალი დადგაო...

# თვითონ მიწა გვეუბნება, ახლოვდება დრო ხვნისა და თესვისაო!

**გაზაფხულის მოახლოება ყველას და ყველაფერს თავის ელფერს ანიჭებს. ამ დროს სოფელში გარეთ გამოდის გლეხი. ყველა საქმეს თავს მიანებებს, გვერდზე გადადებს და მიწას მიხედავს. უხვი მოსავლის მოყვანისათვის მზადებას ისინი ხომ თებერვლიდანვე იწყებენ. მარტო სოფელში კი არა, ქალაქშიც მიმდინარეობს საგაზაფხულო მზადება.**

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში შექმნილია საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის ოპერატიული შტაბი, სხდომა იანვარში უკვე გამართა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა **ვლადიმერ გვარჯალაძემ**, რომელზეც გაანალიზდა გასული წლის შედეგები. აღინიშნა, რომ ქვეყნის ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1998 წლის გაზაფხულზე მოსახნავ-დასათესია 530 ათასი ჰექტარი ფართობი. მათ შორის სამარცვლე სიმინდი დაითესება 230 ათას ჰექტარზე, საგაზაფხულო თავთავიანები – 40, ბოსტნეული – 35, კარტოფილი – 37, მზესუმზირა – 40 ჰექტარზე და ა. შ.

საგაზაფხულო თესვისათვის ჯერჯერობით გამოყოფილი და შემოწმებულია 20 ათასი ცენტნერი მარცვალ-პარკოსანი და 255 ცენტნერი სიმინდის თესლი. თესლის ჩაყრა და შემოწმება გრძელდება. აღსანიშნავია, რომ წელს ძირითადი საგაზაფხულო კულტურების თესლეული საკმარისია. დეფიციტი იქნება მხოლოდ საადრეო კარტოფილის თესლი, რომლის სამ ჯიშს ჯიშთა გამოცდის სადგურთან შეთანხმებით ჰოლანდიიდან შემოიტანენ.

საგაზაფხულო კულტურების დასათესად ქვეყანაში უკვე მოხნულია 130 ათასი ჰექტარი, რაც გასული წლის მაჩვენებელს 10 ათასით აჭარბებს. ხვნის სამუშაოები კვლავ გრძელდება.

გასული წლის შემოდგომით თავთავიანი მარცვლეული დაითესა 164 ათას ჰექტარზე. ჯერჯერობით დალუპული ნათესები არ შეიმჩნევა, მაგრამ საერთო მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. უმეტესი ნათესებისა აღმოცენებულია ან გაღივების ფაზაშია. მაღალი ყინვების გამო საშიშროება ექმნება გაღვივებულ და ახლადაღმოცენებულ ნათესებს.

და მაინც, საბაზრო ეკონომიკა თავისას შვრება. ცხოვრება წინ მიიწევს, იგი თავისი კანონებით გრძელდება. დღეს ჩვენს ფერმერებსა და მეწარმეებს ფართო გზა აქვთ გახსნილი საზღვარგარეთისაკენ: თუ შეგიძლია, წადი, ჩამოიტანე და დანერგე სხვა ქვეყნების გამოცდილება, მიაღწიე შრომის საუკეთესო შედეგებს, არგე თავსაც და ქვეყანასაც.

წინა წლებში, რა გასაკვირია, ჩვენში უმეტესად იაფი, ჩაწოლილი პროდუქცია შემოდიოდა. დღეს საკითხი უკვე სხვაგვარად დგას: რადგან გაქვს პრეტენზია სათავეში ჩაუდგე მეურნეობას, უნდა ეცადო, ქვეყნის ბიუჯეტსაც სახეიროდ წაადგე და მშრომელის ჯიბესაც. უნდა გაუძლო კონკურენციას, სჯობს შემოიტანო ცოტა და საუკეთესო თესლი და თანდათან, თუნდაც წლების შემდეგ მიაღწიო სასურველ შედეგს.

შარშან საქართველოს კერძო ფერმერთა დახმარების ფონდმა (თავმჯდომარე დავით შერვაშიძე) ჰოლანდიიდან შემოიტანა საშუალო, საშუალო-საგვიანო და საგვიანო კარტოფილის ჯიშები. თხუთმეტი ასეთი ჯიშის კარტოფილი იცდებოდა დმანისის რაიონის ჯავახის ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო სადგურში. გასულ წელს ფერმერთა დახმარების ფონდს 50 ჰექტარზე ეთესა საადრეო კარტოფილი. მარტო ბოლნისის რაიონში მიიღეს 1300 ტონა საადრეო კარტოფილი.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ფართობიდან 20 ჰექტარი განსაკუთრებით ძლიერად დაისეტყვა, მაინც საშუალოდ ჰექტარზე 26 ტონა მოსავალია მიღებული, ზოგიერთ ფართობში კი ცალკეული ჯიშების მოსავლიანობამ 30 ტონას გადააჭარბა, – გვითხრა სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მემცენარეობის სამმართველოს უფროსმა **ედნარ მიქანაძემ** და დასძინა, – ეს საადრეო ჯიშებია ჰოლანდიური **„იმპალა“, „სანტე“, „მარფონა“**, რომლებიც უკვე მესამე წელია ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო სადგურებში იცდება.

— ***წლეულს როგორი მდგომარეობაა, ისევ შემოიტანთ უცხოურ თესლს?***

– სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფა. ამიტომაც წლეულს, ამ გაზაფხულზე 125 ტონა სათესლე საადრეო კარტოფილის თესლს კვლავ შემოვიტანთ.

— ***მხოლოდ ჰოლანდიურ კარტოფილს?***

– არა, გერმანიიდანაც შემოვა. 4 თებერვალს გემი უკვე დაიტვირთა ჰოლანდიაში და მალე ჩამოაღწევს ჩვენამდეც.

— ***პარალელურად რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში გვქონდეს ჩვენი საკმარისი საადრეო კარტოფილის თესლი?***

– სელექციური მიღწევების გამოცდისა და დაცვის სახელმწიფო კომისია, რომელსაც აკადემიკოსი **პეტრე ნასყიდაშვილი** ხელმძღვანელობს, ინტენსიურ მუშაობას ეწევა, რათა საქართველოში აღდგეს კარტოფილის მეთესლეობა. ამჟამად ბატონი პეტრე თავის ქსელში კარტოფილის ზონებისათვის აწარმოებს 42 გერმანული და ჰოლანდიური ჯიშის გამოცდას.

ამასთან, წლეულს, იანვარში, შედგა საქართველოს სათესლე კარტოფილის მწარმოებელთა კავშირის დამფუძნებელი კრება, რომლის ორგანიზატორიც გახლდათ გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოება (ხელმძღვანელი **ეკე ჰარდ კლემენსი**)

იხ. მე - 6 გვ.

## გაზაფხულის მოლოდინში



ფოტო რედაქციის არქივიდან.

## თებერვალი დადგაო...

დამფუძნებლები კი არიან მცირე ფერმერთა მხარდამჭერის პროექტი, „ქეა", „ეი სი დეი ვოკა" და საქართველოს კარტოფილის მწარმოებელი ფერმერები. მომავალი წლიდან კი ისევ შემოვიტანთ კარტოფილის რჩეულ საადრეო ჯიშებს ჰოლანდიიდან, 135 ტონის რაოდენობით, რომელიც დაითესება ბოლნისის რაიონში კერძო მეწარმეთა მიერ.

როგორც აღმოჩნდა, საადრეო კარტოფილის ჰოლანდიური ჯიშები ჩვენს გარემოს კარგად შეეგუა. „იმპალა", „სანტე" და „მარფონა" უხვმოსავლიანობით გამოირჩევიან.

და თუ წლეულს ამინდმაც გაამართლა, საადრეო კარტოფილი ბლომად გაიყიდება ჩვენს ბაზრებში.

მანამდე კი ყოველი დღე მცდელობითა და შრომით იქნება დატვირთული ჩვენს სოფლებში.

მაგრამ, რაც უნდა ბევრს ეცადონ ჩვენი მიწათმოქმედნი, მაღალ შედეგებს ვერ მიაღწევენ ორგანული და მინერალური სასუქების გარეშე, რადგან, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის უფროსმა **ირინა ცომაიამ** გვითხრა, 3-4 წელიწადია ნიადაგში არ შეგვიტანია ფოსფორ-კალიუმიანი სასუქები. დღეისათვის გაჩერებულია რუსთავის ქიმიური ქარხანა „აზოტი", რომელიც უახლოეს მომავალში მაინც აუცილებლად უნდა ამუშავდეს.

ამჟამად გაჩიანის სასაწყობო მეურნეობის ტერიტორიაზე დგას სამმაგი სუპერფოსფატით სავსე 32 ვაგონი. სულ წლეულს საქართველოში გაიყიდება 7300 ტონა ეს სასუქი. სასუქი ნორვეგიულია და დაფასოებულია თურქეთში. აღსანიშნავია, რომ ვაგონები 14 დღის განმავლობაში გაჩერებული იყო ჩვენს საბაჟოზე და მის ადგილზე ჩამოსატანად თვითონ მინისტრის მოადგილეები **გურამ დიდბარიძე** და **ნუგზარ დუჩიძეც** დიდად გაისარჯნენ.

გაჩიანიდან სამმაგი სუპერფოსფატიანი სასუქი უკვე წაიღეს მარნეულის, ბოლნისის რაიონებმა, კახეთში და ქართლში შეიქმნება ბაზები, სადაც გაიყიდება იგი. აღსანიშნავია, რომ ერთი 50-კილოგრამიანი ტომარა 15 ლარი ეღირება.

სამმაგი სუპერფოსფატი გამოიყენება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის და იგი აუცილებელი კომპონენტია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად.

რეგიონებისა და სასოფლო სამეურნეო კულტურების მიხედვით შესწავლილია მოთხოვნილება ამ სასუქზე, იგი შეიზიდება რაიონებში მათი განაცხადის მიხედვით და მოხდება მისი რეალიზაცია.

საქართველოში ადრე გამოყენებულ მარტივ ერთ პროცენტიან სუპერფოაფატთან შედარებით მისი გამოყენების ნორმები გაცილებით დაბალია. იგი ჰექტარზე შეიტანება 150-200 კგ-ის რაოდენობით, მაშინ, როდესაც 18-პროცენტიანი სუპერფოსფატი საჭიროა 500-600 კგ. ამის გამო სამმაგი სუპერფოსფატის ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების ხარჯები გაცილებით ნაკლებია, უფრო ეკონომიურია მარტივ 18-პროცენტიან სუპერფოსფატთან შედარებით.

ამასთან, სამმაგი სუპერფოსფატი შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს, ასევე მცენარეთა გამოკვების პერიოდში, რაც არ ზღუდავს მისი გამოყენების პერიოდს.

სამმაგ სუპერფოსფატს უფრო ინტენსიურად გააჩნია შემდეგქმედების უნარი და ამ სასუქით განოყიერებულ ნაკვეთებზე შეიძლება ის აღარ შეიტანონ შემდგომი სამიოთხი წლის განმავლობაში.

როცა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობთ, რომ ორიოდე სიტყვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზეც უნდა ვთქვათ. ბუნებრივია, წლის მოსავლის მოყვანა-დაბინავებაში სიტყვა მასაც ეთქმის. მოსავლის ბედის გადამწყვეტი ისიც არის.

მაღლობა უფალს, მექანიზატორთა ძალისხმევით 1990 წელთან შედარებით ტექნიკა დღეისათვის 65 პროცენტი შენარჩუნებული და აქედან, დიდი ნაწილი გამართულია. საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზად არის ტრაქტორების საერთო რაოდენობის 73, გუთნების 75, კულტივატორების 73, ხორბლეულის სათესების 71, სიმინდის სათესების 64, მინერალური სასუქების გამფანტველების 68 და კარტოფილის სარგავების 60 პროცენტი.

ერთი შეხედვით თითქოს საქმე ურიგოდ არ უნდა იყოს, მაგრამ შარშანდელ ზოგიერთ მწარე გაკვეთილს თუ გავიხსენებთ, გულის დამშვიდება ნაადრევია. როცა გადავხტებით, ჰოპლა მერე დავიძახოთ, – ამით იმის თქმა გვინდა, რომ თუ ტექნიკას ადგილზე შევამოწმებთ, დავრწმუნდებით, რომ საჭირო იქნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამატებით შეკეთება. ამასთან, აუცილებელია სერვისული სამსახურის, სააქციო საზოგადოება „საქსოფლტექნიკის" სრულყოფა და კერძო მფლობელობაში არსებული მთელი ტექნიკის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა.

მხვნელ-მთესველებს ისიც უნდა შევახსენოთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ იაპონური პროგრამის ფარგლებში მიიღო დსთ-ს ქვეყნების წარმოების სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მისი შეძენის მსურველებს ამა წლის 20 თებერვლამდე შეუძლიათ მიმართონ საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის სამმართველოს, რომელიც კოსტავას ქუჩის 41-ში, მე-5 სართულზე მდებარეობს, ან დაუკავშირდნენ ტელეფონით 33-34-11. ასე რომ, ვისაც გული ერჩის, მიწის ჩურჩულს გაიგებს და საგაზაფხულო სამუშაოების თადარიგს აქედანვე დაიჭერს.

აბა, გავიხსენოთ ფილმი „ჯარისკაცის მამა", სადაც მთავარი მოქმედი გმირი, ჯანგაუტეხელი ქართველი გლეხი მახარაშვილი, როცა დენთის სუნი და ცეცხლის კვამლი გადაიყრება, როცა წამიერი სიჩუმე ჩამოვარდება, თოვლსა და ტალახში გართხმული თავს წამოსწევს და ყუმბარისაგან ამოთხრილ მიწას რომ შეხედავს, საბრძოლო მდგომარეობა თითქმის დაავიწყდება, ავტომატს იღლიაში ამოიდებს, კუპრივით შავ მიწას პეშვით აიღებს და დაკოჟრილი, ნაჯაფი ხელებით ეფერება და ეჩურჩულება: „ნახე, ნახეო" – მიმართავს თავის რუს თანამებრძოლს – თვითონ მიწა გვეუბნება, მოახლოვდა დრო ხვნისა და თესვისა, თესვისა და ხვნისაო!".

ერთი წამითაც არ შეგვეპაროთ ეჭვი იმაში, რომ დღევანდელ „მახარაშვილებსაც" კარგად ესმით მიწის ჩურჩული. თქვენ მარტო ხელი შეუწყვეთ მათ, ნუ მოაკლებთ ნურაფერს და ნახავთ, ყველაფერს იღონებენ, რომ თავის დროზე დაამუშაონ მიწა-მარჩენალი და სარჩო-საბადებლის უხვი მოსავალი მოიყვანონ. რა ვიცით, იქნებ, პირველად მხვნელ-მთესველმა თქვა: – „რაც დამიდე ხელზე, ის წაგისვი წვერზეო"...

აი, მცირე მონათხრობი იმ დიდი საქმიანობისა, რასაც უყურადღებოდ მიტოვებული „ქართველი მახარაშვილები" საგაზაფხულო სამუშაოების მზადებისათვის ეწევიან. მათ საქმიანობაზე „დედოზარის" მორიგ ნომერშიც გიამბობთ.

**ლია ჭიღლაძე,**
**როლანდ ბასილაშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. მეხუთე გვერდზე.

### თვითონ მიწა გვეუბნება, ახლოვდება დრო ხვნისა და თესვისაო!



ინვესტიციები

## ქართველი აგრარიკოსები – საიმედო პარტნიორები

*ბოლო წლებში მრავალი უცხოელი მეგობარი შევიძინეთ. ჩვენი ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ. მართალია, დღეს მოსახლეობას ეკონომიკურად ისევ ძალიან უჭირს, მაგრამ ხმამაღლა გამოხატული გულისტკივილის მიუხედავად, თითოეულ ჩვენთაგანს გულის სიღრმეში მაინც მომავლის დიდი რწმენა და იმედი უღვივის. იმედი იმისა, რომ მალე შევძლებთ წელში გამართვას. წელს ვეფხვის წელიწადია, ამიტომაც ვფიქრობთ, ჩვენს პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში მოულოდნელ, ელვისებურ ნახტომებს უნდა ველოდოთ. ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს წელიწადი.*

*გაზაფხულის დადგომისთანავე თბილ დღეებს მინდვრად ხვდებიან ჩვენი მეწარმენი და გლეხები სოფლად. გაზაფხული უფრო ადრე, თებერვლიდანვე იგრძნობა. არც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში სხედან გულხელდაკრეფილნი. უმთავრესი ყურადღება გადატანილია აგრარული ბიუჯეტის ფორმირებაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ დროს აქცენტი ჰუმანური დახმარების კურსიდან ადგილობრივი წარმოების ზრდის ხელშეწყობაზეა გამახვილებული.*

დახმარების სტრატეგიის რეალიზაციისათვის პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა ევროკავშირმა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მარცვლეულის სექტორისათვის საპარტნიორო ფონდის საკრედიტო ხაზიდან გაიცა 29,7 მლნ ლარი, საიდანაც 12,4 მლნ გადაეცათ ფერმერ-მწარმოებლებს, ხოლო 16,9 მლნ – მარცვლეულით მოვაჭრეებს მეწისქვილეებსა და მეცხოველეებს.

რარპ – I პროექტით დაგეგმილია საკრედიტო კავშირების დამოუკიდებელი ქსელის შექმნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შეიქმნება ათი საკრედიტო კავშირი (ყოველ რეგიონში – თითო) ტასისის საკრედიტო ჯგუფის მიერ უკვე ჩამოყალიბდა ოთხი საკრედიტო კოოპერატივი – კახეთის, სამეგრელოს, გურიის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. ამ მიზნით მიმდინარეობს მუშაობა იმერეთის, აჭარისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებთან.

ნოუ-ჰაუ ფონდის კონსულტანტებმა ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად დაათვალიერეს ხორბლისა და რძის წარმოების სექტორები. მათვე უზრუნველყვეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით მიწის მელიორაციის პროექტის მომზადება – წყალმომხმარებელ ფერმერთა ასოციაციების ჩამოყალიბების მიზნით.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარების შედეგია მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიერ „საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტის" მოქმედების დაწყება. უკვე დამტკიცდა პროექტი 21,5 მლნ დოლარის საკრედიტო მოცულობით შემდეგ ძირითად მიმართულებებზე: საკრედიტო ხაზი სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პრივატიზებული საწარმოებისათვის, საკრედიტო კავშირების განვითარება, მიწის რეგისტრაციის საცდელი პროგრამის განხორციელება, სასოფლო-სამეურნეო სწავლება.

სულ ახლახანს საქართველოში ჩამოსული იყო ალ სულთანი. მან აღნიშნა, რომ საქართველომ მართლაც წარმატებებს მიაღწია, ამიტომაც სურვილი აქვს განაგრძოს მუშაობა ჩვენთან. მათ სურთ მოიცვან მთელი ქვეყანა და დაეხმარონ ქართველ გლეხობას.

1998 წლიდან ფაო-ს ბიუჯეტში გათვალისწინებულია საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება.

წლეულს, პირველ კვარტალში, საქართველოს ეწვევა ეპიზოოტიის მდგომარეობის შემსწავლელი მისია, რომელიც განიხილავს გაჯანსაღების ეროვნული პროგრამის დაფინანსების შესაძლებლობებს.

გასული წლის აგვისტოში კალიებთან ბრძოლის პროექტის ფარგლებში დაიწყო 1998 წლის სეზონისათვის მზადების პროცესი. ამჟამად მცენარეთა დაცვის სადგურები მომარაგებულნი არიან კალიებთან ბრძოლის თანამედროვე აღჭურვილობითა და შხამქიმიკატებით.

მიმდინარე წელს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში კვლავ გაგრძელდება პროექტი – „სწავლის კურსები სოფლის მეურნეობის შესაძლებლობების გაზრდისათვის", რომლის პირველი კურსი წარმატებით ჩატარდა. შედგენილია დანარჩენი კურსების ჩატარების განრიგი.

ყოველივე ამის შემდეგ, წლის ბოლოსათვის, ქართველი აგრარიკოსები საიმედო პროგნოზებს უნდა ელოდონ. მანამდე კი უამრავი საქმე, პრაქტიკული ნაბიჯები და ქმედითი ღონისძიებებია განსახორციელებელი ქვეყნისთვის ამ მეტად მაცოცხლებელ, მთავარ სფეროში.

ვფიქრობთ, ეს წელი ქართველი გლეხებისა და მეწარმეებისათვის არცთუ ურიგო უნდა იყოს.

**ლია ჭიღლაძე.**

## დარგი

# მოთხოვნილება ქართულ ჩაიზე დღითიდღე იზრდება

შარშან სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანებულებით სახელმწიფო კომერციული გაერთიანება „საქჩაისუბტროპიკი“ გაუქმდა და მის ბაზაზე სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაი“ ჩამოყალიბდა, რომელმაც პრეზიდენტის ფონდიდან მეჩაიეობის გადარჩენისა და ნაწილობრივ რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 1 მილიონი ლარის გამოყენების უფლება ტენდერით მოიპოვა და დამატებით სესხად აღებული ნახევარი მილიონი ლარით გერმანულ ფირმასთან ერთად მეჩაიეობაში სერიოზული სამუშაოები ჩაატარა.

დარგში სამეწარმეო გარემოს ფორმირებისათვის სათანადო ღონისძიებების განუხორციელებლობის მიუხედავად, პირველად, ბოლო წლების მანძილზე ჩაის ფოთლის კრეფის მოსალოდნელი დაცემის შეჩერება მოხერხდა, მოიკრიფა 34,2 ათასი ტონა ნედლეული, რაც წინა წლის მაჩვენებელს 1620 ტონით აღემატება.

წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი შპს „მარტინ ბაუერ-თბილისზე“ და სს „ქართული ჩაი“-ზე მოდის. პირველი 32 ფაბრიკასთან, ხოლო „ქართული ჩაი“ 42 ჩაის ფაბრიკასთან მუშაობდა, შესაბამისად აწარმოეს 18 და 15 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, საიდანაც 8,5 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქციაა მიღებული.

ჩაის ფოთლის მზა პროდუქციასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება გრანულირებულ ჩაიზე. უახლეს პერსპექტივაში მოსალოდნელია ჩაის კონცენტრატებს, ჩაისაგან დამზადებულ უალკოჰოლო სასმელებს, განსაკუთრებით ცივ წყალში ხსნად ჩაისაც მეტი მომხმარებელი გამოუჩნდეს.

ბაზრის კონიუნქტურას კარგად აუწყო საქმიანობა ფირმა „მარტინ ბაუერ-თბილისმა“, რომელმაც შეძლო მყიდველებისათვის ერთგვაროვანი ჩაის მიწოდება, გრანულირებული ჩაის წარმოების კონცენტრაცია, გააფართოვა პროდუქციის გასაღების გეოგრაფია. ამ მხრივ ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი სს „ქართულ ჩაის“ და სხვა ფირმებს.

გასული წლის მარტო 9 თვეში გამოშვებულია 6,6 ათასი ტონა ჩაის დაუფასოებელი და 4,5 ათასი ტონა დაფასოებული პროდუქცია, რაც ღირებულებით გამოხატულებაში 12,1 მილიონ ლარს შეადგენს და 1996 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12 პროცენტით მეტია.

წლევანდელი წლისათვის არსებული კონტრაქტებისა და კომერციული წინადადებების გათვალისწინებით შესაძლებელია 15-16 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქციის გასაღება, რისთვისაც 60-70 ათასი ტონა ნედლეულის დამზადებაა საჭირო.

დასამალი არ არის, რომ აქამდე ჩვენ ჩაის ვყიდდით ყველაზე და ყველგან განუსაზღვრელი კონსიგნაციის ან კლირინგის წესით. თუ რამდენად უწყობს ხელს წარმოების განვითარებას ასეთი ურთიერთობები, ამის განმარტებას არ შევუდგები.

მიმდინარე წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, უზბეკეთის, ყაზახეთის, შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების ცივილიზებული წესით მომუშავე პარტნიორებთან კონტრაქტების გაფორმება.

სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ანალოგიური ფირმები მოსაძიებელია უკრაინაში, მოლდავეთსა და შუა აზიის სხვა ქვეყნებში, მაგრამ აქ ეროვნული ვალუტის კონვერტაცია და გადმორიცხვა ურთულესი პროცედურის გაელასთანაა დაკავშირებული.

თანდათანობით უნდა შეიცვალოს ჩაის მზა პროდუქციის გასაღების ფორმა. მხედველობაში გვაქვს წვრილად დაფასოებული ჩაის გაყიდვა, რომლის ხვედრითი წილი რეალიზებულ პროდუქციაში უმნიშვნელოა და რის გამოც თითოეულ კილოგრამ პროდუქციაზე სულ ცოტა 40-50 თეთრს ვკარგავთ. სერიოზულად გასაფართოებელია ერთჯერადი დაფასოებით გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, რასაც დღეს მხოლოდ „მარტინ ბაუერ-თბილისი“ და ქალაქ ბათუმში ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო „კლასიკა“ ეწევა.

რაც მთავარია, საქართველოში არ იყიდება ქართული ჩაი, არადა კარგად ორგანიზებული სადისტრიბუტორო ქსელის პირობებში 2-2,5 ათასი ტონა დაფასოებული ჩაი გასაღებოდა.

ჩაის ხარისხის გაუმჯობესების რთულ კომპლექსში უპირველესია ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება: შპალერული და ღრმა შპალერული გასხვლა, ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლა, რიგთაშორისების გადაბარვა, სასუქების სრული დოზით შეტანა, ჩათოხნა, დროული კრეფა და ა.შ.

სპეციალისტების გაანგარიშებით, შარშან დანახარჯებმა ერთ პირობით ჰექტარზე სრული აგროტექნიკური ციკლისა და ჩაის ფაბრიკების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩათვლით 1000-1100 ლარი შეადგინა, რაც მიმდინარე წლისათვის საექსპლუატაციო ფართობზე გადაანგარიშებით მინიმუმ 25-27 მლნ ლარია, რომლის რესურსების მოძიება საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ უნდა გავაკეთოთ ის, რისი რეალური შესაძლებლობაც გაგვაჩნია, თანაც ეტაპობრივად, თანხების იმ საწარმოებში ჩადების პირობით, სადაც მისი ამოგების სრული გარანტია არსებობს. ცხადია ისიც, რომ წლევანდელი სეზონისათვის სასუქების სრული კომპლექსის და სრული დოზით შეტანას ვერ შევძლებთ, ისიც ცხადია, რომ წარმოებული ნედლეულის გადამუშავება რაც შეიძლება მცირე რაოდენობის ჩაის ფაბრიკების მეშვეობით უნდა მოვახდინოთ. დღემდე ხომ არც ერთ ინვესტორს, მათ შორის არც „მარტინ ბაუერ-თბილისს“ და არც სს „ქართულ ჩაის“ პლანტაციებში სერიოზული სამუშაოები არ ჩაუტარებიათ. თუ გულახდილი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩაი მოიკრიფა იქ, სადაც ამის შესაძლებლობა იყო.

გასათვალისწინებელია, რომ ბიოლოგიურად დასუსტებული ჩაის ბუჩქები პირველ ორ წელს მაღალ მოსავალს ვერ მოგვცემს, ხოლო ნახევრადმძიმედ და მძიმედ გასხლული პლანტაციებიდან სრული მოსავალი მეორე და მესამე წელს მიიღება. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ პირველ ორ წელს ჩაის წარმოება ზარალიანი იყოს და გარანტირებული მოგების მიღება შესაძლებელი მას შემდეგ იქნება, როცა საშუალოდ ერთ ჰექტარზე 4,5-5 ტონა ჩაის ფოთოლი მოიკრიფება.

აღნიშნული ეკონომიკური მოტივაციების გამო, მეჩაიეობაში აუცილებელია ხანგრძლივვადიანი ინვესტიციების გამოყენება, რაც საქართველოს სინამდვილეში არ არსებობს. ამავე მოტივებით მეჩაიეობის ინვესტირებისაგან თავს იკავებენ უცხოური ფინანსური ჯგუფები, ხოლო ცნობილი ბანკები (მბ, ერგბ და სხვა) მსოფლიოში ცნობილი კომპანიების თანამონაწილეობის გარდუვალ პირობებს აყენებენ.



აღნიშნულის გამოა, რომ უცხოური ინვესტიციები მეჩაიეობაში ძალიან მცირეა და იგი, ძირითადად, ფინანსური ინვესტიციის აქციებში განივთებული კაპიტალის სახითაა წარმოდგენილი.

ზემოთ მოტანილი მოტივების გამო, ალბათ, გერმანული ფირმა „მარტინ ბაუერ-თბილისი“ არ აფართოებს მეჩაიეობის პროგრამას, ხოლო აშშ საინვესტიციო ფონდების ჯგუფი „ენსი-ეიჩი“, რომელმაც 9 ჩაის ფაბრიკის აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა, დღემდე მუშაობას არ შედგომია.

რაც შეეხება ქართულ ფირმებს, მათ შორის, სს „ქართულ ჩაის“, მათ, მართალია, უზრუნველყვეს პროდუქციის გადატვირთვა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ეტაპზე პარტნიორის ამორჩევის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, პროდუქციის ღირებულების საზღაურს დაგვიანებით მიიღებენ, რომლის დიდი ნაწილი ბიუჯეტშია დასაბრუნებელი. აღნიშნულის გამო, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მოსამზადებლად მათაც მძიმე ფინანსური მდგომარეობა ექნებათ.

იმის გათვალისწინებით, რომ გაჩნდა მოთხოვნილება ქართულ ჩაიზე და შესაძლებელი გახდა ცივილიზებული მეთოდებით მომუშავე პარტნიორის შერჩევა, შექმნილი სიტუაციის გამოყენების და შემდგომში მისი გაფართოების მიზნით, აუცილებელია გამოინახოს ფინანსური რესურსები, რაც საფუძველს ჩაუყრის მეჩაიეობის აღდგენისა და რეაბილიტაციის, ყოფილ ბაზრებზე დაბრუნებისა და მისი გეოგრაფიის გაფართოების პროცესის დაწყებას.

აღნიშნული ღონისძიებების გატარებით შესაძლებელი გახდება მეჩაიეობის რეგიონების მოსახლეობის დასაქმება, მთლიანად სოციალურ-ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესება.

წინასწარი გაანგარიშებით ამ გზით შესაძლებელი იქნება 9-10 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციის მომზადება, რაც ამ მიმართულებით მოქმედ გაეროს პროგრამასთან ერთად, რომლის ნაწილი წელსაც გაგრძელდება, შესაძლებელს გახდის მომზადდეს 17-18 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რაც უცხოური ფირმების მიერ მომზადებულ პლანტაციებთან ერთად შეადგენს 22-25 ათას ჰექტარს, საიდანაც შესაძლებელია მოიკრიფოს 60-70 ათასი ტონა ნედლეული, რაც საკმარისი იქნება ფორმირებადი საკონტრაქტო პორტფელის დასასაქონლებლად.

შემდგომში საექსპლუატაციოდ ვარგისი ჩაის პლანტაციების ფართობები 32-35 ათას ჰექტარამდე, ხოლო საბოლოოდ 35-37 ათას ჰექტარამდე გაიზრდება, საიდანაც შესაძლებელი იქნება შესაბამისად 28-32 და 38-40 ათასი ტონა მზა პროდუქციის წარმოება. ცხადია, ლაპარაკია საქართველოში მეჩაიეობის რაციონალური მოცულობით შენარჩუნებაზე.

ჩაის პლანტაციების აღდგენისა და რეაბილიტაციის პარალელურად, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს ჩაის ფაბრიკების ტექნოლოგიური სრულყოფა, ჩაის პლანტაციების მოვლა-მოყვანის სამუშაოების მექანიზაციის საშუალებათა წარმოება და გამოყენება, რამდენადაც, როგორც გათვლებიდან ჩანს, საქართველოში იაპონიის მსგავსად, მეჩაიეობაში პერსპექტივა ექნება მექანიზაციის საშუალებათა ფართო დანერგვას.

ამავე ეტაპზე საჭიროა გამოინახოს უპერსპექტივო ჩაის პლანტაციების ამოსაძირკვად ტექნიკის გამოშვების შესაძლებლობა, რომლის კონსტრუქცია საქართველოში შემუშავებულია და საცდელი პარტიების დამზადება შესაძლებელია ადგილობრივ მანქანათმშენებელ ქარხნებში.

აუცილებელია მეჩაიეობის დარგში დაგროვილი უდიდესი სამეცნიერო პოტენციალის ამოქმედება, მეცნიერული კვლევის პროგრამების მიზნობრივი დაფინანსება.

გარდა საბიუჯეტო თანხებისა, მეჩაიეობის აღდგენისა და რეაბილიტაციისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ უცხოეთის საფინანსო ჯგუფების მსხვილი ბანკების (მბ, ერგბ, აზიის ბანკი და სხვა), ევროკავშირის ტექნიკური და საკრედიტო დახმარების, სოფლის მეურნეობის საინვესტიციო ფონდის შესაძლებლობები.

პარლამენტის მიერ გადასაწყვეტია უაღრესად მწვავე პრობლემა, ჩაის ფაბრიკების ვადაგადაცილებული დავალიანებების ჩამოწერა ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების წინაშე, რომლებიც წარმოშობილია 1994-1995 წლებში სახელმწიფო დაკვეთით გადატვირთული პროდუქციის აუნაზღაურებლობით.

მიმდინარე წლის პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება 40-ზე მეტი ჩაის ფაბრიკის ამუშავება; მეჩაიეობაში, ჩაის მრეწველობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში 65-70 ათასი კაცის დასაქმება. ბიუჯეტის შემოსავალი დამატებული ღირებულების, ქონების გადასახადის, მოგების ანარიცხებისა და საბაჟო მოსაკრებლების ხარჯზე გაიზრდება 15 მლნ ლარამდე.

რაც მთავარია, დასავლეთ საქართველოს გურიის, სამეგრელოს, ქვემო აჭარის, იმერეთის მეჩაიეობის რეგიონებში საგრძნობლად გაიზრდება მოსახლეობის შემოსავლები, მკვეთრად შეიცვლება სოციალურ-ეკონომიკური გარემო, განიმუხტება დღეს არსებული დაძაბულობა. ამ თვალსაზრისით ცენტრალური ბიუჯეტის მიერ მეჩაიეობის განვითარებისათვის თანხების გამოყოფას სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

**თამაზ კუნჭულია,**
საქციო საზოგადოება „ქართული ჩაის“ გენერალური დირექტორი.



როდის აღიდგენენ ქართული ჩაის პლანტაციები პირვანდელ სახეს?

ფოტო რედაქციის არქივიდან.

საქართველოს რესპუბლიკა
№36, პარასკევი, 13 თებერვალი, 1998 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვენახი

კახელ გლეხს უვაზოდ ყოფნა ვერ წარმოუდგენია, რადგან ვენახი იყო და კვლავაც იქნება მისი შემნახველი და ლაზათის დამდევნებელი. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ქვეყანაში არსებულმა ცნობილმა მოვლენებმა ამ დარგზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია. დაიკარგა ღვინისა და ღვინომასალების რეალიზაციის ტრადიციული ბაზრები, ამიტომ მევენახემ ვაზზე გული აიყარა და მისი გაჩეხვა დაიწყო...

1997 წლის დასაწყისში საქართველოში 90 ათასი ჰექტარი ვენახი გვქონდა. მისი უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 88 პროცენტი) მოსახლეობის ანგარიშზე მოდის და საერთო ფართობიდან 55 ათასი ჰექტარი კახეთის რეგიონშია, 12 ათასი ქართლში და 23 ათასი ჰექტარი კი დასავლეთ საქართველოში.

შარშან ვენახების მოვლა-პატრონობას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, ყვარლის, ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათის, სიღნაღისა და რიგმა სხვა რაიონებმა, მაგრამ საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რაიონებში ვენახზე გული აიყარეს და აქი შედეგმაც არ დააყოვნა, ვენახების დიდ რაოდენობას ჭრაქი, ნაცარი და სხვა დაავადებები გაუჩნდა, რამაც მოსავლიანობა მნიშვნელოვნად შეამცირა. ამასთან, იმძლავრა სტიქიამ, მეტნაკლებად დაისეტყვა კახეთის მხარის თითქმის ყველა რაიონი, აგრეთვე, ქვემო ქართლისა და რაჭა-ლეჩხუმის რიგი რაიონების ვენახებიც დაზიანდა. (სეტყვისაგან მიყენებულმა ზარალმა მწარმოებლებს დაახლოებით 50 ათას ტონამდე ყურძენი დააკლო). ამას დაემატა ისიც, რომ მევენახეებმა შხამ-ქიმიკატების სიმცირისა და მისი მაღალი ღირებულების გამო მთელ რიგ ფართობებზე მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა ვერ განახორციელეს. ბევრგან კი შესაწამლი საშუალებები ვადაგასული ან უხარისხო იყო და ამიტომ ქვეყანაში ყურძნის წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა, 320 ათასი ტონა შეადგინა, არადა ნორმალურ პირობებში საქართველოში შესაძლებელია 500 ათასი ტონა ყურძნის წარმოება.

კახეთში, რომელიც მევენახეობის ძირითადი რეგიონია, შარშან მხოლოდ 245 ათასი ტონა ყურძენი აწარმოეს, რაც ქვეყანაში მოწეული პროდუქციის 77 პროცენტია. სამწუხაროა, რომ შესაძლებლობებთან შედარებით დაბალი მოსავლიანობით აღინიშნა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რიგი რაიონები.

ვენახების გაჩეხვის, მისი მოუვლელობისა და მოსავლიანობის შემცირების ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ მიღებული მოსავლის შესყიდვა მთელი მოცულობით არ ხდება. შარშან წარმოებული 320 ათასი ტონიდან, გადამამუშავებელმა საწარმოებმა მოსახლეობიდან მხოლოდ 46 ათასი ტონა ყურძენი შეისყიდეს და გადაამუშავეს, რაც 1996 წლის ისედაც დაბალ მაჩვენებელს 14 ათასი ტონით ჩამორჩება, ამიტომ, მთავარია, ალკოჰოლური სასმელების სარეალიზაციო ტრადიციული ბაზრების დაბრუნება და ახლის ძიება, რომ ქართულ მაღალხარისხოვან ღვინოებს შეუფერხებელი რეალიზაცია ჰქონდეს, აგრეთვე, აუცილებელია სისტემატიური ზრუნვა სპონსორების მოზიდვისათვის. ამას ზოგიერთი რაიონი კარგად ახერხებს, მაგრამ სხვებს დახმარება უნდათ, მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

ცნობილია, რომ რაჭა ხარისხიანი ყურძნით განთქმული საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა, სადაც სახელგანთქმულ „ხვანჭკარას“, „თეთრას“ და სხვა ღვინოებს აწარმოებენ. ბოლო წლებში რაჭის მევენახეობაც საკმაოდ დაზარალდა. შესამჩნევად შემცირდა ვაზისა და მისი პროდუქციის რაოდენობა. გლეხი განსაცდელში ჩავარდა, რადგან ღვინის გასაყიდი სარეალიზაციო ბაზარი ვერ მონახა, არადა, ონის რაიონი მართალია, მთიან ზონას განეკუთვნება, მაგრამ რაიონის ქვედა ზონაში მასაც გააჩნია ისეთი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სადაც მოსახლეობას გაშენებული აქვს ვენახები და საკმაო რაოდენობით ხარისხიან ღვინოს ამზადებენ.

უკვე ორი წელია, რაც ონის რაიონში გერმანიის ვიტენ-ჰერდეკეს თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამა „ონი – კიდობანის აშენება მომავალი ათასწლეულისათვის“ ხორციელდება, რომელიც ქართულებრაულ 26-საუკუნოვან ურთიერთობებთან დაკავშირებული კულტურული ძეგლების, კერძოდ, ონის მთავარანგელოზის მართლმადიდებლური ეკლესიისა და ონის სინაგოგის აღსადგენად საჭირო თანხების მოზიდვას ითვალისწინებს, რაც ძირითადად ჰუმანური აქციების განხორციელების გზით მოხდება. ამასთან, გაუმჯობესდება რაჭის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები.

ამ პროგრამით, ონის რაიონში, სადაც ბოლო 15-20 წლის მანძილზე ყურძენი არ გადამუშავებულა, გერმანიის დამოუკიდებელი ჰუმანური ორგანიზაციის „მელხიორსგრუნდის“ (ხელმძღვანელი ვოლფგანგ ფრიკე) დაფინანსებითა და ტექნიკური უზრუნველყოფით, აგრეთვე, დეპარტამენტ „სამტრესტის“ სპეციალისტთა ხელშეწყობით, 1996 წლის რთველის სეზონზე 16 ათასი ბოთლი ებრაულად დაყენებული ღვინოები „ქაშერი“ და „შოდა“ აწარმოეს, რომელიც შარშან აგვისტოში ჰუმანური აქციების ჩასატარებლად გერმანიაში გაიტანეს.

შარშანდელი მოსავლიდან კი ონის ებრაელთა რელიგიური საზოგადოების მიერ 65 ტონა ყურძენი გადამუშავდა, რომელიც, აგრეთვე, ჰუმანური მიზნებისთვის საზღვარგარეთ გაიგზავნა. მართალია, ზემოაღნიშნული პროდუქცია კომერციულ მიზნებს არ ემსახურება, მაგრამ იგი ქართულ ალკოჰოლიან სასმელებს გარკვეულ იმიჯს უქმნის და გზას უხსნის ევროპული ბაზრისაკენ. ამასთან, აღნიშნულმა ღონისძიებამ მნიშვნელოვანი დახმარება მოუტანა მიწისძვრით დაზარალებულ და ეკონომიკურად სუსტ რაჭის მხარეს. კერძოდ, ონის მთავარანგელოზის მართლმადიდებლურ ეკლესიას და ონის სინაგოგის აღდგენისათვის თითოეულს 10,0 ათასი გერმანული მარკა ჩაერიცხა.

გათვალისწინებულია და მალე რაჭაში ორი „ავტომობილ-რეანომობილი“ ჩამოვა, რომელიც ონისა და ამბროლაურის რაიონების მოსახლეობას მოემსახურება. აღსანიშნავია, რომ თითოეული მათგანი 45 ათასი გერმანული მარკა ღირს.

ამასთან, ონის რაიონების სკოლის მოსწავლეები 20 ათას ცალ რვეულს მიიღებენ. ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონების ჩვილი ბავშვებისთვის გერმანიიდან უფასოდ იგზავნება ბავშვთა კვების პროდუქტები. ამ ღონისძიებით აქ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დასაქმდა და მათ ოჯახებს მცირედი, მაგრამ გარანტირებული შემოსავლის წყარო გაუჩნდათ.

ზემოაღნიშნული ღონისძიება მხოლოდ ამით არ მთავრდება. გერმანულ მხარეს იმედი აქვს, რომ ჰუმანური აქციების გაგრძელება კვლავ არაერთ ფინანსურ თუ მატერიალურ დახმარებას მოუტანს რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ალკოჰოლიანი სასმელების ტრადიციული ბაზრები თითქმის დაიკარგა, უკანასკნელ ხანს მარკეტინგული სამსახურის საქმიანობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ღვინის ქარხნების მიერ, დეპარტამენტ „სამტრესტის“ ხელშეწყობით, მიღებულია შეთანხმება, რომ მოსკოვის ფირმა „აგროსოიუზს“ ყოველთვიურად 200 ათასი ბოთლი ღვინო მიაწოდონ, ფირმა „ექსიმას“ 500 ათასი დეკალიტრი, კიევისა და დნეპროპეტროვსკის ფირმებთან ყოველთვიურად 400 ათასი ბოთლი ღვინო გაიგზავნება. ქალაქ ნოვოსიბირსკს კი 100 ათასი დეკალიტრი მშრალი სამარკო და 100 ათასი დეკალიტრი შემაგრებული ღვინომასალები მიეწოდება. ქართულმა ღვინოებმა ბაზარი მონღოლეთში, ქალაქ ულან-ბატორშიც ჰპოვა. აქ 100 ათასი ბოთლი მშრალი და ნახევრად მშრალი ღვინოები გაიგზავნება.

გარდა ამისა, ბოლნისის, წინანდლის, ხირსის, გიბაანის, ახმეტისა და ბადიაურის ღვინის ქარხნები რუსეთის ფედერაციაში ხელშეკრულებით ერთ მილიონ დეკალიტრ ღვინოს გააგზავნიან. პოლანდიაში უკვე გადაიტვირთება 200 ათასი დეკალიტრი სამარკო ღვინო (დღეისათვის უკვე გაგზავნილია 100 ათასი დეკალიტრი).

ეს სასიკეთო სიახლენი უდაოდ იმის მაუწყებელია, რომ გლეხი ვაზს, მის მარჩენალსა და ლაზათის დამდევნებელს კვლავაც ძველებურად მოუვლის და მოეფერება.



# გლეხი თავის მარჩენალს კვლავაც მოეფერება

**ირაკლი დვალი.**



## ინფორმაცია

### განიხილეს ბიუჯეტი

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე საქართველოს აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის ეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფო ბიუჯეტის 1997 წლის ძირითადი შედეგები და 1998 წლის ამოცანები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ზრდის, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების, სამელიორაციო სამუშაოების დაჩქარების, მინერალური და უალკოჰოლო სასმელების წარმოების და სხვა აუცილებელი საკითხების მოგვარებაზე გამახვილდა.

აღინიშნა, რომ შარშან მარცვლეულის დიდი მოსავალი მივიღეთ, მაგრამ საკმარისი მაინც არ იყო. 500 ტონამდე ხორბალი ამ დღეებში შემოიზიდა რესპუბლიკაში.

### საგანგებო სხდომა

გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილი აფხაზეთის რეაბილიტაციის საგანგებო სხდომა, რომელსაც მინისტრი ბაკურ გულუა თავმჯდომარეობდა.

სხდომაზე მოწვეულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მომწიფებასთან დაკავშირებით, დადგა დრო, ფართო მასშტაბით გაიმალოს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნებისათვის სათანადო სამზადისი.

რეაბილიტაციის პროცესში, პირველ რიგში, გათვალისწინებულია გალის რაიონში მცხოვრებთა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, კონფლიქტში ჩაბმული მხარეებისათვის მისაღები წინადადებების შემუშავება, საკითხთა გადაწყვეტაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩაბმა.

სხდომაზე მოიწონეს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ერთობლივად შემუშავებული 1998-2000 წლების რეაბილიტაციის ძირითადი მიმართულებანი, საგანგებო კომისიის დებულება, სტრუქტურა, ასევე დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებანი.

კომისიამ თხოვნით მიმართა სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს მხარეების ხელმძღვანელებს, რაიონებისა და ქალაქების გამგებლებს, საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების დაჩქარებას.

### ოპერატიულ სხდომაზე

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მზადებასთან დაკავშირებით, ოპერატიულ სხდომაზე განიხილეს წლეულს მცენარეთა მავნებელ დაავადებებთან წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ჩასატარებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების, შხამქიმიკატებისა და სასუქების მოხმარების საქმეში არსებული მდგომარეობა.

### საფინანსო საკითხები

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი კომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს სასაზღვრო გასასვლელებში მომუშავე ვეტერინარული უბნების მუშაობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტში საპარტნიორო ფონდიდან გამოყოფილი თანხის გამოყენებისა და მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის საფინანსო საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიტუაცია



# თბილის-ქალაქმა ცივილიზებული წესით უნდა იცხოვროს

ზოგიერთმა ისე გაიგო, თითქოს საბაზრო ეკონომიკის არსი თავისთავზე და თავის მოგებაზე ზრუნვაა მხოლოდ. მართალია, მოგება იბეგრება, მაგრამ მოგეხსენებათ, გადასახადს ყველა როდი იხდის.

თბილისი ერთ დიდ ბაზრად ხომ არ უნდა ვაქციოთ? მარტო დიდუბის რაიონში 16 ბაზარი და ბაზრობაა, მაინც არ გვეყო, ამიტომაც ვაჭრობამ ქუჩაში გადაინაცვლა.

ყოველივე ამას, რასაკვირველია, ხელი იმანაც შეუწყო, რომ ნომერ პირველ პრობლემად კვლავ სამუშაო ადგილების შექმნა რჩება, დაუსაქმებელია ათასობით ჯან-ღონით სავსე ადამიანი, რომელიც ადრე ფაბრიკა-ქარხნებში, სხვადასხვა საწარმოში მუშაობდა.

დადგენილებები, განკარგულებები, მოგეხსენებათ, ბევრი დაწერილა და გამოცემულა, მაგრამ ვერ იქნა და დღემდე მაინც ვერ მოგვარდა ე.წ. ქუჩის ვაჭრობა, ამიტომაც ბიუჯეტს სოლიდური თანხა აკლდებოდა ყოველდღიურად, ის, რაც შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას უნდა მოხმარებოდა.

სიმართლე უნდა ვთქვათ, თავის დროზე მიღებულმა დადგენილებამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ქვეყანა სოციალურ აფეთქებას გადაარჩინა, მაგრამ თავისი უარყოფითი შედეგებითაც სერიოზული საზრუნავი გაგვიჩინა.

დღეს სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა, ბევრი საწარმო ამუშავდა, შეიქმნა უამრავი ფირმა და კორპორაცია, მოხდა საწარმოო სიმძლავრეების მასობრივი პრივატიზება, გლეხმა სოფლად მიიღო მიწა, თანდათანობით ფეხს იდგამს ნამდვილი საბაზრო ეკონომიკა, მომხმარებელს არჩევანის შესაძლებლობა მიეცა. და აი, გადაწყდა, კატეგორიულად აეკრძალათ ქუჩაში ვაჭრობა.

— ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიებზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უნებართვო გარევაჭრობის აღკვეთის მიზნით გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, — ამბობს დიდუბის რიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ჩაჩანიძე** — ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობის მიზნით აიკრძალა სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანებიდან საბითუმო ვაჭრობა, მოვაჭრენი სპეციალურად მათთვის გამოყოფილ ადგილებზე გადავიყვანეთ, ხოლო ლტოლვილები, ლტოლვილთა კომიტეტის შუამდგომლობით, „ბავშვთა სამყაროს" ეზოში ჩავიყვანეთ, სადაც აგრძელებენ თავიანთ კომერციულ საქმიანობას.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ უხეშად ირღვეოდა სასურსათო და სხვა საქონლის რეალიზაციის პირობები, სანპიგიენური ნორმები, რაც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის ჯანმრთელობას, აბასთუმნის ქუჩაზე „ცენტრალური სუპერმარკეტის" ზედა შესასვლელთან პირდაპირ მიწიდან, კუსტარულად მოწყობილი დახლებიდან მიმდინარეობდა თევზეულით, ფრინველის ხორცით ვაჭრობა, რაც მომხმარებლის მასობრივი მოწამვლის საფრთხეს ქმნიდა. ამიტომ, ლოგიკურია, რომ 17 იანვრიდან ყოველგვარი გარევაჭრობა კატეგორიულად აიკრძალა. ეს ხმამაღლა ითქვა დიდუბის გამგეობაში, მერიის მუნიციპალიტეტის, საგზაო პოლიციის, სანიტარიული სამსახურის, სატრანსპორტო გაერთიანებისა და სხვა უწყებების წარმომადგენელთა შეხვედრაზე, თევზეული მხოლოდ სპეციალიზებულ მაღაზია „ოკეანეში" გაიყიდება, რომელიც იქვე, ბაზრის შესასვლელთან მდებარეობს.

— გარევაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით, დიდუბის გამგეობამ მერიის მუნიციპალიტეტის კაბინეტთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა, — განაგრძო საუბარი ბატონმა გიორგი ჩაჩანიძემ, — მაგალითად, „ცენტრალური სუპერმარკეტის" ადმინისტრაციას მოვთხოვეთ მოაწესრიგოს სასაწყობო მეურნეობა, ისე რომ არ დაუშვას არც ერთი ფაქტი თვითნაკეთი საწონებით ვაჭრობისა, რაც შეეხება „ვეტ-სანექსპერტიზის" ლაბორატორიის დასკვნის გარეშე ხორცის რეალიზაციას, გამოვლენის შემთხვევაში შედგება შესაბამისი აქტი შემდგომი რეაგირებისათვის.

ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიებზე დილის 8 საათიდან საღამოს 22 საათამდე იკრძალება ავტობუსებისა და სატვირთო ავტომობილების მოძრაობა, ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მოეწყობა სადღეღამისო სადგომი ავტობუსებისათვის, ხოლო აკაკი წერეთლის სახელობის ბაღში ჩატარდება კეთილმოწყობის სამუშაოები, მოხდება დეკორატიული ღობის დამონტაჟება. ამ და სხვა ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მიეცათ, აგრეთვე, ქალაქის ვეტსამმართველოს, „ვერტსანექსპერტიზას", ვაჭრობის, პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მუნიციპალურ სამსახურს, რაიონის პოლიციას, ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანებას, — თქვა ბოლოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ.

გაგონილს საკუთარი თვალით ნანახი სჯობია. ამიტომ, გულმა არ მომითმინა და „ცენტრალური სუპერმარკეტისკენ" გავწიე. ბაზრის შესასვლელი და მიმდებარე ტერიტორია მართლაც გაწმენდილი და გასუფთავებული დამხვდა, პოლიციის მუშაკები, რომლებიც აქ ჭარბად იყვნენ, აფრთხილებდნენ მოვაჭრეებს, რომ არ დაუშვებდნენ წესრიგის დარღვევის არც ერთ ფაქტს. იქვე ორი გაკაპასებული მანდილოსანი დიდი ქუთებით შებოლილი თევზის გაყიდვას ცდილობდა. პოლიციის წარმომადგენელმა ისინი შტაბში წაიყვანა.

ბაზრის შესასვლელთან მდებარე მაღაზია „ოკეანეშიც" შევიხედე.

— ჩვენს მაღაზიაში ყველა პირობაა შექმნილი მომხმარებლის სათანადო მომსახურებისთვის, — იქვა მაღაზიის დირექტორმა **გოგი გოგიშვილმა**, — აი, შეხედეთ, დახლები სავსეა პროდუქციით, გვაქვს სამი დასახელების ცოცხალი თევზი, ოთხი სახეობის შებოლილი, არის გაყინული პროდუქციაც. ამ მაღაზიაში 1985 წლიდან ვმუშაობ, დღემდე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, აქ ნაყიდი პროდუქციით ვინმე მოწამლულიყოს. მართალია, იყო პერიოდი, როცა ჩვენი დახლები ღარიბულად გამოიყურებოდა, მაგრამ „მეწარმეთა კანონის" შესაბამისად, მაღაზია სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა და უფრო მეტი შესაძლებლობა გაგვიჩნდა. აქ წლობით მუშაობენ თევზის სპეციალისტები, გვაქვს უმაღლეს დონეზე მოწყობილი ტექნიკური მაცივარ-დანადგარები. გარდა თევზეულისა, გვაქვს ქარხნის სოსისი, ძეხვი, სხვადასხვა სახის კონსერვი. ამასთან, ვყიდით იმ პროდუქციასაც, რაც თევზეულის დამზადებას სჭირდება. მარილს, ძმარს, გვაქვს ქარხნის პურიცა და სასმელიც. ასე რომ, ჩვენთან შემოსული მომხმარებელი ცარიელი ხელით არ გადის.

გავესაუბრე მარტვილელ **ჟუჟუნა ქაჯაიას**, რომელიც ადრე გარევაჭრობას ეწეოდა, ახლა კი დიდუბის რაიონის გამგეობის დახმარებით „ბავშვთა სამყაროს" ეზოში საქმიანობს.

— ადრე საბავშვო ბაღში ვმუშაობდი. დღეისათვის ცოლ-ქმარი ორივე უმუშევარი ვართ. ისე არ გამიგოთ, მუშაობა გვეზარებოდეს. პირიქით, მაგრამ ჩვენთან სამუშაო არაფერია. სამი მცირეწლოვანი შვილი გვყავს, ხან მე ჩამოვდივარ და ვყიდი, ხან მეუღლე, ორივე ერთად ხომ ვერ დავტოვებთ სახლ-კარს და ბავშვებს? რაო, მიწა ხომ გვაქვს? კი, ბატონო, გვაქვს, და ვამუშავებთ კიდეც, მაგრამ ის პროდუქცია ჩვენვე გვჭირდება ოჯახში. ვიცი, რატომაც მეკითხებით, მაგრამ საჭმლის გარდა, ფული არაფერზე გვჭირდება? ბავშვებს ხომ უნდათ ჩაცმა, წიგნები, მტერ-მოყვარე გვყავს, რა ექნა ჩვენც არ გვსიამოვნებს აქ ყოფნა, მაგრამ სხვა გზას რომ ვერ ვხედავ?

**თამარ ვეფხვაძე** — თბილისელი დიასახლისი, — თევზეული ძალიან მიყვარს, მაგრამ ქუჩაში ყიდვას, მართალი გითხრათ, ვერიდებოდი. ერთი ჩემი ახლობელი შებოლილი თევზით ისე მოიწამლა, ძლივს გადაარჩინეს, ძალიან კარგი საქმე გააკეთეს, გარევაჭრობა რომ აიკრძალა, უკან ხომ არავის აგზავნიან? სპეციალურ ადგილს აძლევენ და უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნიან.

**ნანა დიაკონიძე** — აქვე ვცხოვრობ, ბაზრის პირდაპირ. ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ვიყავით აქაურები. დღე და ღამე მოსვენება არ გვქონდა. საშინელი ხმაური და ანტისანიტარია იყო. მართალია, უჭირთ ჩამოსულებს, მაგრამ ჩვენ რა, არ გვიჭირს? მადლობის მეტი რა გვეთქმის თბილისის მერიისა და დიდუბის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელების მიმართ. ბოლოს და ბოლოს, დედაქალაქმა თავისი სახე უნდა დაიბრუნოს.

სწორედაც, დედაქალაქისთვის ზრუნვა სოფლისთვის ზრუნვაცაა. ნათქვამია, თვალი ჭამს და თვალი სვამსო, ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს სამომხმარებლო ეთიკა, მყიდველ-გამყიდველის ურთიერთობა. ქალაქი სოფლიდან ჩამოსულ გლეხს ვაჭრობის უფრო ცივილიზებულ მეთოდებს სთავაზობს, ბაზარი ხომ ქვეყნის კოლორიტი, მისი მაჯისცემაა....

**ნაზი იმნაიშვილი.**

**სურათზე: ასეთია დღეს აბასთუმნისა და თევდორე მღვდლის ქუჩების მონაკვეთი, რაც აქ გარევაჭრობა აიკრძალა.**

ჯავარ ლომაძის ფოტო.

## პროექტი

# ქართულ მიწაზე გერმანელებიც ზრუნავენ

საქართველოში მიწის და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონების კადასტრისა და სახელმწიფო რეგისტრაციის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „სიმენს/ნიქსდორფის" მიწვევით იმყოფებოდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი **ზურაბ გეგეჭკორი.**

შეხვედრების მომზადებაში ქ. საარბრიუკენში, აუგსბურგში, მიუნხენში, ფრანქფურტში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს ელჩმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბატონმა კონსტანტინე გაბაშვილმა და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრმა ბატონმა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა.

ქ. დრეზდენში საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და აღმოსავლეთ ევროპის შპს „სიმენს/ნიქსდორფს" (გერმანია) შორის გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოში მიწის (უძრავი ქონების) კადასტრისა და სახელმწიფო რეგისტრაციის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს:

— პროექტის შერეულ დაფინანსებას, ანუ საქართველოში მიწის რეგისტრაციის სისტემის დანერგვა განხორციელდება გერმანიის მთავრობის შეღავათიანი კრედიტის (ხანგრძლივობა 40 წელი, მორატორიუმი – 10 წელი, წლიური პროცენტი – 0,75) და „სიმენს/ნიქსდორფის" კომერციული კრედიტის შერევის (პროპორციით 50-50 პროცენტთან) საფუძველზე. დაფინანსების ასეთი ფორმა კი, „პერმესის" დაზღვევის გამოყენებით, შესაძლებელს ხდის ჩამოყალიბდეს კრედიტის საქართველოს მხარისათვის სასურველი პროპორციები, კერძოდ, წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 და გადახდის მორატორიუმი – 5 წელი.

დაფინანსების აღნიშნული სქემის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობენ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის (BMZ), ეკონომიკის და ფინანსთა ფედერალური სამინისტროები, გერმანიის აღმშენებლობის საკრედიტო სამსახური (KFW), სადაზღვევო კომპანია „პერმესი" და „სიმენს/ნიქსდორფი";

ხელშეკრულების ძირითადი კონცეფციიდან გამომდინარე ლადლება შემდგომი ეტაპობრივი ხელშეკრულებები, რაც საშუალებას მოგვცემს პროექტის განხორციელების თითოეულ სტადიაზე დაკონკრეტდეს, როგორც ტექნოლოგიური, ისე დაფინანსების საკითხები.

დაფინანსების საკითხებში იგულისხმება პროექტის განხორციელებაში მსოფლიო ბანკის, გტც-ტის, ევროკავშირის და სხვა დაინტერესებული დონორი ქვეყნებიდან ფინანსურ-ტექნიკური დახმარების – უმეტესად გრანტების სახით მოზიდვა, რაც რიგ შემთხვევაში უკვე ხორციელდება (მსოფლიო ბანკი, გტც-ტი, ევროკავშირი);

პროექტის განხორციელებაში მონაწილე მხარეებიდან დეპარტამენტში იქმნება საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მის პრაქტიკულ განხორციელებას, რეგისტრაციის სისტემაში უნდა მოხვდეს როგორც სასოფლო, ისე ურბანიზებული მიწები;

პროექტის მთლიანი ღირებულება, რომლის განხორციელების ხანგრძლივობა 5 წელია, შეადგენს დაახლოებით 55 მლნ გერმანულ მარკას (34 მლნ აშშ დოლარს). პირველ ეტაპზე გამოიყოფა 10 მლნ გერმანული მარკა.

შეთანხმების რეალიზაციისათვის გერმანულ მხარესთან შეხვედრები განზრახულია გაემართოს თბილისში, რომლის შედეგებზეც შემდგომში მოგახსენებთ.

**ეკა შენგელია.**

## საიდან მოვდივართ

# გურჯაანი

გურჯაანი ორ დასახლებულ პუნქტს ეწოდება კახეთის რეგიონში – ქალაქსა და სოფელს. თუმცა, ეს ობიექტები ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ძნელია მათი გარჩევა, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე. მათ გასარჩევად ადგილობრივი მოსახლეობა დამატებით სხვა საშუალებებს იყენებს. ქალაქს **„ქვემო გურჯაანს“** უწოდებენ, სოფელს კი – **„ზემო გურჯაანს“**. აღნიშნულ ტერიტორიაზე კიდევ არის ტოპონიმები, რომელთა მიხედვითაც არჩევენ ქალაქ გურჯაანს სოფელ გურჯაანისაგან, ქალაქში მდებარეობს უბნები: **კოტეხი, სადგურისუბანი, ზლუდრისუბანი, ვაშლები, ზიარელების უბანი, ახტალა**... სოფელში კი: **ნათლიმცემლისუბანი** (მას **წითელუბანსაც** ეძახიან), **ხევისუბანი**, – ამ უბანში ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმია, **სახასო, კალოები**... ამათგან ზოგიერთი უბანი ადრე ცალკე სოფელი იყო, რასაც საისტორიო წყაროებიც ადასტურებს და მოსახლეობასაც ახსოვს. ახლანდელ **სახასოს** ძველად **კახისუბანი** ეწოდებოდა. ეს კახისუბანი კი, როგორც წყაროებიდან ჩანს, უფრო ძველი დასახლებაა, ვიდრე თვით გურჯაანი.



გზაზე.

ვარლამ ვენბიურის ფოტო.

ტოპონიმი გურჯაანი ვახუშტი ბატონიშვილს ჭერემის თემში აქვს შეტანილი. „ჭერემი: მუკუზანი, ახალშენი, ჩუმლაყი, ახათალა, **გურჯაანი**, კახისუბანი, ძალისუბანი, ძირკოკი, ვეჯინი“.

იოანე ბატონიშვილს ამ სახელწოდებით ორი დასახლებული პუნქტი აქვს შეტანილი „ქართლ-კახეთის აღწერაში“: „ამავე ქიზიყს მოებმის საეპისკოპოსო და საენდრონიკო სოფლები და ადგილნი სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო: „ქ. კარდენახი, ბაკურციხე, კოლაქი, კეჭა, ახტალა, ვეჯინი, ძირკოკი, ძალისუბანი, კახის-უბანი, **გურჯაანი**, კიდევ **გურჯაანი**, ახთალა“. როგორც ვხედავთ, ვახუშტის შრომისაგან განსხვავებით იოანეს შრომაში ორი გურჯაანია გვერდიგვერდ დასახელებული. იოანე იმასაც გაუწყებთ, რომ ორივე გურჯაანი და ახათალა „ეკუთვნის მეფის ასძალს დავითის მეუღლეს ელენე სვიმონუვენას“.

ვახუშტი ბატონიშვილის ფუნდამენტური შრომის ერთ-ერთ სქოლიოში, რომელიც გადამწერის კალამს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „ამ ვეჯინის ჩრდილოთ არს ჭანდრის უბნის ხევი, გამომდინარე, მისვე მთისა. ამ ხევის კიდეზედ, მცირედ ზემოთ, ჩრდილო კერძ, არს მთაში ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუმბათო, კეთილშენი, კეთილს ადგილს... ამის ჩრდილოეთ კერძო, წყლის კიდეზედ არს ეკლესია დიდი, ორგუმბათიანი, ღმრთის მშობლის მიცვალებისა, კეთილშენი, შვენიერს ადგილს. აქაცა იტყვიან ყოფასა მონაზონთასა და აწცა არიან, უზის წინამძღვარი, და აქუსთ სასაფლაოდ ენისელთ მოურავიანთა (ამას იტყვიან აღმშენებულსა თამარ მეფისაგან). კვალად ამ სოფლის გურჯაანის ჩრდილოთ მთის კალთას არს ახტალა. ამის ჩრდილოთ არს ხევი მცირე კართუბნის (კახთ-უბნისა) ანუ გურჯაანისა“.

ამ ვრცელ ამონაწერში ბევრი საყურადღებო ფაქტია დაუნჯებული. ის ორგუმბათიანი ეკლესია დღესაც ამშვენებს გურჯაანის რაიონს. იგი მდებარეობს დღევანდელი სახასოს ზემოთ, ტყეში და უწოდებენ „გურჯაანის ყველაწმინდას“. როგორც აქ არსებული ძველი სასაფლაო მოწმობს და საისტორიო წყაროებიც ადასტურებენ, ეს იყო ენისელი მოურავიშვილების (ჯორჯაძეების მტოა) საძვალე. ამ სქოლიოდან იმასაც ვიგებთ, რომ კახის-უბანი (დღევანდელი სახასო) XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში უკვე გურჯაანის (სოფელ გურჯაანის) შემადგენელი ნაწილია. ეს სოფელი **კახისუბანი** – სვეტიცხოვლისა ყოფილა, რასაც გვაუწყებს 1579 წელს გაცემული საბუთი: „ალექსანდრე (კახთა) მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული კახის-უბანი“.

გურჯაანში ყმა-მამულს ფლობენ ანდრონიკაშვილებიც: „აბაზყული ხანმა და ნაზარალი ხანმა ზაალ ანდრონიკაშვილს სპარსელთადმი ერთგულების გამოჩენისათვის უბოძეს მისი ბიძაშვილების ლუარსაბისა და ერასტის ყმა-მამული ვეჯინსა და გურჯაანში“.

ტოპონიმი „გურჯაანი“, ძირითადად, XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილ სიგელ-გუჯრებში გვხვდება, უფრო ადრინდელ თარიღიან საბუთს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

საისტორიო წყაროებსა თუ სამართლის ძეგლებში ტოპონიმ „გურჯაანის“ ნაცვლად „გურჯანი“ წერია: „უფალს ნინოწმიდელს ტუსიშვილს საბას ერგო ჭერემლის სამწყსო... გურჯანში მარტო თავადიშვილების ყმა...“ გვაუწყებს „განწესება თეიმურაზ II-ისა საჭერემლო სამწყოს მიბარების შესახებ“, რომელიც შედგენილია 1757 წელს.

ბევრ საბუთში კი ტოპონიმის მეორე ა გამომცემლის მიერაა აღდგენილი. „გურჯანი“ უწერია გიულდენშტედტს (მხოლოდ თარგმანშია „გურჯაანი“)

„გურჯაანი“ თითქოს ადვილი ასახსნელი ჩანს. იგი ისეთივე აგებულებისაა, როგორც სხვა უამრავი სხვა: ჯუგაანი, ტიბაანი, მაჩხაანი, მირზაანი, ოზაანი, მელაანი, მამადაანი, დიდებაანი.... ე.ი. ტოპონიმ „გურჯაანში“ გამოიყოფა კრებითობის ან სუფიქსი და ადამიანის საკუთარი სახელი (ან მეტსახელი) **გურჯა**, რომელშიც თავის მხრივ, ბოლოსართი ა კნინობით ალერსობითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს. **გურჯ-ი** — **გურჯ-ა**. მოულოდნელი და უცნაური აქ არაფერია.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ თვით ეს სახელი **გურჯ-ი** მომდინარეობს **გლურჯ**-იდან (საისტორიო წყაროებსა თუ სიგელ-გუჯრებში გვხვდება გვარსახელები **გლურჯიძე** და მისი გამარტივებული ფორმა **გურჯიძე**...

ტოპონიმ **„გურჯაანს“** გვარსახელი **გლურჯიძე (გურჯიძე)** უდევს საფუძვლად თუ საკუთარი სახელი (მეტსახელი **გურჯი**) **გურჯა**,* ამას მნიშვნელობა არა აქვს. ტოპონიმი ქართულია, ქართული აფიქსებით ნაწარმოები...

ტოპონიმი **„გურჯაანი“** შეიძლება სხვაგვარადაც აიხსნას. გურჯაანის ზემოთ, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოაღმოსავლეთ კალთებზე წყაროსა და ტყეს **„გაურჯა“** ჰქვია. ტყის სახელწოდება მრავლობითს ფორმითაც გვხვდება **„გაურჯები“**. ნარიანი ფორმით არ დაგვიფიქსირებია, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ძველად ეს ტოპონიმი **გაურჯანის** ფორმითაც იხმარებოდა. თუ ასეთი სახელწოდება არსებობდა, სულ ადვილია მისგან გურჯაანის მიღება; **გაურჯე** — **გაურჯან** — **გაურჯაანი** — **გურჯაანი**. საქმე ის გახლავთ, რომ კახეთის რეგიონში, კერძოდ, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში იან სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები: **შვინდი-ან-ი, წნორ-იან-ი, მუხ-იან-ი**... წარმოითქმის: შვინდ-იაან-ი, წნორ-იაან-ი, მუხ-იაან-ი...

ტოპონიმ **გურჯაანს** ტყის (წყაროს) სახელი უდევს საფუძვლად თუ ადამიანის სახელი (მეტსახელი) გურჯი (გურჯა), ამას, ალბათ, მომავალი კვლევა-ძიება დაადგენს. გურჯაანი კი ქართული ტოპონიმია, ქართული აფიქსებით ნაწარმოები: **გურჯ-ა-ან-ი.**

**უშანგ სახლთხუციშვილი.**

---

* *სულ ტყუილად შეპარვიათ გურჯაანელებს ეჭვი, თითქოს მათ ქალაქს ქართული სახელი არ ერქვას, როგორც ეს უთქვამს მათთვის ერთ ქართველ ხელოვანს (ვგარს საგანგებოდ არ ვასახელებ): ეს აზრი ძირშივე მცდარია, იმ კაცს ტოპონიმიკაზე წარმოდგენაც არ ჰქონია. „გურჯი“ შეიძლება სპარსეთში დასდებოდა ტოპონიმს საფუძვლად. თუკი ერთ სოფელში ქართველები (გურჯები) იცხოვრებდნენ და მის ირგვლივ მდებარე სოფლებში კი – არაქართველები...*



ეჰეი!.. რა წლები გასულა...

ლადო ბუხაიძის ფოტოეტიუდი.

## რომელი ხილი გიყვართ?

# ხასიათის ტიპოლოგია

შუა საუკუნეების რაინდებს საცოლის შერჩევის უცნაური წესი ჰქონდათ: ქალიშვილს მიართმევდნენნაირგვარი ხილით სავსე ლანგარს და ყურადღებით აკვირდებოდნენ, თუ რომელს აირჩევდა...

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ელენ ქენიმ შეისწავლა ხილისადმი ასეთი მიდრეკილება და ხასიათების ტიპოლოგია შეადგინა.

**ვაშლის** არჩევა იმაზე მეტყველებს, რომ ქალიშვილს არ უყვარს რომანტიკა, მისთვის უცხოა ნებისმიერი ექსპერიმენტი, საკმაოდ სანდო და მტკიცე ხასიათისაა.

**მსხლის** მოყვარული ქალიშვილი მომხიბლავი და ეროტიკულია. თავისი ხიბლით აჯადოვებს თაყვანისმცემლებს, უყვარს, როცა ძვირფასი ნივთივით ექცევიან, მაგრამ ბუტიაა და დიდხანს იცის წყენის დამახსოვრება.

**ყურძნის** მოყვარულთა დევიზია – „სიამოვნება“. სასიამოვნოა, როცა პირში ყურძნის ნაზი მარცვალი სკდება. ცდილობენ, ყველაფრით ისიამოვნონ. ხშირად პატიქებენ მეგობრებს გაუთვალისწინებელ წვეულებაზე, შეუძლიათ მოულოდნელად გაემართონ სამოგზაუროდ. მათ ამინებთ სიმარტოვე და დასამშვიდებლად ხშირად მიირთმევენ ვენახის ღვინოს.

**ხენდროს** მოყვარულებსაც უყვართ სიამოვნება, სიმყუდროვე და პეწი. მომხიბლავნი არიან და შეძლებული ცხოვრებით წატრაბახება სჩვევიათ.

**ფორთოხლის** „ფანატები“ გულჩათხრობილნი, იდუმალნი და მორიდებულნი, გარესამყაროსგან თავს „სქელი კანით“ იცავენ, თუმცა, ინტელიგენტები, შემოქმედებითი და იუმორის გრძნობით დაჯილდოებულნი არიან.

**„ბანანისმჭამელნი“** – კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ, მაგრამ მძაფრად რეაგირებენ კრიტიკაზე. მათი „კანის“ ქვეშ ხომ ფაქიზი და სათუთი გრძნობების ადამიანი იფარება.

**ნესვის** თაყვანისმცემელნი ოპტიმისტები არიან. სჯერათ უკეთესი მომავლისა, თუმცა, უსაფუძვლო ოპტიმიზმს ხშირად იმედის გაცრუება მოჰყვება.

## იადიგარ დაუდი

### სახელოვანი წინაპრის რჩევანი



კიტრი – (სლგ) და შუმხიარი, ორივე გრილი და ნედლი არის, მხურვალს გულს და სტომაქს მწვედ მოუგრილებს. ამა კიტრის გული რომ კაცმან ჭამოს, მამინვე შარდზე გახსნის. ცხელების და სნებისათვის მწვედ კარგი არის, რომე კიტრის გული აჭამონ. მაგრა სტომაქშია გვიან დადნების, ბალღამს გააძალიანებს, სტომაქგრილს ბერის კაცისათვის ავი არის. და თუ კაცი ბევრს კიტრს სჭამს, მამინვე მუცელშიგა გახსნის.

და თუ კიტრმან კაცს აწყინოს, ამისი წამალი თბილი, მხურვალი და ტკბილი საჭმელები არის, ამავ კიტრის თესლის წყალი შაფრის სიმწარეს გააქარვებს. და კაცს გახსნის და ყოველ მხურვალს სენს არგებს.

სარედაქციო საბჭო:

როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), ნაზი იმნაიშვილი, გივი მელიქიშვილი (ტექნიკური რედაქტორი), სპარტაკ ძოზულია, ლია ჭილაძე.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

# ბრძანება № 27

თბილისი — 28.01.1998 წ.

## საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

**საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე, ფალსიფიცირებული, უხარისხო პროდუქციის რეალიზაციის, უნებართვო წარმოების აღკვეთის, მოსახლეობაში მოშხამვებისა და ინფექციურ დაავადებათა აღმოცენება-გავრცელების პროფილაქტიკის მიზნით ვბრძანებთ:**

1. დაევალოთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახსანზედამხედველობის ა/რ, საქალაქო და რაიონული ინსპექციების უფროსებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული განყოფილებების ხელმძღვანელებთან ერთად:

1.1. გააძლიერონ კონტროლი ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე, ფალსიფიცირებული, უხარისხო პროდუქციის რეალიზაციისა და უნებართვო წარმოების აღსაკვეთად ერთობლივ რეიდების მოწყობით;

1.2. აღკვეთონ ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე, ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციის რეალიზაცია საავტომობილო ტრასებზე, მასობრივი თავშეყრის ადგილებსა და სასწავლო და სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ბაზრობებსა და სხვა ადგილებში, სადაც არ იქნება დაცული ჰიგიენური წესები და ნორმები.

არ დაუშვან მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს.

1.3. გამოავლინონ და აღკვეთონ უნებართვო (ჰიგიენური სერტიფიკატის გარეშე) ობიექტების ფუნქციონირება, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას.

1.4. მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური წესების, ნორმებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევების გამოვლინებისას შეადგინონ სათანადო დოკუმენტები შესაბამისი სანქციების განხორციელების მიზნით.

1.5. აუცილებლობის შემთხვევაში, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების დადგენის მიზნით, მო[illegible]დინონ პროდუქციის ამოღება საექსპერტო დასკვნების მისაღებად და საჭიროების შემთხვევაში დადგენილი წესით განასადგურებლად.

1.6. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ინფორმაცია (თებერვალი, მარტი, აპრილი) ორმხრივი ხელისმოწერით წარმოადგინონ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებში მიმდინარე წლის 5 მაისამდე.

2. დაევალოთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახსანზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტს (ნ. შავდია) და შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკოლოგიური პოლიციის მთავარ სამმართველოს (დ. კობახიძე):

2.1. უზრუნველყონ ერთობლივად შერჩევით თბილისში მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან 1 მაისამდე ამ ბრძანებით (1,1; 1,2; 1,3; 1,4; 1,5 პუნქტები) გათვალისწინებული ღონისძიებების შემოწმება.

2.2. შემოწმების მასალების ყოველთვიური (მომდევნო თვის 5 რიცხვამდე) წარმოდგენა ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებთან განსახილველად.

3. დაევალოთ ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების პრესცენტრებს უზრუნველყონ შემოწმების მასალების გაშუქება ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით.

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებთ პირადად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი
**ავთანდილ ჯორბენაძე.**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი
**კახა თარგამაძე.**

---

## მუსიკა

# ახალი ლაურეატი

ნატო წვერელისათვის წლევანდელი წელიწადი ფეხბედნიერად დაიწყო: იგი, პეტერბურგში გამართული მარია იუდინას სახელობის I საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის მფლობელი გახდა, ამ ბედნიერ ახალ წელს იგი პეტერბურგში შეხვდა.

ქართული პრესა განებივრებულია ქართველი ლაურეატებისადმი მიძღვნილი სტატიებით, რაც პერმანენტულ ხასიათს ატარებს. ეს ობიექტურადაც არის განპირობებული, რადგან მსოფლიო მასშტაბით კონკურსების რაოდენობის ზრდამ შემსრულებელთა თვითგამოვლენის საშუალებანი გაზარდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამავე მომენტმა შემსრულებელთა შემოქმედებითი ძალების მაქსიმალურ გაფურჩქვნასა და წარმოჩენასაც შეუწყო ხელი. ეს მოვლენის ზოგადი მხარეა. და თუ ქართული კულტურის მაგალითზე ვიმსჯელებთ, იგი ჩვენი საშემსრულებლო ხელოვნების სტაბილურ და მაღალ დონეზე მიუთითებს. ამ ფაქტის ზოგადი ასპექტის მიღმა კი დგანან ახალგაზრდა ინდივიდი-ხელოვანები, რომელთა წარმატება მათი ბიოგრაფიის შუქზე სხვაგვარად იკითხება. ამ შემთხვევაში საუბარი ნატო წვერელზე გვსურს. ნეიტრალური პიროვნებისთვის, როგორიც თუნდაც ამ სტატიის ავტორია, ნატო წვერელის შემოქმედებითი გზის განვითარება, საზოგადოდ ხელოვანის, კანონზომიერებებით სავსე ბიოგრაფიას ეხმიანება, რომელიც სავსეა ხოლმე წარმატებებითა და მარცხით, დაცემითა და ამაღლებით. თავისთავად სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ ნატო წვერელი კონკურსებზე ან პირდაპირ პირველი ადგილის მფლობელი ხდება ან პირველივე ტურის შემდეგ ეთიშება მათ; ნატომ ერთი მარცხი განიცადა საზღვარგარეთ საერთაშორისო კონკურსზე, ერთიც საქართველოში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე, სამაგიეროდ, გამარჯვება პირველი პრემიების სახით მოიპოვა საზღვარგარეთაც და საქართველოს რესპუბლიკურ კონკურსზეც. ყოველივე ეს ხელოვანის ტეხილი შემოქმედებითი გზის მახასიათებლად აღიქმება.

ნატო წვერელი რამდენიმე წელია, რაც ეზიარა ქართული პიანისტური პედაგოგიკის განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ ფენომენს ბატონ ნოდარ გაბუნიას სახით. გადაუჭარბებლად ითქმის, რომ ნატოს ჩამოყალიბებაში ლომის წილი სწორედ პედაგოგს მიუძღვის, რომლის კლასშიც ნატო არაერთადერთ, არამედ ერთ-ერთ ნიჭიერ სტუდენტად ითვლება.

თბილისის I საერთაშორისო კონკურსის პირველი ტურიდან ნატოს გამოთიშვის სურვილის მიზანდასახულობა განმტკიცებული იყო მისი არც თუ წარმატებული გამოსვლით. ეს წარუმატებლობა რომ არა, ნატო, მისივე თქმით, არ გაემგზავრებოდა პეტერბურგში, თუმცა წვერელს მუსიკალური საზოგადოებრიობისთვის საკუთარი უნარიანობის დამტკიცების სურვილი არ ამოძრავებდა. იგი გაემურა საკუთარი რწმენის აღსადგენად, ოქტომბრის „მარცხის" შემდეგად მასში მომეტებული ძალით ამოქმედებული პოტენციის რეალიზაციისათვის.



ნატოს ასაკში ყველაზე მეტად სწორედ ამ პოტენციის არსებობა გვეძვირფასება, რომელიც ფენიქსისებურად იჩენს ხოლმე თავს. ამიტომ იყო, რომ „დაცემის" დროს ამმასვლის დიდი ენერგია იშვა. სწორედ ნატოს დაუოკებელი პოტენციისადმი სიმპათიის გამო, იმ შაბლონურ ფრაზას არ გავიზიარებთ, რომლის თანახმადაც, იგი ქართული პიანისტური სკოლის იმედად შერაცხეს. ჩვენ, უბრალოდ, იმედის თვალით ვუყურებთ ნატოს, რადგან „განსაცდელის" შემდეგ ქინით სავსეს, უფრო ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის, საბოლოოდ კი გამარჯვების უნარი შესწევს. ნატოსთვის მუსიკისადმი ფანატიკური დამოკიდებულება, თავგანწირვა და მხოლოდ მის წიაღში არსებობა ნიშნავს სიცოცხლეს. ძლიერი ნება კი წარმატებისკენ უკვალავს გზას ამ სიყვარულს.

მარია იუდინა, რომლის სახელობის კონკურსზეც მოიპოვა წარმატება ნატომ, არაორდინარული პიანისტი გახლდათ. უდავოა, რომ ჟიურის წევრები სწორედ ამ თვისების მფლობელის აღმოჩენას ესწრაფოდნენ კონკურსანტებს შორის...

ინფორმაციისა და სტატისტიკის მოყვარულებს კი ვაცნობებთ, რომ ჟიურის წევრებს შორის გახლდნენ წარმომადგენლები ამერიკიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან. კონკურსანტები სამ ასაკობრივ კატეგორიაში ასპარეზობდნენ. ნატო 17 სხვა კონკურსანტთან ერთად მესამე ასაკობრივ კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას. მისი კონკურენტები კონკურსს ეწვივნენ ამერიკიდან, გერმანიიდან, სამხრეთ კორეიდან, რუსეთის სხვა ქალაქებიდან. კონკურსში, ცხადია, სანქტ-პეტერბურგელი პიანისტებიც იღებდნენ მონაწილეობას.

კონკურსანტთა შერჩევა წინდაწინ გაგზავნილი აუდიო ჩანაწერების საფუძველზე მოხდა. პირველ ტურში ნატომ შეასრულა ბახის, ბეთჰოვენის, შოპენის ნაწარმოებები, მეორეში – შუმანის „სიმფონიური ეტიუდები" და ლალიძის რონდო-ტოკატა. ფინალში ექვსი პიანისტი გავიდა, ხუთი რუსი და ნატო წვერელი. კონკურსზე დაწესებული იყო სამი დიპლომი და ერთი საპატიო სიგელი. პირველი პრემია გაიყვეს ნატომ და პეტერბურგელმა ანასტასია მარკინამ. ორივეს გადაეცა ოქროს მედალი და ლაურეატობის დიპლომები. კონკურსი მიმდინარეობდა რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სასწავლებლის დიდ საკონცერტო დარბაზში, საზეიმო დახურვა და ლაურეატების გალა-კონცერტი კი კონსერვატორიის გლაზუნოვის სახელობის დარბაზში გაიმართა. კონკურსის მსვლელობისას ჟიურის წევრები აწყობდნენ ღია გაკვეთილებს, გამოიცა იუდინას მოსწავლის, კონკურსის ჟიურის წევრის მარია დროზდოვას წიგნიც „იუდინას გაკვეთილები".

ჩვენი ლაურეატის, ნატო წვერელის გამოსვლები კონკურსის პირველივე დღეებიდან მსმენელთა და თვით მონაწილეთა აღფრთოვანების საგნად იქცა, საგულისხმოა, რომ, ნატო წვერელისა და ბატონ ნოდარ გაბუნიას „დიდი ოჯახის" სიხარული გულწრფელად გაიზიარა ჩვენმა მუსიკალურმა საზოგადოებამ.

ნამდვილად უნდა ვიამაყოთ იმით, რომ ახალი წლის მიჯნაზე ქართულმა პიანისტურმა სკოლამ კიდევ ერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის სახელი მოგვაგება – ნატო წვერელი.

**გვანცა ღვინჯილია,**
მუსიკისმცოდნე.

---

## სიტუაცია

# ...ჩემდაუნებურად იგი ღმერთმა გადაარჩინა

თურმე ნუ იტყვით და, საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჯაბა იოსელიანისა და სხვათა პროცესის დროებით შეწყვეტას, უფრო სწორად, ერთი კვირით გადადებას, ძალიან ბევრში მოუთმენლობის სინდრომი წარმოუშვია. არ იკითხავთ ამ უდიდესი ინტერესის მიზეზს? – ნეტა, რა გავლენას მოახდენს 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტი 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტში ეჭვმიტანილთა სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე?

განსასჯელთა ადვოკატებისა და საზოგადოებრივი დამცველების უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ახლანდელი ტერაქტი გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს „საუკუნის პროცესის" მიმდინარეობაზე. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ „საუკუნის პროცესი" მერე იქნება, როცა 9 თებერვლის ტერაქტი გაიხსნება. აქვე არც იმას მალავენ, რომ შეიძლება კიდევ მოხდეს მესამე ტერაქტი, თუ გამოძიება სწორად არ წარიმართება.

ზეგავლენის მოხდენაში ზოგი სასამართლო პროცესის გამწვავებას გულისხმობს, ზოგი კი, პირიქით, – ძალზე ოპტიმისტურ სურათს ხატავს. მაგალითად, ნიკა კვეზერელის ადვოკატი თემურ გოგსაძე ამბობს: – 9 თებერვლის აფეთქების შემდეგ შეიძლება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს აზრი შეეცვალოს და იფიქროს კიდეც, დღევანდელი განსასჯელები დამნაშავეები არ არიანო.

არ გამორიცხავენ იმასაც, რომ 29 აგვისტოსა და 9 თებერვლის ტერაქტების შემკვეთები ერთი და იგივე არიან...

აი, ასეთ ვითარებას, „თავისუფალი პრესის" აზრით, სასამართლო კოლეგიისა და პროკურატურის წარმომადგენლები საგონებელში ჩაუგდია. საქმე ტვინის ჭყლეტამდეც კი მისულა, – როგორ უნდა შეხვდნენ სასამართლოს განახლების პირველ დღეს განსასჯელთა გადაძახილ-გადმოძახილს, უფრო მეტიც, „კაიფს", რომელთაც 9 თებერვლის აფეთქებასთან დაკავშირებით უკვე მოფიქრებული და ჩამოყალიბებული ექნებათ თავიანთი ორიგინალური მოსაზრებები?

ოო, – ასეთი კითხვა მართლაც ჩაგაგდებს საგონებელში, ვინაიდან სასამართლო პროცესზე ბევრი მოსეირე, სამწუხაროდ, აქამდეც „კაიფობდა" და ახლა არც ამ შანსს გაუშვებს ხელიდან. პროკურორი მირზა ღოლიძე კი ამბობს:

– არც სასამართლო კოლეგიის და არც ბრალდების წარმომადგენლები საგონებელში არ ჩავარდნილან. პროცესი დროებით შეწყდა 9 თებერვლის ტერაქტის გამო. ბადრაგი გადასულია ყაზარმულ მდგომარეობაში და მას უბრალოდ აღარ ძალუძს განსასჯელთა წარმოდგენა სასამართლოში. 29 აგვისტოს ტერაქტი სულ სხვა საქმეა, 9 თებერვლის ტერაქტი კი სულ სხვა. ამიტომ იგი არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს დღევანდელ სასამართლო პროცესზე და იგი ჩვეულებრივ გაგრძელდება. ვიდრე 9 თებერვლის ტერაქტი არ გაიხსნება, ვიდრე მისი შემკვეთები და შემსრულებლები არ დადგინდება, მათი ერთმანეთთან დაკავშირება არ შეიძლება. მოსაზრებები, ვერსიები იქნებ არის, მაგრამ მართლმსაჯულებას სჭირდება ობიექტური ჭეშმარიტება და არა მოსაზრებები და ვერსიები...

წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულმა გიგა გელაშვილმა აჩვენა: – „არასწორია, თითქოს მე პულტს აფეთქების მიზნით შეგნებულად გვიან დავაჭირე ხელი, რათა არ მომკვდარიყო ედუარდ შევარდნაძე... მოხდა ისე, რომ ჩემდაუნებურად იგი ღმერთმა გადაარჩინა".

ეს ითქვა 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის გახსნის შემდეგ. ალბათ, იგივე ითქმება 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის გახსნის შემდეგაც. რომელიმე ბრალდებული ასევე აჩვენებს: „არასწორია, თითქოს მე ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა აფეთქების მიზნით შეგნებულად გვიან ვისროლე, რათა ედუარდ შევარდნაძე არ მომკვდარიყო... „მერსედესს" ორჯერ მოვარტყი, მაგრამ ჩემდაუნებურად იგი ღმერთმა გადაარჩინა".

და ეს ორი ტერაქტი ამითაც დაუკავშირდება ერთმანეთს!

**ბონდო გულიაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№36. პარასკევი, 13 თებერვალი, 1998 წელი.

## გამოსათხოვარი

# ვახტანგ საყვარელიძე



საქართველოს სამშენებლო დარგმა მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ლვაწლმოსილი ჰიდროტექნიკოსი, ჰიდრავლიკურ კვლევათა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის წევრი, ზღვისა და მდინარეების სანაპიროთა მორფოდინამიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „სანდის“ გენერალური დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახტანგ ვლადიმერის ძე საყვარელიძე.**

ვ. საყვარელიძე დაიბადა 1939 წელს ქ. თბილისში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა. 1962 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, 1967 წელს კი — ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1971 წლიდან — 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჰიდრავლიკისა და ჰიდროტექნიკის ლაბორატორიას. 1981-92 წლებში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ მეცნიერების დარგში, ხოლო 1993 წლიდან უკანასკნელ დღემდე, იყო ზღვისა და მდინარეების სანაპიროთა მორფოდინამიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „სანდის“ გენერალური დირექტორი.

პროფესორ ვახტანგ საყვარელიძეს გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. იგი გახლდათ ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიების ხელოვნური ტალღაჩამქრობი პლაჟებით დაცვის მეთოდის დანერგვისა და ავტორი საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის წარეცხვისაგან დაცვის გენერალური სქემისა.

ვახტანგ საყვარელიძე იყო გულისხმიერი და ფართოდ ერუდირებული ინჟინერი, მეცნიერი, შესანიშნავი მოქალაქე და მგზნებარე მამულიშვილი.

თბილისს დააკლდა კიდევ ერთი დიდებული ადამიანი. ვისაც მისი გულისხმიერება და მზრუნველობა უგრძვნია, მარად დარჩება მათ გულში, ეს გარეგნობითაც და სიკეთით გამორჩეული ვაჟკაცი.

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართველი საზოგადოებისათვის, რომელიც არ დაივიწყებს საინჟინრო ხელოვნების დიდოსტატს და შესანიშნავ მეცნიერს.

**ნიკო ლეკიშვილი, ბაკურ გულუა, ბადრი შოშიტაიშვილი, მერაბ ჩხენკელი, ნინო ჩხობაძე, იოსებ ხარატიშვილი, გივი გამყრელიძე, ლევან გოგიჩაიშვილი, კოტე გოგელია, დავით გურგენიძე, ბადრი ელიეშვილი, ვლადიმერ ვარდოსანიძე, ბესო თულაშვილი, როინ იმედაძე, ზაურ კაპანაძე, არჩილ კიკნაძე, ლევან კიკნაძე, დემურ კოვზირიძე, ნოდარ კერესელიძე, შოთა ლომიძე, გურამ მირიანაშვილი, ცოტნე მირცხულავა, როლანდ მიქაუტაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ზურაბ ნემსაძე, გეიდარ ფალავანდიშვილი, კახა ძორიძე, გიორგი შალამბერიძე, იური შიუკაშვილი, ავთანდილ ჩალაძე, ომარ ძიაპშიპა, ანზორ ჟითანავა, შოთა ჯაოშვილი.**

## ხსოვნა

### კახაბერ შევარდენიძე
### დავით კოკაური

თბილისის მოქალაქეთა კავშირის საინიციატივო ჯგუფის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპნენ პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლები **კახაბერ შევარდენიძე, დავით კოკაური** და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს.

თბილისის მოქალაქეთა კავშირის
საინიციატივო ჯგუფის წევრები.

---

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, პრეზიდენტის დაცვის უფროსი ოფიცრის

კახაბერ ბედევანის ძე შევარდენიძის

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულის ოჯახს.

---

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის ოფიცრის

დავით ვაჟას ძე კოკაურის

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულის ოჯახს.

---

საქართველოს გენერალური პროკურატურა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლების: პრეზიდენტის დაცვის უფროსი ოფიცრის

კახაბერ შევარდენიძის

და სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის ოფიცრის

დავით კოკაურის

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაღუპვის გამო. თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

## კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

**დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას:**

**რუსთაველის პროსპექტი № 52, ოთახი 424,**

**ტელ. 99-56-21.**

ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა გთხოვთ ზაქარია ელბაქიძის სახლის მემკვიდრეებს, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ტყვიავის ჩიხი № 1, გამოცხადდნენ 1 (ერთი) თვის ვადაში ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სახლი ჩაირიცხება კომუნალურ ფონდში.

გამგეობის თავმჯდომარის
მოადგილე
**თ. წილოსანი.**

საკაბელო ნაწარმი
ფართო
ასორტიმენტით
მაღაზია
**«ელექტრონი»**
**თბილისი,**
**წერეთლის პრ. 71.**
**ტელ: 94-10-95.**



შვილი იუზა, რძალი დარეჯანი, შვილიშვილები რამაზი, არჩილი, შვილთაშვილი, ძმისწული გენო, დისწულები თამაზი, ვენერა, ალექსანდრე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ ალექსის ძე ონაშვილი.

დაკრძალვა 15 II, 2 სთ. საგარეჯოს რ-ნი, სოფელი პატარძეული.

---

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამინისტროს კოლეგიის წევრი, ზღვისა და მდინარეების სანაპიროთა მორფოდინამიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „სანდის“ დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჰიდრავლიკურ კვლევათა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი

ვახტანგ საყვარელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს. პანაშვიდი 13 II, 4 სთ. გამოსვენება 14 II, 2 სთ. ფალიაშვილის 47 ა.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს „საქზღვისნაპირდაცვა“-ს გენერალური დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

ვახტანგ საყვარელიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „პური არსობისას“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე საზოგადოების გენერალურ დირექტორს ბატონ ვიტალი კვინიხიძეს დედის

თამარ ლაღიძე – კვინიხიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხათუნა ბუაძეს დედის

ნუცა იასონის ასულ ლონაძის

გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო ენერგოკომპანია „საქენერგოს“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სახელმწიფო ენერგოკომპანია „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილეს, თემურ ჩიქოვანს დედის

ლუბა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

---

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო უთანაგრძნობს სახელმწიფო ენერგოკომპანია „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილეს თემურ ჩიქოვანს დედის

ლუბა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.




**სასწავლო პროგრამები უცხოეთში**

1. ერთი წელი ამერიკის სკოლებში (ასაკი 15-18 წელი).
2. ენის კურსები ნებისმიერ ქვეყანაში.

**მისამართი: ვაჟა-ფშაველას 18,**
**ტელეფონი: 94-25-14.**

„განახლების ქართულ-ამერიკული დასი“
ფონდი „ინტერკულტურა“.

## გაითვალისწინეთ!

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ შარშანდელი 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული, ყველა სხვა ეგზემპლარი მოპარულია.

გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ რედაქცია.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოჭიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
ნანული ბარათაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.